


ლიტერატურული გაზეთი

№90 18 - 31 იანვარი 2013

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ეთერ თათარაიძე

მართლ ბერებულ [ორც, თვარამ
სულ სუ ჯეილ რჩენილ,
ნელ-ნელა ნათბილარ ცას
წვიმა-თოვა ფენილ.
თვალთმაქც, მოკლი'ა სოფელ
მფთხალ ჩიტსავით ფრენილ...

ტატანა'თ სია'მ აჩინდ
ქალა' ნითელ კაბიან,
მზემ ჩამოხედ ღიმნაშალმ
მთას თავს ღურბლის ქვაბიანს.
ტაშ-გარმუნა'თ ჩი'არეს
ბილიკ-გრეხილ, ტკვაფიან,
— გწყალობდესთავ! — მომედინ
[ევისბრის [მა [აფიან...
პეპელა'სავით მოფრინდ
ქალა' ნითელ კაბიან...

ეთერო იყვ, ვიცან...

წუხრიც შრაშუნით თოვდა-დ
შარა-შუკა-შუკუმა'ნ
უფრ ფითრ-თეთრდებოდა?
სიმარტოვით გაღალღულ,
ჩანაჩუმარ გრძელ ღამე,
ნაფითრ თენდებოდა?
კარ-სარკმელ ნახურ სახლებ,
კერა' ჩამქვრალ-ჩანაცრულნ
ზირნუთ შტერდებოდა?
არ დამიმაღვ, ალაღად
მითხარი-დ გულ გამიხეთქ,
თუშეთ ბერდებოდა?..

IV-V

ჯარჯი ფხოველი

ავტოპორტრეტი. 2012.

მთებმა წაგართვეს ცის ნახევარი:
შენ იმათ ჩრდილში ღამე იშოვე...
თვალში ჩაგვივა ღრუბლის ნახვევი:
აიმღვრევიან სიშორეები...

გულში ჩაიკრავ თრობას ლოთივით
შენ ისტორიის ქალების გაღმა
და იქ წაიღებ ლოდებს ლოდინის,
სადაც სიზიფე მიკვალავს აღმართს...

და ივლი შავი დარდით ნამუსრი,
გულს ამოგწვავენ ვარსკვლავ-ხანძრებით
წამისოფელის ყრუ ჟრიაშულში
შენი დღეები, დასახანჯრები!..

ვერ დაიბრუნებ ზეცის ნახევარს,
არ გეყო დარდი და კილოკავი...
იტყვი: სიტყვების ძველი მახე ვარ,
ძველპოეტების ცრემლის მლოკავი!

წავიდნენ მთები აღმა და აღმა:
მთებმა მთები გადაიარეს,
მთებმა ლურჯი ცისნაპირი გადაიარეს...

მათი ჯოგი
სამყაროს იქით:
გალაქტიკის ხეობებში გაუჩინარდა...

შენ დაგრჩა დარდის ხე, ფოთლოვანი,
ობლად რომ დგას გულის მინაზე:
მწარე სიმღერებს რომ შრიალებს
მთების წმინდა ნამოსახლარზე...

VIII-IX

დაიუბი

ბადაწყდა, ანა ხვალ მკვლევლობას საკუთარ სამზარეულოში ჩაიდენს. მთელი თვე ემზადებოდა ამ დღისთვის და დათქმულ თარიღს ვეღარაფერი შეაცვლევინებს. სამსახურიდან უკვე დაეთხოვა, ტყუილის მოგონება არ გასჭირვებია, დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ბებუის წლისთავი მომიზეზა. ბანკში სამუშაოდ სულ ორი თვის გადასული იყო და ახალმა თანამშრომლებმა მასზე ბევრი არაფერი იცოდნენ, რაც უხერხულობასა და კომფორტს თანაბრად უქმნიდა.

გზად მაღაზიაში შეიარა. პური, ლიმონი და კაკლის მურაბა იყიდა და ნელი ნაბიჯით სახლისკენ გაუყვა. სადარბაზოში შესვლისთანავე ანას რიტმული და დაუსრულებელი „დო-სი-დო, დო-სი-დო“ შემოესმა. ხანდახან ისე ჭუჭყიანად იღებდა „სი“-ს პირველ სართულზე მცხოვრები მეხსიერებანართმეული მუსიკოსი, გეგონებოდათ, პატარა ბავშვი უკრავდა, მთელი ოქტავის ერთ მუჭაში მოქცევა სურდა და ჯერ კიდევ არ ჰყოფნიდა ამისთვის ნეკიდან ცერამდევ გაჭიმული ხელის მტევანი. „ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ...“ — შესჩიოდნენ ერთმანეთს მეზობლები. ანას კი მოხუცი მუსიკოსი ყველაზე ნაკლებად ანუხებდა, მისი ფიქრებიც ზუსტად ასე დახტოდა სიზმარსა და ცხადს, ანწყოსა და შორეულ წარსულს შორის და დარწმუნებულად კი იყო, რომ მოხუც-მაც ამიტომ აიკვირებოდა ოქტავის პირველი და ბოლო ნოტი.

კიბეზე თავსაღმობურული მეზობლის დანახვამ ანა მოულოდნელობისგან შეაკრთო. დაგეგმილი მკვლევლობის რეკვიზიტებზე ფიქრობდა და ასე ეგონა ბოლო ფრაზა მკაფიოდ გაიგონა — „ნეტა, ის ვერცხლის თასი სად მაქვს შენახული“.

— გამარჯობა, ანა. დღეს ელზა შემხვდა და სადარბაზოს დალაგების ფული მხოლოდ ლიძავეს დარჩათ დასადებო.

— აა, დიახ, მთელი კვირა გვიან ვბრუნდები სამსახურიდან. თუ შეიძლება, თქვენ დაგიტოვებთ და გადაეცით.

ანამ პლასტიკური ბარათებით გაფხორილი საფულე გახსნა, ათლარიანი ამოიღო და ქალს გაუნოდა. საუბარი აღარ გაუბა და მალევე დაემშვიდობა. კიდევ ერთხელ გაბრაზდა „ლიძავეზე“. კარგად იცინა მეზობლებმა, რომ ანა მარტო ცხოვრობს, მაგრამ დღემდე მაინც ლიძავეს ეძახიან, ვითომ მისი მშობლების ხსოვნის პატივსაცემად, მაგრამ ამ დროს უკვე მერამდენედ შეახსენებენ, რომ ერთ ადამიანს ოჯახად არასოდეს აღიარებენ. მარტოობის სევდას ანაც ხშირად გრძნობს სახლში დაბრუნებისას, მაგრამ ცხელი ჩაი, ტელევიზორი და კომპიუტერი უცებ შეავსებს ხოლმე დახვედრილ სიცარიელეს და იქით შეებრალება ხოლმე მთელი სამეზობლო დიდხანს-პატარაანად.

კიბეს სვენებ-სვენებით აუყვა, ამ ბოლო დროს ჰაერის უკმარისობა დასჩემდა. „ყვიდი სახლ-კარს ცალ-ცალკე“ — ყოველ ჯერზე ახალისებს ანას ხის კარზე მისივე ხელით მინერილი განცხადება, რომელზეც, რა თქმა უნდა, არავინ გამომხაურებია. ანამ კარის გაღებისთანავე შუქი აანთო, ჩანთა ძირს დადო, სამზარეულოში შევიდა და ვერცხლისფერი ჩაიდან იცეცხლზე შემოღდა.

სანამ მოშინაურდებოდა, წყალიც ადულდა. ჟანდინის ფოთლები უხვად ჩაყარა ჭიქაში, მდულარე დაასხა და ტელევიზორი ჩართო. ანა სამზარეულოს სასაუზმეს ეძახდა, რადგანაც ამ ოთახში მხოლოდ საუზმობდა, თუ მოასწრებდა დღეში სამჯერაც. აქ ვერ ნახავდით გახუჭურაზე შემოდგმულ ქვაბებს, არც ჩაის ტილოები იყო სადილის სურნელი გაჟღერებული.

რა აღარ ელაგა ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე: კომპიუტერი, ჭიქები, ნიგები, გამხმარი ფუნთუშები, ბებუის-დროინდელი „ფლირტის“ ბარათები, თაფლისა და მურაბის ქილები. მაქმანებიანი ფარდებიდან მზისა და ქუჩის ლამპიონების სინათლე უხვად ატანდა. ბუფეტის თაროები ანას ჩაიდენების კოლექციას ეკავა, ზოგი თვითონ შეეძინა მოგზაურობისას, ზოგიც საჩუქრად მიეღო, როგორც ჩაის დიდ მოყვარულს. უფინჯნო, ბერნი ჩაიდენები ხანდახან კიდევ უფრო უმძაფრებდა ანას მარტოობას. აი, იმ ჟანდინის ფოთლებთან,

ფირუზისფერ ჩაიდან ხის სახელურით, გვერდით კარადაში დატოვებინა ექვსივე ფინჯანი და ისიც აქეთ გადმობარგებულ იყო შინაბერებთან. მხოლოდ მაგიდის მკვიდრი ლიმონისფერი გამოირჩეოდა დანარჩენი უმაქნისი, მაგრამ კახტა ჩაიდენებისგან. ლიმონისფერს ყოველდღე უთბობდა გულს ანა ცხელი ჩაით. მეორე თაროზე ცალობით შექმნილი ჩაის ჭიქები ჩაემწკრივებინა ოჯახის უფროსსა და დიასახლისს, გაჩუქებული ლეკვებივით მარტოსული და უოჯახო ფინჯნები. საშაქრე კი ანას სამზარეულოში მხოლოდ ერთი იყო — როგორც ჭრელი დედლებით გარემოცული მამალი.

ჩაის სმა ანასთვის დიდი ხანია, რიტუალად ქცეულიყო. თითქოს ასე ატანდა ცხოვრებას გემოს და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც ამ დროს იღებდა. ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ცხელი სასმელი ანას თრობასაც გვრიდა ხანდახან. ხშირად დაფიქრებულა, რა ანიჭებდა ჩაის სმით ასეთ დაუსრულებელ სიამოვნებას და პასუხის მოსაძებნად თავადვე არაერთხელ გახლართულა ფიქრებში.



ათი წლის იქნებოდა, სოფელში მეზობლის ქალებს პირველად რომ გაჰყვა ჩაის საკრეფად. ხშირად უფიქრია, რომ ქალაქელი ქალები ყავის სმით და ჭორაობით ისე ვერ გაერთობდნენ თავს, როგორც ჭრელთაფარაფრანები ჩაის ერთად კრეფთ. ყოველთვის ხიბლავდა მეჩაიე ქალების ხალისიანი შრომა, მაგრამ მათთან ერთად ჩაის კრეფის სურვილი მხოლოდ მაშინ გაუჩნდა, როდესაც გაიგო, რომ პლანტაციისკენ მიმავლები ლოგინის ამბებს ჰყვებოდნენ.

დათქმულ დროს, მზე რომ ზღვისკენ გადაიხარა, გამლილი ეზოებიდან ქალებმა ერთმანეთს გადასძახეს. შუადღის ძილით თვალმოტყუებულები ხმაურითა და კისკისით ქუჩაში მიმავლებს უერთდებოდნენ. ყვავილებით მოჩითული ხალათებიდან და კაბებიდან მზით გარუჯული, ძლიერი მკლავები მოუჩანდათ, ფეხებს კი რეზინის ჩექმები უფარავდათ. ჭრელთაფარაფრანებისგან განსხვავებით, ახალგაზრდებს ნაირ-ნაირი ჩალის ქუდები დაფარებინათ, ზურგზე გოდრები მოეკიდებინათ და წელში გამართლები მიუყვებოდნენ ქუჩას. გზის ბოლოს ორად დაჯგუფდნენ ქალები, რბილქუდებიანები ერთად მიდიოდნენ, ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ. ეზოებს რომ გასცდნენ, გასაგრილებლად კაბის ბოლოებიც კი ააფრიალეს და თეთრი მუხლები გამოაჩინეს. მკვრივქუდებიანები სიარულის ოდნავ ჩამორჩებოდნენ პირველ ჯგუფს, უხმოდ მიუყვებოდნენ გზას და ცდილობდნენ, სიტყვა არ გამოჩენოდათ უფროსების ნაამბობიდან. თავს გვერდით არ ატრიალებდნენ, რომ თემოვანიერების მეტი გულწრფელობა გამოეწვიათ. ქალებიც თამამად, ურცხვად ჰყვებოდნენ ლოგინის ამბებს, თავისას თუ სხვისას. ქალაქელებივით მინიშნებებსა და ქარაგმებში დროს არ კარგავდნენ და ბილნსიტყვაობას იხდენდნენ. იმ დღეს ბუჟანის ამბავი იყო ყველაზე ცხელი. წელს მოსავალი არ იქნებოდა, — ხუმრობდა მთხრობელი, — ყანა არ გამოუხმირავს, სქელი რომ ყო-

ფილიყო და ფატულასთან შეხვედრის ადგილი ყველასთვის უხილავიო. ყანის შუაგულში მოუცელია სიმინდი ბუჟანას, ჩალის „სანოლი“ დაუდგამს და მთვარის შუქის ქვეშ სიყვარულობს მეზობლის ქვრივთანო. შენ რაღა გინდოდა ბუჟანის ყანაში — სიცილი ატეხეს ქალებმა.

მალე ევკალიპტის ხეებიც გამოჩნდა. რამდენიმე წუთში ქალები მწკრივებში დაიფანტნენ, აფარებული წინსაფრების ბოლოები აიკეცეს, ქამრებში ჩაიმაგრეს და ჩაის კრეფას შეუდგნენ. ანა მხოლოდ მზით გაჯერებულ, ოქროსფრად მოელვარე დუყებს კრეფდა, ხანდახან ხელს ძლივს აწვდენდა ცისკენ აშვერილ ყლორტებს, მაგრამ ცდილობდა, მეოთხე ფოთოლი არ შეპარვოდა. ქალები ოსტატურად გორდებოდნენ ბუჩქებზე მწკრივიდან მწკრივზე გადასასვლელად და ხელგანაფულნი სწრაფად უახლოვდებოდნენ პლანტაციის ბოლოში ქარისგან დასაცავად დარგულ ევკალიპტებს.

დღის ბოლოსთვის ანას ნაშრომი გაცლილებით ნაკლებს იწონდა, მაგრამ შრომით მაინც კმაყოფილი ჩანდა. სახლში დაბრუნებისას ანა გზადაგზა ხსნიდა გუდას,

ციაა, ღმერთმანი! ამ მოვერცხლილი ფაიფურის კათხებში ჟანდინის ჩაია, უხადლო სითხე, გასინჯე, თუ ღმერთი გნამს, აქ მეორედ ველარ მოხვდები! იმ გრძელ სინებზე ვანილიანი ხაჭოს ოლაღებია შავი ძროხის პიკანტური არაყნით, ზემოდან შევიძლია ცხელი შოკოლადი მოასხა. აი, იმ პატარა თიხის სათითურებშია! ეს რა არის? ხობხის ყელის ზეფირიანი პუდინგი მანგოს ტკბილი სოუსით! მას ყოველდღე ნამდვილად არ მიირთმევენ — მეფეებიც კი! ნახევარქოქოსებში პეგასის სქელი არომატული რძეა, ახალმონველილი. ხედავ ოხშივარს? ამ მომწვანო მალაქის ჯამში უნდა გადმოიხსა გრძელი მოვარაყებული ჩაშით და ვარდისკრემიანი პანანინა ფუნთუშები ამოანო! დარიჩინიც მოაყარე! უჰ, ზღაპარია, რა!”

ანდროს ზღაპარში ეს კულინარიული აბზაცი ანას მომზადებულ საუზმეებს ეძღვნებოდა. ტანგოს წააგავდა საუზმის ერთად მომზადება: ანდრო ანას ზურგიდან შემოხვევდა და ხელებს მუცელზე შემოაჭდობდა, ანა თავს მარჯვნივ გადახრიდა, ანდრო ნიკაპს მხარზე ჩამოადებდა და ისე მოხერხებულად მოძრაობდნენ, ერთხელაც არ დაეხიჯებოდათ ფეხი ერთმანეთზე. საღამოობით კი საწოლში ანა ანდროს მიერ მისთვის დაწერილ თითო-თითო თავად მოტანილ ზღაპარს კითხულობდა და აღფრთოვანებული ალაგ-ალაგ მიანერდა ხოლმე: „უჰ, მაგარია, ეს აბზაცი ჩემი იყოს!“, „ეს ისედაც ჩემია!“, „ეს მთლად ჩემი“. ასე თანაარსებობდა ანა ანდროსთან ერთხორც დილაობით და ერთსულ საღამოობით.

ანდრო თვითმფრინავში, სტამბოლიდან თბილისამდე მგზავრობისას გაიცნო. სათვალისანი ახალგაზრდა მამაკაცი ანას გვერდით დაჯდა და ჯერ კიდევ აფრენამდე დაიწყო ნიგნის კითხვა. სასმელის ჩამოტარებისას ანამ ჩაი ითხოვა.

— ინტუიციამ არ მიმტყუნა, რომ ჩაის არჩევდით orange juice-ს, — ღმილით უთხრა ანდრომ ანას და თვითონაც ჩაი დაასხმევინა.

თბილისამდე სტამბოლის ჩაიხანები შეაქეს და ჩაის სასარგებლო თვისებებზე ბევრი ილაპარაკეს. ანდროს ჩაის სიყვარულმა და იმის ზედმინევენით ცოდნამ, რა რაოდენობით შეიცავდა „1001 ლამე“ პაპაიას, ჩინურ ვარდს, კალენდულას და იამაიკურ მზესუმზირას, საბოლოოდ მოხიბლა ანა. მხოლოდ თბილისის აეროპორტში, საბაჟო კონტროლისას ხელში პასპორტმომარჯვებულებმა ჰკითხეს ერთმანეთს სახელი და გვარი და ტელეფონის ნომრები გაცვალეს.

ერთი კვირის თავზე ანდრო ანასთან საუზმობდა. პირველი ვიზიტის უხერხულობის გაფანტვა მასპინძელმა მაგიდაზე დაყრილი „ფლირტის“ ბარათით სცადა.

— აკაცია! — ანამ ბარათი გაუნოდა სტუმარს.

— დამემგზავრეთ მოგონებათა სამყაროში, ასე უკეთ გამოიცინობთ, — ხმამაღლა წაიკითხა ანდრომ, — საგზალი გაამზადე, — გაუღიმა და ბარათი უკან დაუბრუნა.

ორი თვის თავზე კი ანა თავს გამოუტყდა, რომ რომანი ცოლიან მამაკაცთან გააბა. ყოველი საუზმის შემდეგ დანაშაულის გრძობა სტანჯავდა, როგორც ანდროს გაორების ძირითად მიზეზს. ანა გრძნობდა, როგორ იქცა მისი რიტუალური ჩაის სმა დანაშაულად, ჩაი — სამხილად და თავად კი — ანდროს თანამზრახველად. მიუხედავად ამისა, არაფერი იჩვენებოდა ანდროს სტუმრობაზე დიდ სიამოვნებად, არასოდეს ყოფილა ასეთი ბედნიერი მასპინძლობით. აგემოვნებდნენ ათასგვარ ჩაის ნაირ-ნაირი ჭიქებით და უკვე მერამდენედ თანხმდებოდნენ, რომ პიტნა ამშვიდებს, დარიჩინი ვენებს აღვიძებს, ჟანდინი მოგონებებს აღძრავს, შავი ჩაი ძალას მატებს, აკაცია კი საუკეთესოა გუნების გამოსაკეთებლად.

დარბეობით ჩაბნელებულ საძინებელში სექსს და ანასთან საუზმეს ანდრო რედაქციაში წასვლამდე ასწრებდა. განსაკუთრებული სიყვარული ლოგინში არ გამოსდობდა, მაგრამ ანას ეს დიდად არ ანუხებდა. რაც მთავარია, ანდრო შეუდარებელი იყო სამზარეულოში. ასე ყურადღებით ანასთვის არავის მოუხმინა აქამდე. ჰოდა, ანამაც მოხდა გუდას თავი და რა აღარ გაიხსენა: სკოლაში დაკარგული თმის სამაგრი, დედ-მამის ჩხუბი ახალი წლის ღამეს, მე-

„ოო, რა არომატი! სამეფო ბუტერბროდები მოაქვთ ბრიტანული მეფურის კარაქითა და ხენდროს ჯემით დიდ ოქროსფრად შებრანულ ტოსტებზე! მეფური პორ-

ზობლის გოგოს ლამაზი კაბა, მამიდის ნაჩუქარი ნახატებიანი წიგნი...

ერთხელ ასეთი თამაში მოიგონეს — საწოლში როლები გაცვალეს და ერთმანეთის გამოჯავრება დაიწყეს. თითქოს ესლა აკლდა მათ შეუმდგარ ერთად წოლას, მას მერე ხშირად ახსენებდნენ ის დღე და ბალიშებში თავჩარგულები იგუდებოდნენ სიცილით. გულს რომ იჯერებდნენ, ანა ანდროს მკერდზე თავს დაადებდა და ამით ამართლებდა საძინებელში მის შეპატიუებას. სულ ერთ საათში ანდრო ყველაფერს უცებ წამოკრეფდა — საათს, საფულეს, სათვალეს, ქუდს და სურნელსაც კი. მისი წასვლის შემდეგ ანას მხოლოდ საპირფარეოში თავსახურიან-დასაჯდომიანად ახდელი უნიტაზი მიუთითებდა, რომ ამ სახლს მამაკაცი სტუმრობდა ყოველი სამუშაო დღის დილას.

ზაფხულში ანას ექიმმა ოპერაცია ურჩია — „მოსაპორებელი უნდა მოიძრო“. ნარკოზიდან გამოფხიზლებულს ექთანმა დაადგა თავზე: „ბიჭი იყო, ვ ოქვას და ეს დაგიტოვა“, — წიგნი გაუნოდა ანას. ანდროს ზღაპარი დაესრულებინა. როგორც კი მზერა გაასწორა, ანდროს ხელით ლამაზი ბაფთებით აკინძული წიგნი გადაფურცლა, ანდროს ყდის შიდა მხარეს მიეწერა: „სულ შენია, სხვისი ანდრო.“ ანა ხარბად კითხულობდა ზღაპარს, გვერდებს ახტებოდა, შემდეგ ისევ უბრუნდებოდა, მერე დახურავდა წიგნს და მოთმინებით იწყებდა კითხვას პირველი გვერდიდან. მართლაც რამდენი რამე იყო მისი ამ წიგნში — საუზმე, კაბა, საშაქრე, სურათის ჩარჩო, სახლის კარი...

ანას და მეზობლის ჯადოსნური პაემნები შემოდგომის მიწურულს დასრულდა. ანდრო ნიუ-იორკში გადასახლდა ოჯახთან ერთად ცოლის ახალი სამსახურის გამო. „ბავშვებისთვისაც ასე აჯობებს“ — ეს იყო ერთადერთი განმარტება, რაც მთელი კვირით გაუჩინარებულმა საღამოს ვიზიტისას ანასთვის გადანყვებილების გამხელას მოაყოლა. დიდხანს ისხდნენ მდუმარედ.

— ზამბახი... — ანამ „ფლირტის“ ბა-

რათი გაუნოდა ანდროს ისე, როგორც პირველად სტუმრობისას.

— „ის რაც ჩემია, ჩემთან დარჩება და აღარასოდეს განმეორდება“ — ხმამაღლა წაიკითხა ანდრომ, — თან გავიყოლებ... — დააყოლა თავდახრილმა.

ანას ყელზე განოლილ ნაიარევზე ნაზად აკოცა და უკან მოუხედავად დატოვა სახლი. მას შემდეგ ანა დილაობით თბილ ჩაიში ამოვლებული ბამბის ფთილებით იწყნარებს შემუშებულ თვალებს.

დედამ მძიმედ გადაიტანა მამის სიკვდილი. ანას ხშირად ესმოდა — აი, ანა რომ გაიზრდება, ბიჭს გააჩენს და ალექსანდრეს დაარქმევს. დედას თითქოს სიცოცხლის მოსალოდნელი გამეორება უმსუბუქებდა სევდას. ანას კი ის ვალი ამძიმებდა, რომ მამა უნდა ეშვა ხელახლა და ასე გაეგრძელებინა სიცოცხლე, რომელიც ადრე თუ წრფედ წარმოედგინა, ახლა რაღაც ჩაკეტილი წრეს დამსგავსებოდა. იმ დროიდან მოყოლებული ერთი უცნაური სიზმარი აეკვიცა: ვითომ ბაღის შესასვლელში დარაჯი დგას, წყვილებს უკვე სახეზე ცნობს, ამიტომაც უსიტყვოდ ატარებს ანას და მის მენყვებულ ჩრდილს. ბაღის მონახულება მხოლოდ მთვარიან ღამეს შეიძლება. იქ სულ ერთი და იგივე ტემპერატურაა, ღობის მიღმა თოვლიც რომ იდოს, ბაღში თბილა, მინა რბილი და ნესტიანი. მთელ ამხელა ბაღს მხოლოდ ერთი ქალი უფლის, ყველა სტუმარს ცნობს, ყველა ნაყოფის ამბავი იცის: „აი, ამას ჯერ ძვრაც არა აქვს, ამისხელები უკვე ხელებს ამოძრავებენ, ეს დიდი ზარმაცი ვინმეა“, „აი, ეს მწიფობაში შედის, ნახეთ მზის მხარეს როგორ მოვარდისფრებია კანი?“. პირდაპირ მინაზე გოგრებივით წვანან ბავშვები, ჭიპლარით მინასთან მიბმულები, მინა კვებას და ასაზრდოებს, მინა მათი მშობელი. ანას ნაყოფი ჯერ კიდევ არ ამოწვერილა, მაგრამ მეზაღე ამშვიდებს — აცადე, მიმაგრება კარგი აქვს, მოვლას არ ვაკლებ, ორი თვე მაინც წუ მთვალთ. ანა გულდანყვებილი ტოვებს ბაღჩას, ორი



მწკრივის იქით ტირილი ესმის. დამნიფებულა, ჭიპლარი მონყვებია მინას, მეზაღეს პატარა ხელში აჰყავს, მინას ჩამოფერთხავს ვარდისფერი სხეულიდან და ეაღერსება: „გუშინ მთელი დღე გელოდნენ შენები, გამთენიისას წავიდნენ. როგორ გაეხარებოდნენ, თავად რომ ენახათ, როგორ მოწყვდი მინას.“

გაღვიძებულს სულ მამა ახსენდება, აგვისტოს ბოლოს ჩამოდიოდა სოფელში მის წასაყვანად. წამოსვლის დღეს უთენია რეზინის ჩექმებს ჩაიცვამდა, გრძელ სამხედრო ლაბადას მოიხურავდა და ისე შედიოდა ნამიან ყანაში ქალაქში წამოსაღები სიმინდის მოსატყეხად. ყანიდან გადმოსული ლაბადის ქვეშ დამალულ გოგრას გამოაჩენდა, მაგიდაზე დადებდა და ღიმილით ეტყობა ანას, მოუსწრია დამნიფება. გოგრა ყოველ წელს ასწრებდა ანას წამოსვლამდე დამნიფებას, ანას ყოველ წელს უხაროდა.

რაც წამოიზარდა ანა, ამ სიზმარს უფრო და უფრო ხშირად ხედავს, არა და არ შეისხა ხორცი ჩრდილმა. ყოველი ახალი ურთიერთობის დროს ცდილობს, მის კონტურებს მოარგოს მენყვლე, ხან სახის ფორმა არ ემთხვევა, ხან მხრები, ისიც კი იცის, ყურის ბიბილო როგორი უნდა ჰქონდეს მისი შვილის მამას. ხშირად შემცდარა, ამიტომაც ამოიგდო თავიდან ეს ჩრდილი და ანდრო მისთვის აღარ დაუდარებია.

სწორედ დღეს იყო ანას დაბადების დღე, ნამდვილი კი არა, გამოგონილი. ანდრო ნამდვილ დაბადების დღეს გასაიდუმლოებული რომანის გამო ვერ დაეცნობოდა, ამიტომაც ადგა და თვითონ დათქვა თარიღი. ასე გამოიგონა ანას დღეობა, ისევე როგორც ერთ დღეს სკაიპში ანა ლიძავას სახელი გადაარქვა და ანაბელ ლი უწოდა. მერე ანა, ანდროს თხოვნით, უღალთმიანი გახდა, ქუსლიანი ფეხსაცმელი და დიდი საყურეებიც მოირგო და ამერიკელი მწერლებიც აღიარა. რამდენიმე თვეში კი გამოგონილი ანა მარტო დარჩა. ანამ მკვლელობა სწორედ ამ დღისთვის დაგეგმა, როგორც კი გადაწყდა, რომ მომდევნო 6 იანვარს მარტო შეხედებოდა.

ღილით ადრე გაეღვიძა, ხალათი მოიცვა და დიდი ოთახის კარადაში შენახული ვერცხლის თასი გამოიღო. იქვე თაროს უკანა კუთხეში დიდი ხნის წინ გადახახული მომპასის ყუთიც მოიძია და სამზარეულოში გაიტანა. მაგიდაზე ანდროს ზღაპარი იდო. ანა ცალფეხმოკეცილი დაჯდა, გადაფურცლა წიგნი და მისი საყვარელი ადგილების კითხვა დაიწყო. ტექსტთან გამომშვიდობებდა ანდროსთან განმეორებაზე არანაკლებ რთული აღმოჩნდა. მერამდენეჯერ უბრუნდებოდა საყვარელ აბზაცებს.

ანამ მომპასის ყუთიდან სურნელგამოცლილი ჩაი ვერცხლის თასში ჩაყარა, მდულარე წყალი დაასხა და რამდენიმე წუთი ადროვა, სანამ წყალი მუქად შეიფერებოდა. აკვირდებოდა, როგორ იბერებოდნენ წყლისგან და იბრუნებდნენ სიცოცხლეს ჩაის ფოთლის ნამცეცები. ანდროს ნაჩუქარი ძონისთვლიანი ვერცხლის საყურეები მოიხსნა და საკეტი გაადაბა, მერე ისევ დააშორა, რომ წყვილს ერთმანეთის სიკვდილში არ დაედო ბრალი. ხელი ზემოთ აწია და ცალ-ცალკე

ჩაუშვა ჩაით სავსე თასში. შემდეგ წიგნს ბაფთა გამოაცალა, ფურცელ-ფურცელ დაშალა და ჩაიში ჩააღობა. ასოები იდლაბნებოდა, ტექსტი გაურკვეველი ხდებოდა, მაგრამ ანასთვის საკმარისი იყო ერთი სიტყვა მაინც გაერჩია, რომ მთელ აბზაცს წამში აღიდგენდა. დიდხანს აკვირდებოდა ცრემლით დაბინძურული თვალებით, როგორ ეფინებოდა თასის ფსკერს წყლით დამძიმებული ფურცლები, როგორ ცდილობდნენ გადარჩენას დიდი ოდინი, იველი, ნადინა და უსერა-მოსა.

წიგნის ერთი ფურცელი ძირს დავარდნილიყო: „... ადამიანი არის არა ორი საწყისი — სული და ხორცი, არამედ სამი — სული, ხორცი და ძვალი — საიდანაც უპირველესი სწორედ ძვალია — იგი არ იხრნება და არ იჭმევა, როგორც ხორცი; არ იყიდება, არ იცვლება და არ წარინყმდება, როგორც სული. იგი მარადიულია და ყველაფერ იმას მოგვითხრობს, რასაც სული და ხორცი ერთად აღეზული. ბიბლიაშიც კი (რომელსაც საზღაპრეთის სხვა ინფანტური მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, იცნობს) მაგრამ ცხადია, არ იზიარებენ) ფიგურირებს ნეკნი, როგორც ყველაზე მყარი, არაცვალებადი და სტაბილური სუბსტანციური საწყისი. როგორია? მტერული არ გახლავთ, ხოლო მართლა ჩონჩხი რომ იყოთ, ჭკვიანურიც კი გეგონებოდათ.“ ანამ საყურეები თასიდან ამოიღო და მაგიდაზე დაასვენა. კვირტებდაბერილ აზალიას წყალი დაუსხა, მინა რომ დარბილებოდა. მცენარის ძირში ჩაის კოვზით გათხარა სამარე და მინაში საგულდაგულოდ ჩაფლა საყურეები, როგორც მისი ჩონჩხის ნაწილი — სულისა და ხორცის მესაიდუმლე.


იმ ღამეს ანამ ისევ ის სიზმარი ნახა. ბაღის შესასვლელთან მენყვილეს ელოდებოდა. დარაჯმა ხელით ანიშნა, შეგასწოროთ. გაუკვირდა, არასოდეს ცალცალკე არ შეუდგამთ ბაღში ფეხი. მესამე მწკრივის ბოლოს ზურგით იდგა ჩრდილი და მეზაღეს ესაუბრებოდა.

— აი, ისიც! — ქალმა ანას ღიმილი შეაგება. ორივემ ერთად მოიხედა, რა ღრმა იყო ანდროს თვალები უსათვალოდ.

„აღარ დაგელოდეთ, ხედავთ თქვენს პატარა ლობოს მარცვალს? კონტურები დღითიდღე ეცვლება, თქვენ შეიძლება ვერც შეამჩნიოთ, მაგრამ ეს თავია, ესეც ხელები. ხედავთ, როგორ ამოძრავებს პანია ფეხებს? როგორც იქნა, ინება მინამ მისი გამოკვება,“ — თავი დაბლა დახარა ქალმა, ისევე როგორც ღვთის წყალობით მადლიერნი ზევით აღაპყრობენ ხოლმე მზერას. ანა საკუთარმა გულისცემამ გამოადვიდა, მეზაღის ხმა სიზმრიდან ცხადში გამოჰყვა. საწოლზე წამოჯდარი გამოფხიზლებას დაელოდა, ფრთხილი ნაბიჯით სამზარეულოში გავიდა და ჩაიდან ცეცხლზე შემოღდა. ფანჯარაზე მომდგარ მზის სხივებს თვალი გაუხსნორა და მასსა და სარკმელს შორის ყველაფერი ჩრდილად აქცია, მათ შორის მაგიდაზე შემოდგმული, ალუმინის ძველ ჩაიდანში ჩარგული აზალია. თვალები მაგრად დახუჭა, თავი მარჯვნივ გადახარა და ორივე ხელით საკუთარ მუცელს მოეხვია.

P.S ანდრო დევნოსადის გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური ზღაპარი „თოვლის ბაბუა მღვიძარ ბავშვებთან არ დადის“ მოიკითხეთ მოთხრობის ავტორთან





ეთერ თათარაიძე

 თავითა რო შემეძლოს □ამ ქვეყანას შემოსვლა□,
 ზენრისფერ სამოსის მეტს ტანს არ გავიკარებდ,
 დიდ სარკმლიან ერთ ოთახს მთის ტატნობზე დავიდგემდ,
 ფარდს არ გავიფარებდ...
 თუნგი ვივლიდ წყლის ლებად, ჭიჭილა'ს ვიტანებდ...
 გრძელ, სქელ, ნაგრეხ დალალებს მკერდზე დავიქანებდ,
 საავო ფიქრს ვიძირკვევდ, სულს არ გავიკარებდ,
 გულს სიყვარულით ვივლიდ, გავსცვეთდ-გავიჭარებდ,
 მზეს არ გუ'შვებდ ცაზე მდგარს, დღეს არ დავილაშობდ,
 ყვავილის ლოგინს ვიშლიდ, ზედ ხავსს დავიფარებდ,
 ლექსის საქსლოებს დავზდგემდ, სიტყვის ბეჭს ვიფხავებდ,
 უჩერებელ ქსოვამი □ელებს დავიტყავებდ...
 ლექსად ქცეულ ლექსთ ქსელში შიგ თავს გავიქვავებდ...

 თქვენ ნახვად მანდ ამოსრულს
 ნეტა ერთ რა დამმართ,
 ჩემ ფე□დუ'დგმელა' მთებო,
 თქვენშიც გულში დამმარხ...

 დედამინამ შემომგმინ —
 „მიგალობე ეთეროვ“...

ლონე რა'გვერ ვიკრიფვ?..

 ბინდ გადე'ფარ ჩემ სარკმელს
 იგრეა'ეც ნაბუნდრევს...
 გულში დარდ-დარდზე დალაგდ
 იგრეა'ეც ნასუდრელს...

 უშენოდ გამოვიარ
 აუუ ! — რა გრძელ სოფელ,
 ვერ ვიჯერებ, ვერ, ვერ, ვერ,
 არ ვარ ჭკუასმყოფელ...

პატრიარქს
 ცასა-დ მზესამც გასწვდების
 ჩვენ პატრიარქ, უფალო,
 სენ-სარიჯელს აგვირიდ
 ჩვენ უნმიდეს, უფალო,
 დღეებ ბადაგად უქცი
 უმაცილო□ -უქარო□,
 ფეხქვეშ ვარდ-ყვავილ უფინ —
 სურნელოვან, უმჭქნარო□,
 ცასა-დ მზესალ გაგვინვდინ
 ჩვენ პატრიარქ, უფალო!

თუშის ქალებ ილოცდეს...

პირდია'ცა
 — თუ სუ□ ეს იყო-დ დამთავრდ,
 ვა ჩემს თავსა-დ ქვა□.
 — ზოგ თვალის ახედვასაც
 ვერ ესწრების , ქა.
 — ადამიან ხარბ ყოფილ ,
 □ამას არ უნდ თქმა.
 — ბოლოს ყველა'თ ერთ გზა გვაქვ,
 არ სწყდებ საფლავთ თხრა□.
 — მოგვაქუჩ-ნაგვაქუჩებს,
 არ დამთავრდებ ნიქმა□...

 ჩემ დამშვრლო-დ დალილო,
 ჩემ ფეხებზედმა სამშობლო,
 როდის დავიდგებ მცხრალ მზე□
 უშბას, მყინვარს ,სამცორნოს.
 როდის ამოშლი-დ ამოხყრ
 დანათმენარ გოდებას,
 როდის ინებებს უფალ
 შენდ სიმშვიდის ბოძებას.
 ჩემ ნატკივნო-დ ნაქანცო,
 ჩემ უტკმილეს მამულო,
 მტრიანობით დამშვრლო,
 სუ თვალ გადანამულო...

 არ დამინყვ მიდ-მოდება□
 უჭკოდა' ჩემ მშვიდება□!
 მე უმძიმეს გზა მიძ წინ,
 გარიდებულ ფლიდებას,
 არ მიკვლიავ, არც ვიკვლევე
 საამქვეყნო დიდებას...

 ზოგჯერ ცისაკ მივფრინავთ,
 ზოგხან უფსკრულს ვიყრებით,
 ხან მზესავით მშვიდად ვართ,
 ხანთხან ქარად ვიფხვრებით.
 ზოგჯერ ხეებად ვყვავით,
 ზოგხან ყლორტში ვიმტვრევით,
 ხან ხვავმდიდარ ყანებ ვართ,
 ხან ნაგვალევენ ვიმჭნევით.
 ზოგჯერ ცის კიდურს ვსწვდებით,
 ზოგხან ჯურღმულს ვიმწყვდევით,
 ბოლოს ცად ნაბინავარნ
 ზეცითა ცვრად ვიმცვრევით.
 □ამ უწყვეტელ წვალებით
 ვიბადებით-ვინთქმებით,
 მითა, ადამისძენ რო
 სოფლის სტუმრად ვითქმებით...

 უჰ, რა დალილიმ გავიღვიძ,
 სი არ მაფრინ -მაფთხიალ
 ლურჯ ჩიტად ქნილ ,უფალო,
 ცა-მყარ ფერადად ნაფენ
 მიმავლიე-დ მომავლი
 უსამანო-უქარო□,
 რა მეტა' მადლობელ ვარ,
 ჩემდ არაფერს არ ღნანობ,
 ჩემ უტკმილეს უფალო,
 □ეგ კიდე მქონდ მოსახილ,
 ჰოა-დ □ეგეც მახილვი
 ლურჯ ჩიტად ქნილს, უფალო!

 გარეე დი'ზარდებიან
 □მა-□აფ თუშის ბიჭებ,
 გარეე გამრავლებიან
 ნამეჩხერალ ფიჭვებ,
 გარეე ირონიებენ
 პირხიბლ თუშის ქალებ,
 გარეე გად-გადმე'დინებ
 მთებს თეთრ ცხვრების ფარებ,
 მინას მწოლელ მოალი-დ
 ლოცვით გადაგვარდებ...

 აშექალი-დ სამძიმარ,
 ინან ქალი-დ მინან,
 განატეხ ქაჯავეთით
 გამონატაცნ, მკივანნ,
 □ახლ ბან-კარ-კურთ მონაფენნ,
 რიბი-რაბონ-მჭვივანნ,
 ქაჯთ წეს-რიგის მაცოდარნ,
 გულთმისანნი-დ ჭკვიანნ,
 ათასდარ ისტორიას
 დღესაც მდიდრად სჭრიან...

 რაგვერ მოვიქც, ველარ ვიც ,
 მეხ-დელგმაში მონაყოლ
 ჩიტს ვარ დანამგვან,
 ჩამომშლი, მინას მრევი
 ოცნებებით ნასარკალ
 კოშკ, ცას დანადგამ,
 მოდ, უფალო, □ელ მომხვი,
 ანაბურდალ-დანაფლეთ
 ჩემ თავს დამამგვან,
 სულს ჩამეფინ იმედით,
 კიდევ ერთხელ გამამდიდრ,
 კიდევ გამამყარ...

პირდია'ცა
 — იქის უფრ ბევრებ მყვანან,
 ერთ სულ მაქვის, როდის შეგნ□სნ
 საიქიოს კარებს.—
 — აუ, დაგწყია გამჩენმ,
 სიკვდილ ი'სრ მაშინებს, რო
 მაგრ ვინუხავ თვალებს.
 — რამდენიც გინდ ინუხე-დ
 რამდენიც გინდ ემალა',
 მაინც განვდენს ალებს,
 ვერავინ გადარშჩენი
 ი'მის გრძლად განაზარდალ
 ნაალმასარ მჭყალებს...

 სუ ერთ დრო არ შერშჩენი
 ადამიანს, უფალო,
 ნლებ ნადენილ, უნანრად
 დღეებ დამდგარ უდარო□,
 შენ სიცოცხლე გწყურები,
 მზიან დღეებ ,უქარო□,
 სიმღერა ბაგეს გშრობი,
 გულს დანა გრტყმი უტარო□,
 მართლ არავის შერშჩენი
 სუ ერთ დრო ,ტკმილ უფალო...

 მე ვარდის ბალ გაგიშენ,
 შენ ცით სეტყვა დამიშინ,
 მე მზეს მიმწვდარ კოშკ აგიგ,
 შენ ბარდ-ეკალ დამიფინ,
 რა'იც გტკიოდ, მოგირჩინ,
 უკურნელ სენ გამიჩინ,
 მე ცისკ სავალ გზე გილოც,
 ლაფლერილ ბილიკ გამიფინ,
 ვაი, ვაი, ეთეროვ,
 შე სულელოვ, გამიციან...

 ნუ დამჯდარხარი-დ აწყობ
 სახვალთო დავთრებს,
 არ ზძინავის გულღრძობებს,
 ეშმაკად ქნილ აფთრებს,
 მოვა-დ ქარამტვრად გაგყრის,
 ცხენის ძუთ გათრევს,
 სულს ამოგ□დის ნამებით,
 ვაიმეე არ გათქმევს...

 „რო ჩიტი გაზაფხულზედა,
 მაქცეული მაქც ენაო...“
 ხალხური

ჰო, დილითივ ვფხანკალებ,
 ჩემ თავნილა ბარტყებიზდ
 ბუდე მაქვის სალაგებ,
 მემრ სარჩოსად მოსავლელ
 ხეებზე, ხის ძირებში
 ჭია-ლუათ ქალაქებ,
 ტანნამძიმარ მოვფრინავ
 შვილებისაკ ქანცგამწყდარ,
 თან მომაქვის ნაალფევ...
 რა'გვერც ჩიტ გაზაფხულზე
 ენა ჭიკ-ჭიკად ქცეულ,
 ბუდეს ვზივარ ნაალქნევ...

 ზოგ დღე შხამი-დ ლიგმოტი,
 ზოგ დღე თაფლი-დ ბადაგი,
 ზოგჯერ სიტყვას ფას არ აქვ,
 დუმილ ზოგჯერ ქადაგი,

ზოგ მძიმე დღე ბუმბულდება,
ზოგ დღე გი'ვლის წვა-დაგვით,
□ამ დღეების ტყვეებ ვართ,
ი'ქისკ წამსვლელნ ბარგ-ბანდით.

სუ ცოტა' ხან ვიარეთ
ერთად, ანა'მ არც,
ალმართზე გავიყარეთ,
ორთავ გავგინყდ ქანც-
შენ გომენრისაკ წახვედ,
მე დანოს გზა ვქანც,
შენ შენ წყაროს ჩე'წაფე-დ,
მე საგრილა' ვცარცვ,
თავ-თავიზდ გმინყრით გაგვთელ
სამზეომა-დ გვფარცხ...

ზღაგების-დ ზღაგებს შუ
ბალახ ამომწვანდ,
ნასვენ საცეცხლურა'ით
სქელ ბოლ ამომწვავდ,
ჩამიჩუმ ჩანაკრეფალ
ნიაე ამოქანდ,
შენაგუბარ ნაკადულ
თავქვისკ ჩამოქანდ,
ვაიმეე , ჩემ თუშეთო,
მანდ უნდ ამოვქანდ...

წავ-მოალი-დ ქანცწყვეტილ
მოგივალი-დ ჩაგემხოზ
ჩემ უტკმილეს დანოო,
არაფერს შესადრელო,
არც ვისაში საშლელო,
არც არავის მგვანოო,
დედამინაზე დიდო,
მთის ქიმზე ბუდედ დგმულო,
ჩემ უტკმილეს დანოო.

შავ, ტანმძიმე ლურბლად ქნილ
ლურჯ ცას გლოვად ვეფარ,
არავინ არ გავიკარ,
ვერავინ ვერ მეკარ,
გავქეჩაქუხილდი-დ მემრ
მინისკ სეტყვად ვეფარ,
გზადაგზა მზე დამენი,
მინას წვიმად ვეშალ,
გამომეღვიდ გულწახეთქს,
სახეს ცრემლებ მეყარ...

არე-მარე ნასუდრიი
ალა-ბულა-ბულულა',
ტანანამჩატ ნისლით...

ფერბინდ კაბის საგულე
ვერ გავიწად ტანითა□,
თეთრკრავლიან ბატკანა'
ავსულმ გამტაც ფართა□,
ადამიზდ ერთგულება□
ვერ ამოვძირკვ □ართა□,
ვერავინ ვნახ ზდობნიყოს
დაბრუნება მთვართა□,
ან მზის ბურჯლუმს ემჯობნოს
ულონო სხივინ, მქრქალიც თან,
სასევედოს არ ეჭარბოს
ლიდინ, იმედ მტანიც თან.

სიჯეილეს რო მაბრუნ,
ცხვა ეთეროდ გავითქმოდ,
წამს უქმედ არ დავხკარგევდ,
დღე-ღამ შრომას დავითქმოდ,
სიმღერად გადაქცეულ
ლურჯ ცისკ სქრევით წავიდოდ,
გაზაფხულ იად მოსრულ
მინას ავიდ-ჩავიდოდ,
ყველა' ტკივილს ავიტანდ,
ყველა' ჯავრს გულს ჩავიდნობდ,
უდაბნოში მწყურვალთად
გრილ-გრილ ,ღრმა ჭად ჩავიდგმოდ,
მწვერვალად ქნილ , თოვლ ზედ ცრილ
ყინულს ვიყრიდ ,დავიდნობდ,
სიჯეილეს რო მაბრუნ,
სიტყვის საყდარს დავიდგმოდ,
საპყართი-დ უქონელთად
საშველ ფესვებს გავიდგმოდ,
ლექსის ეკლესიაში
სიტყვის გვირგვინს დავიდგმოდ.
ლურჯ ფრინველად ნაცქევარ
ფერლურჯ ცისაკ ავიდოდ,
მზე-მთვარე-მასკვლავებსთან
დღეთ შუ სტუმრად დავიდოდ,
მინა სუუ მიყვავილევ , —
უფალს ვვედრებდ, დავგინდობდ.
სიჯეილეს რო მაბრუნ,
ცხვა ეთეროდ გავითქმოდ...

წუხრ ფრიალონ ფრიალით
ერთი უცებ გავიფრინ,
სადლაც შორს ნაყვავილარ
მინდორ ფეხქვეშ გავიფინ,
სურნელშლილ ბუჩქების ძირ
დანაქანცარმ დავიძინ,
ერთი უცებ ნათელ □მამ
მალვიდ, ცისკ გზა გამიმძივ,
ავფრინდი-დ ნათელშლოარ
ბილიკ ცისაკ გამიჭიმ,
ი'ს □მი □მოდ- მომყვივ,
გულს სიხარულ გამინვიმ,
ზეცას მდგარ თეთრ საყდარში
მტრედს სამყოფლო გამიჩინ,
გუმბათითა□ მაცხოვარმ
უთბილესად გამილიმ...

მძიმე ჯაჭვებ ფეხებს მბულ
ყმედ აღმართზე ავდიოდ,
ერთ ნაბიჯ რო მალდ ავდიოდ,
სამით ქვე-ქვე ჩავდიოდ.
ხელში ჯვარი-დ კვარ მეჭირ,
მარზე მზის ცვარ დამდიოდ,
შუ'წყვეტელად ვლოცულობდ,
ცხვა არაფერ ჩამდიოდ.



წვალეების მემრ ცერს ავედ,
ფეხით სისხლზე გამდიოდ,
ლურჯ ცას ნითელ მზე ეღვარ,
მე უწონოდ დავდიოდ.
სხეულითას სულს ვიძვრენდ,
ცხვა სამყოფლოს გავდიოდ,
რა'ს მახილევე ,უფალო,
სი ნამყოფ სი წავდიოდ!..

დამიჯერ, ძნელზე-ძნელიი
უერთგულეს მეგობარ როცა მოგიკვდების,
იმას ღგავის, ხეზე რო დიიდ
ტოტ მოგიტყდების.
ი'ს ტოტია' რო ყვავოდ, ი'ს ტოტია'
რო ისხმოდ, ძირს რო მოგისქდების,
ჩიტადავ ქნილ მსმენელ
რო გვერდზე მოგიჯდების:
ველარც რო შენ შემჩვილებ,
ველარც თავის სადარდელს ი'ს ვერ მოგიყვების,
იცი ,თავადა' რო რშჩებ ,მეგობარ რო მოგიკვდებ,
მზე ვერ მოგიტებების,
ფუძე ეცლებ სამზეოს, როცა ი'მას წავგართვამს,
ვინც შენ მოგიკვდების...

მე რა'იც მინდ, ი'ს არა□,
რა'იც არ მინდ-ისი,
შენ რაიც გინდ, არც ი'სი,
რა'იც არ გინდ-ისი.
რა'იც შენ საკუთვნო□,
სუყველაფერ მტრისი,
მე რა'იც არ მინდ, ჩემიი,
რა'იც ვინატრ, ცხვისიი.
წყალ მინდოდა-დ ზღვისაი,
ლურჯ ფერ მინდოდ, ცისიი.
სითბო მინდოდ ,მზისაი-დ
ნისლ მინდოდა-დ მთისიი,
უნყვეტ დენა მინდოდა-დ
□ეგეც არაგვისიი.

სამზეო მილევას მაქვ,
ან კი რაიდ თქმისიი,
რაიც მინდოდ, ი'ს არა,
რაიც არ მინდ — ისიი...

წვიმა-წყლიან დღეები,
განაქირსლარ, ნისლიან,
ფიქრიც ძაძა ჩანაცვამ,
შიშის მომგვრელ, ფინლიან.
ზამთრისპირის წინაი
იმედლეულ, ფითრიან,
ნისლმხვევ ცის ძირ წერობ
სველ, ნამძიმ მქრებს მისთრიან...
წამდინარა' მტკვრის ტალღებ
ალარყოფნას მისთქმიან.

ჩემ გულის კარ რო გაგვღვ,
ჩამოგეხედ მჭახედ,
ანაწენარ ჯანლის მეტს
ვერაფერს ვერ ღნახევდ.
აუუ, რა'იზდ გიძლიავ, —
გმინვა მომდის მკვახედ.
ჩემ გულის კარ რო გაგეხსნ,
ცრემლის გუბეს ღნახევდ...

მესიზმრ: მაქცი ზეციერმ
ტკმილმოუბარ ბულბულად,
თავს ოქროს ჯილა დამადგ,
ტანს მმოს ფიფქებ ბუმბულად.
ედემის ბალში შემშივ,
მტრედნ მოფრინდნეს გუნდ-გუნდად,
შემეხვეწნეს, გვიმღერევ,
მზე მეხვეოდ ბურჯლუმად.
ამოვილ □მა□ ამი'ღვარ
მრონადა-დ ზადაგად,
ედემის ბალშიავ დავრჩ
სიტკმოების ქადაგად...

ქეროზა' ჩიტად ქცეულმ
წუხრ რა' აღარ ჩავიდინ,
ცისძირამდ ანაფრენალმ
ზეცა თვალწინ გავიფინ.
სიყვარულ მინას დამრჩავ, —
თვალითა ცრემლ დავიდინ,
უკვენ მოწყვეტით დავბრუნდ,
მინა მწკალთძირ დავიფინ.
ცისკ თვალთჭერას მომშალევ, —
ზურმუხტ ველებ დავიპირ,
ქეროზა' ეთეროდავ ვიქც,
ცხელ ცრემლებსთან დავიძინ.
ღმერთო, □სთა საცთურებ
მიცოტა'ე-დ დამიძვირ...

— ჰაბა, სიისაკ ხარივ,—
სიბერე კარს მომადგ.
— გემალ, მაგარ სი წავიდოდ,
ღმილ ბაგეს მომა□მ.
— აჰა, ულონკრობაივ, —
დაუნანრად მომა□ლ.
— ყურთ სმენაი-დ თვალში ჩინ
ნელ-ნელი-ნელ მომაკლდ.
— აჰა, ცრემლთ სამშრალა'ივ,—
ნაფხვერ ტილოს მომანვდ.

საპიტიხის სიციხისათვის წინდანი ვიტყვი: ჩემი მიზანია არა რუსთაველის აღმსარებლობის დადგენა (იყო ის ქრისტიანი, მაჰმადიანი, ბუდისტი თუ სხვა რომელიმე კონფესიის წარმომადგენელი, როგორც ამას ქართველი მკვლევარები გვიმტკიცებდნენ სხვადასხვა დროს), არამედ თანამედროვე რუსთაველოლოგიაში გაბატონებული იმ მავნე და სახიფათო ტენდენციის ჩვენება, რომელიც, ნაცვლად მეცნიერული ანალიზისა, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ერთადერთ და შეუნაცვლებელ მიდგომად იქცა. მეტად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხანგრძლივი არსებობის მიუხედავად, რუსთაველოლოგია ვერ ჩამოყალიბდა მეცნიერულ დისციპლინად და „ვეფხისტყაოსანი“, ეს მართლაც თვალმუდგამი ქმნილება მსოფლიო ლიტერატურისა, მოყვარული ფილოლოგების საჩხირკედელაო ასპარეზად არის დარჩენილი... ისიც ფაქტია, რომ უშუალოდ უშუალოდ რუსთაველოლოგიური ლიტერატურებიდან, სქელი და მრავალგვარდანი გამოკვლევებიდან, სადისერტაციო ნაშრომებიდან თუ მონოგრაფიებიდან, რომელთა სიმრავლეს ალბათ მოზრდილი ბიბლიოთეკაც ვერ დაიტევს, მხოლოდ ცოტა თუა ღირებული, უმეტესობა კი მხოლოდ მეცნიერულობის პრეტენზიით აღბეჭდილ მაკულატურას წარმოადგენს... რუსთაველოლოგიას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, ბევრი ვერაფერი არგეს თვით აღიარებულმა ქართველმა კორიფეებმაც, რაკილა პასუხაუცემელი კითხვები რუსთაველოლოგიაში დღესაც მრავალია.

მიზეზები იმისა, თუ რად ჩარჩა რუსთაველოლოგია ჩანასახოვან მდგომარეობაში, რად იქცა ის ინფანტილური ვარაუდების, ზერელე ჰიპოთეზებისა თუ ტექსტის დაუკვირვებლად გამოტანილი დასკვნების პანოპტიკუმად, ფრიად ბანალურია — ეს არის დოგმატიზმი და ყალბი ეროვნული პატივმოყვარეობა, თანშეზრდილი ავტორიტეტებისადმი ბრმა თაყვანისცემას, თუმცა უმთავრესი მაინც მზერის გამრუდებაა, როცა „ვეფხისტყაოსანს“ რუსთაველოლოგია იკვლევს განყენებულად, კონტექსტისაგან მოწყვეტით, თითქოს ის ციდან ჩამოვარდნილი კომეტა იყოს და არა კონკრეტული ეპოქის ნაყოფი...

რუსთაველოლოგიის ძირითადი ჭირი მეთოდოლოგიური სიბეცეა, რადგან პოემა განიხილება არა ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში, არამედ ყოვლად უსარგებლო და ფუჭი თეორიების პოზიციიდან, უმეტესად მკვლევარის აღმსარებლობის, პროფესიული მიმართულების და მხირი ცოდნის გადმოსახედდან; რუსთაველოლოგებისათვის „ვეფხისტყაოსანი“ არის არა მხატვრულ-ესთეტიკური ქმნილება, არა თავისუფალი და ცოცხალი შემოქმედების ნიმუში, არამედ მკვლევარი სიტყვა, უფერული კატეხიზმი, საკვირაო ქადაგების მსგავსი შეგონებების კრებული, რომლის ნიაღშიც აუცილებლად უნდა მოიძებნოს მკვლევარისათვის სასურველი რომელიმე რელიგიური მიმდინარეობა თუ რწმენა-წარმოდგენები... შედეგად, ეს რწმენა-წარმოდგენები თუ რელიგიური კუთვნილება მიენერება თავად პოეტს... სწორედ ამიტომ თვით საკითხის დასმაც კი რუსთაველის აღმსარებლობის შესახებ მიუთითებს კვლევის მეთოდოლოგიურ სიმცდარეს — ვერაგაგებას იმისას, რომ ისეთი დიდი რეალისტი მწერლისათვის, როგორც რუსთაველია, რელიგიურ-ფილოსოფიური იდეები თუ მსოფლმხედველობრივი განაზრებანი მხოლოდ საშენი მასალაა პოემის შესათხზველად, ხოლო საბოლოო მიზანი ესთეტიკური სინამდვილის შექმნა... რასაკვირველია, ეს როდი ნიშნავს, რომ პოეტი, ვითარცა კერძო კაცი, უიდეო და ურელიგიოა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პოეტის რელიგია სხვაგვარია, სხვა შინაარსისაა, რადგან ნაბოკოვი რომ დავიმონწოთ: „ლიტერატურა არ გვეუბნება სიმართლეს. ის იგონებს, თხზავს მას.“

გამომდინარე აქედან, ძალზე ძნელი და წარმოუდგენელია ჩვენი დიდი პოეტი რომელიმე რელიგიურ-ფილოსოფიურ ყალიბში მოვაქციოთ; ამგვარი პროკრუსტეს სარეცელი მეთისმეტი დამდაბლება და სრული გაუგებრობაა რუსთაველის თავისუფალი შემოქმედებისა... არადა თანამედროვე რუსთაველოლოგია სწორედ ასეთი ფუჭი საქმით არის დაკავებული — როგორმე ქრისტიან პოეტად წარმოგვიდგინოს რუსთაველი, თითქმის ორთოდოქს მორწმუნედ, ვისაც წინ გადაშლილი ბიბლია ედო და „ვეფხისტყაოსანს“

ზურაბ ლავრელაშვილი

არის თუ არა რუსთაველი ქრისტიანი პოეტი?



ისე წერდა... რუსთაველის ქრისტიანობის საკითხი არახალია და ამის გამო ნამდვილი საღვთო ომიც იყო გაჩაღებული, რაც საღვთისმშობლის უცილოდ ქრისტიან აღმსარებლად სახეიმი გამოცხადებით დაგვირგვინდა. აი, რას ასკვნის მაგალითად, სრულიად უაპელაციოდ ერთი თანამედროვე მკვლევარი:

„დღეს გარკვეულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ქრისტიანია — იგი იცნობს და ესესხება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, სარგებლობს ბიბლიური წიგნებით, ბიბლია მისი ერთ-ერთი წყაროა“ (ლ. მენაბდე).

ცხადია, რომ ეს რუსთაველოლოგთა საერთო დასკვნაა, ერთგვარი კონტრესენცია „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის არცთუ ხანმოკლე ისტორიისა და დღესდღეობით ქართველ მკვლევართა საპროგრამო დევიზად შეიძლება ჩაითვალოს...

ცხადია ისიც, რომ ამ დასკვნაში მოცემულია „ბიბლიისტა“ (ასე შეიძლება ვუწოდოთ სიმოკლისათვის რუსთაველის ქრისტიანობის მომხრეებს) მხრივ თავიანთი შეხედულებების არგუმენტირების ხასიათიც, რომლითაც სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიიდან წარმომავლობა უნდა დასაბუთდეს... ქვემოთ შევეცდები ვაჩვენო, თუ როგორ იცვლებოდა ბიბლიისტა სტრატეგია ამ საკითხში, როცა აშკარა გახდა მათი შეხედულებების სრული უსაბუთობა და უმწეობა, დაეყვანათ „ვეფხისტყაოსანი“ ბიბლიურ საფუძვლამდე, ამჯერად კი მოკლედ მიმოვიხილოთ ბიბლიისტთა ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რითაც ისინი ვითომდა „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანულ წარმომავლობას ასაბუთებენ.

ამრიგად, რას ემყარება მტკიცება, რომ რუსთაველი ქრისტიანი პოეტი? უწინარესად, უამრავ ბიბლიურ ციტატას თუ ალუზიას, ლამის ყოველ სტრიქონში რომ გვხვდება... ერთი შეხედვით, ეს უცილოდ ფაქტია — პოემაში თვლა არა აქვს ბიბლიური გამონათქვამების თუ სახემეტაფორების სიმრავლეს და რუსთაველის ქრისტიანობის მომხრეთა მოსაზრებანიც თითქოს დამატებით დასაბუთებას როდი საჭიროებს, მაგრამ საკმარისია ოდნავ

დაკვირვებით შევუდაროთ რუსთაველისეული „ბიბლიური“ სტროფები მის „ერთ-ერთ“ ძირითად წყაროს, ანუ თავად ბიბლიას, რომ მკვლევართა არაპროფესიონალიზმი დღესავით ნათელი გახდეს.

სანიმუშოდ გადავამოწმოთ თავად ხსენებულ მკვლევართა მიერ შენიშნული რამდენიმე მსგავსება რუსთაველის ბიბლიასთან.

„ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისშივე ვკითხულობთ: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ თანამედროვე თუ ძველ მკვლევარებს ეს ბიბლიურ შესაქმეს აგონებთ: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანა... თქვა ღმერთმან: იქმინი სამყარო...“

მსგავსება თითქოს უეჭველია, მაგრამ სხვაობა მაინც შეინიშნება — ბიბლიაში ღმერთი სიტყვით ქმნის სამყაროს („თქვა ღმერთმან...“), რუსთაველთან კი „ძალითა მით ძლიერითა“, რაც შეიძლება პოეტურ თვითნებობად მიგვეჩინა, ანუ იმ თავისუფალი შემოქმედებითი უნარის გამოვლენად, ზემოთ რომ ვახსენეთ; მართლაც, აილო პოეტმა ბიბლიური სტროფი და ოდნავ შეცვალა; „გარდათქვა“, როგორც თავად სწავლიდა; მთავარია, რომ შესაქმეს ნაწილში ის ერთგულად მისდევს ბიბლიას და შესაბამისად, ქრისტიანულ მრწამსს გამოხატავს...

ეს, რა თქმა უნდა, დასაშვებია იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი რუსთაველიც ისეთივე მცირედმცოდნეობას გაამჟღავნებდა პოემის წერისას, როგორსაც თანამედროვე მკვლევარები იჩენენ, როცა ჰგონიათ, რომ შესაქმე მარტო ბიბლიაშია აღწერილი...

ახლა ჩავხედოთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ „არაძირითად“ წყაროს, მაგალითად, ისლამური ღვთისმეტყველების ბურჯის, ალ-ლაზალის „რწმენის მეცნიერების ალორძინებას“, რომელშიც შესაქმის მხრივ იგივე ამბავი ხდება, ოღონდ აქ ღმერთი ნებლობით ქმნის სამყაროს და ეს ძალა არის კიდევ „ძალითა მით ძლიერითა...“ „ვეფხისტყაოსანში“ წერია: „მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა

მის მიერითა...“ ქრისტიანობის მომხრეებს ამ სტროფის წყაროდაც ბიბლია მიუჩნევიათ:

„არა არს ხელმწიფეები გარნა ღმერთისაგან და რომელნი იგი არიან ხელმწიფეები ღმერთისა მიერ განწესებულ არიან.“

აქ თითქოს მსგავსება უფრო მეტია, საქმეს ისევ რუსთაველის ამოჩემებული „სახითა მის მიერითა“ რომ არ აფუჭებდეს... ბიბლიის მიხედვით ღმერთი ადგენს, განაწესებს ხელმწიფეებს, რუსთაველის შეხედულებით კი ღმერთი ქმნის ხელმწიფის პროფორმას („სახეს“), პლატონის ეიდოსის მსგავსს, რაც კვლავ ალ-ლაზალთან გვაბრუნებს, რაკილა მუსულმან ღვთისმეტყველს სწორედ ასე წარმოუდგენია არა მარტო ხელმწიფეთა, არამედ ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსებების ზეციური წარმომავლობა...

და ეს დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ მომდევნო სტროფში:

„შე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა.“

ზოგადად, ალ-ლაზალის გავლენა რუსთაველზე იმდენად დიდია, რომ ეს ვლინდება თითქოსდა უმნიშვნელო, „შემთხვევით“ წვრილმანებში, მაგალითად, ამ სტროფებში:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: ვინ მოყვარესა არ ექებს, იგი თავისა მტერია.“

პოეტმა აქ თითქოს ალაღებდეს, ვოლუნტარისტულად ახსენა ჩინეთი, მაგრამ ეს ვოლუნტარიზმი მყარი სისტემის ნაწილად იქცევა, თუ ალ-ლაზალის შეგონებას გავიხსენებთ: „ეძიეთ სიბრძნე თუნდაც ჩინეთში“.

ალარას ვამბობ ალ-ლაზალისაგან მომდინარე უამრავ აფორიზმზე, რაც ასე ამშვენებს „ვეფხისტყაოსანს“...

უფრო შორდება მიზანს ბიბლიისტთა მონდომება, ერთმანეთის მსგავსად წარმოაჩინონ რუსთაველისეული „თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“ და ეს სენტენცია: „კაცად-კაცადი განიცადების თვისისა გულის-თქუმისაგან“.

სად „ცნობა“ და სად „გულის-თქუმა“? თანაც, არა მგონია „განიცადების“ და „ჭირს ჩავარდნა“ მსგავსი შინაარსის იყოს (შეადარეთ იგივე ბიბლიური: „განიცადენით შრომანი ველისანი“).

ამგვარი დაუკვირვებლობისა და ზერელობის შედეგად ბიბლიისტი მკვლევარები უფრო შორს მიდიან და პოემის პერსონაჟთა ქცევა-აზრებსაც ქრისტიანული მოტივაციით ხსნიან... ცხადია, რომ აქ ჩანს ბიბლიისტთა სურვილი, ავეფხისტყაოსანში „როგორმე მოძებნონ ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც მათი სტრატეგიის მეორე ძირითადი ნაწილია...“

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა, მაგალითად, ავთანდილის ანდერძის „გაქრისტიანების“ მცდელობა. როსტევეან მეფეს ავთანდილი უწერს:

„მიეც გლახაკთა საქურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი არას მქონები.“

ბიბლიისტებს, ცხადია, გულს უხარვთ ავთანდილის ასეთი ქრისტიანული სათნოება და მისი სიქველის წყაროს ისევ ბიბლიაში პოულობენ: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა“ (მათე, 19,21); ასევე: „ყოველი რაიცა გაქუნეს, განყიდე და მიეც გლახაკთა“ (ლუკა, 18,22).

გარეგნული მსგავსება აქ ხომ მაინც არის, იტყვის მკითხველი და მართლაც იქნება, რადგან ეს სენტენციები მხოლოდ გარეგნულად არის იგივეობრივი, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, როცა ჩვენი რუსთაველოლოგები ბიბლიას იმომებენ... გლახაკების დამდიდრება კარგი და მოსაწონი რამ არის, მაგრამ ბიბლია არაფერს გვეუბნება მონათა გააზატებისას; სამაგიეროდ, „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთ „არაძირითად“ წყაროში — ყურანში — მონათა განთავისუფლება სარწმუნოებრივად არის განკურნილი!

აი, რას მიიჩნევს მუსულმანთა საღვთო წიგნი უმთავრეს სიქველად:

„იცი კი, რა არის სიქველის მწვერვალი? ტყვეთა გამოსყიდვა, შიმშილობისას მოყვასის ობლის და უცხო გლახაკის დაპურება.“

კონტექსტს რომ ხვდებოდნენ და მუსულმანურ ადათ-წესებსაც ასე თუ ისე მაინც იცნობდნენ, ბიბლიისტები უთუოდ იმასაც ჩაუფიქრებოდნენ, მაჰმადიანურ გარემოში, ძალიანაც რომ ნდომოდა, ავთანდილი ქრისტიანულ სათნოებებს ვერ გაამჟღავნებდა. არადა ავთანდილს ეს

მურმან ჯგუბურია

ცოტა რამ „26 ივნისის საიდუმლოზე“
ანუ პიესა — პიესაში

ეპა, ლამეც, სულის ჩემისაებრ ბნელო,
მამცნე იდუმალნი ზრახვანნი შენნი.
კონსტანტინე გამსახურდია

1.
ერთმა ახლო მეგობარმა შესთავაზა შემდგომში საქვეყნოდ აღიარებულ პოეტს, მცირე ხნით დავეთხოვოთ ამ ქალაქს, სადაც არავინ შენს ლექსებს არ კითხულობს, წავიდეთ სოფელში, თვალს წყალი დავალევივით, გული გადავავლოთო. მთიან სოფელში ხეტიალისას მეგობრები წაწყდნენ მწყემსების კარავს. სახელდახელო სუფრა გაიშალა. კარგა რომ შეზარხმდნენ, მეგობარმა სთხოვა პოეტს, მწყემ-

სებისთვის წაეკითხა თავისი ლექსები. დიდი ორგემგებობის მიუხედავად, პოეტმა ლექსები მაინც წაიკითხა. მწყემსებმა მთქმელი ხელებში აიტაცეს და კარგა ხანი აბურთავ-ათამაშეს. რა გაიგეთო, პოეტმა ვერაფერი ვერ გაიგეთო, მწყემსებმა. აბა, რამე გამახალისათო, რომ ვინცა ვერაფერი გაიგეთო, მაგრამ იმას კი მივხვდით, ვილაც უხილავს რომ ელაპარაკებოდითო, მწყემსებმა.

აი, ეს ამონაკითხი მაგონდებოდა როსტომ ჩხეიძის „26 ივნისის საიდუმლოს“ რომ ვკითხულობდი. უკეთ, რომ წავიკითხე და მერე ისევ მივუბრუნდი. „წაიკითხეთ ორგზის“, „წაიკითხეთ სამგზის“ მიაწერდა

არც უფიქრია, რაკილა როსტომისა და თავისი რელიგიის თანახმად უწერს ანდერძს:

„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს
საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა,
ზოგიც ხიდთა ასაგებად.“

რატომ სთხოვს ავთანდილი მეფეს მაინცდამაინც ხანაგათა აგებას და არა, ვთქვით, ფუნდუკის ან ქარვასლისა? ბიბლიისტიკისათვის ეს, რა თქმა უნდა, კვლავ უმნიშვნელო წერილმანია, ოღონდ არა რუსთველისათვის... „ხანაგა (ხანი-გახ)“ — სუფიელთა სამლოცველოა და ავთანდილიც თავისი რწმენის შესაბამისად ითხოვს მის მიერვე დანატოვარი ქონებით „ეკლესიათა“ შენებას...

რამდენად არის ეს ქრისტიანული რწმენის შესატყვისი, მკითხველმა განსაჯოს! თავად ანდერძიც სუფიური ტერმინოლოგიაში არის შედგენილი და ავთანდილიც მუსულმანური ღვთისმეტყველების ფარგლებში უსაბუთებს როსტომისა და პარვის გადანყვებილებას. მაგალითისათვის ავიღოთ ავთანდილის შემდეგი გამონათქვამი, როცა ის როსტომის თავის განზრახვას აცნობებს:

„სადა გინდ ვიყო, რა მგამა,
ყოფამცა მქონდა ნებისა!“

თავის დროზე იქნებ ამ გამონათქვამიც ნააქვია ე.წ. ქართული „რენესანსის“ თეორიის შემქმნელები, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ქცევა-მსჯელობებში ინდივიდუალური ნების გამოვლენა დაენახათ და მათაც საკმაოდ, მაგრამ სრულებით დაუსაბუთებელი ხოტბა უძღვნეს პოეტურ რენესანსს საქართველოში...

ნამდვილად კი ავთანდილს არც უცდია პირადი ნების გამოვლენა, რადგან ის პატრიონის მორჩილი და მოყვარული ყმაა და მისგან ასე გამოხატული ნება არა მარტო წარმოუდგენელი თავხედობა და კადნიერებაა, არამედ ულოგიკობაც, რადგან ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, სრულებით ზედმეტია ფილოსოფიითა და მოციქულებით აპელირება და მეორეს მხრივ, ანდერძის მიზანი აღუსრულებელი რჩება, რადგან მოსალოდნელია, რომ როსტომის ალარ „შეინყალებს“ მას და არც მის სულზე იზრუნებს სამომავლოდ, თუკი ავთანდილს რამე დაემართება...

მამ რად ამბობს იგი ამ სიტყვებს? ამისათვის კვლავ ალ-ლაზალს უნდა ჩავხედოთ, რაკილა რუსთველს ქართულად აქვს ნათარგმნი ისლამური საღვთისმეტყველო ტემინები და მათ შორის „ნებაც“, რაც ალ-ლაზალის ეულ შესაქმნე ქრისტიანული სულიწმინდის მაგვარი შემოქმედებითი ძალაა... ახლა ხომ იოლი გასაგებია, რომ ავთანდილი „სულიწმინდის“ იმედით მიდის შინიდან და მისი გადანყვებილებაც ღვთის ნებას ეთანხმება!

ცხადია, თუ რა ზედმიწევნით ინარჩუნებს ჩვენი პოეტი „ფაქტურას“ და ესეც სრულებით ბუნებრივია: რეალისტი მწერლისათვის განა უცნაური არ იქნებოდა, მუსულმანი მეფისათვის თავადაც მუსულმანს, ავთანდილს, ქრისტიანული ღვთისმეტყველური არგუმენტებით რომ განემარტა თავისი განზრახვა?!

სხვათა შორის, ეს შეუნიშნავს რუსთველის ქრისტიანად აღიარების ერთ-ერთ ცნობილ მოთავეს ვიქტორ ნოპაქსაც: „არგუმენტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არ არის ქრისტი, არც სამება და სხვა ასეთი, აიხსნება მხოლოდ იმით, რომ პოემაში შესაძლებელი არ არის მათი დასახელება, რადგან მის გმირებს რომ იესო ქრისტი, ქალწული მარიამი, სულიწმინდა, ჯვარი ელაპარაკათ, „ვეფხ-

ისტყაოსანს“ მოაკლდებოდა მხატვრული სიმართლის გრძობა და აღარ ექნებოდა მას აღარც მხატვრული შემეცნების სინამდვილე.“

თუმცა რანაირად არის შესაძლებელი ერთდროულად მხატვრული სიმართლეც დაიცვა და ამავე დროს მუსულმანურ გარემოში ქრისტიანიც იყო, პატივცემული მეცნიერი ამას აღარ გვიხსნის...

სამაგიეროდ, სრულებით კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ვინც სუფიზმს ოდნავ მაინც იცნობს, „ვეფხისტყაოსანში“ მის ნატამალსაც ვერ იპოვნის!

არანაკლებ კატეგორიულია კორნელი კეკელიძე:

„თუმცა პოეტი მაჰმადიანური ქვეყნების შესახებ ლაპარაკობს, მაჰმადიანურ ამბებსა და წრეს აგვიწერს, ის არის ქრისტიანი და არა მაჰმადიანი რწმენით.“

მკითხველი უკვე მიხვდა, რომ ქართული მეცნიერების ერთ-ერთი კორიფეც სწორედ „ნასესხობას“ და „ქრისტიანულ მსოფლმხედველობას“ გულისხმობს არგუმენტად...

თუმცა შუბი ხალთაში ვერ დამალდებოდა და ბიბლიისტიკაც არჩევანის წინაშე დადგნენ: მათ ან სიმართლე უნდა ელარებინათ, ან სტრატეგია შეეცვალათ და ცნობილ ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ ზვიად გამსახურდიამ უკვე თავად ისლამი გამოაცხადა ფარულ ქრისტიანობად!

სუფიური მიმდინარეობა ისლამში მხოლოდ გარეგნულად არის მუსულმანური, თორემ მისი შინაგანი მხარე ქრისტიანობითა ინსპირირებული...

ასეთი „ფართო ქრისტიანობის“ შემოღებით ბიბლიისტიკებს, ცხადია, ხელფეხი გაეხსნათ და რუსთველოლოგიაშიც ახალი ერა დაიწყო, როცა „ვეფხისტყაოსანში“ ლამის ყოველი სიტყვა თუ გამოთქმა ბიბლიის უკავშირდება!

ოღონდ, ჩვენდა სამწუხაროდ, ახალი სტრატეგიის მიუხედავად, ბიბლიისტთა არგუმენტების ხასიათი მაინც იგივე დარჩა, რაკილა ნასესხობის ნაცვლად ამჯერად უკვე შორეულ და მეტად ბუნდოვან ასოციაციებს მიეცა ფართო გასაქანი... საგაზეთო წერილში ძნელია დაწვრილებით განვიხილოთ ამ შეხედულებათა ყველა ნიუანსი, მაგრამ სანიშნოდ შეგვიძლია ბიბლიისტთა მტკიცებულებების ასეთი ჯაჭვი წარმოვადგინოთ: ვთქვათ, უნდა დამტკიცდეს სუფიური „მეფე მჯაზის“ ფარული ქრისტიანული ფესვი... როგორ ასაბუთებს მერე მკვლევარი ამას? მტკიცების ბაზისად ის იღებს რომელიმე ევროპული მკვლევარის თავისთავად ფრიად სადავო მოსაზრებას, რომ „მეფე მჯაზი“ უთუოდ ბანუ ოდრჰას ტომის ჩვეულებათაგან მომდინარეობს, ხოლო ამ ჩვეულებათაზე ასევე უდავოდ ქრისტიანმა ბერებმა იქონიეს გავლენა...

შედეგად, „ფართო ქრისტიანობის“ ფარგლებში, რუსთველოლოგიამ საბოლოოდ უგანა მეცნიერულ კვლევას და ბიბლიურ ასოციაციათა ისეთ უღრანში შეაბიჯა, რომლიდანაც გამოსვლა უკვე შეუძლებელია... სადღესობად ათობით მოყვარული ფილოლოგი მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ ლუპით შეიარაღებული, გაფაციცებით დაეძებს პოემაში ბიბლიურ ანალოგებს, მაგალითად, ასეთი ასოციაციით: ავთანდილმა ლომის სისხლი დაასხა ტარიელს, სისხლი კი ჯვარცმაში ფიგურირებს, მაშასადამე, აქ გრაალის თასი იგულისხმება...

მართლაც რომ შეუცნობელ არიან ქართველ მკვლევართა გზანი ბიბლიურნი!


ხოლომე თავის ამა თუ იმ ლექსს რობერტ ფროსტი.

რამდენჯერ უნდა წავიკითხოთ ესა თუ ის ნაწარმოები, რომ მისი შინაგო გავითავისოთ? ეს, ცხადია, თავად ნაწარმოებზეა დამოკიდებული, მაგრამ, ასევე ცხადია, რომ დამოკიდებულია მკითხველზეც. რა დონის ნაწარმოებია და რა დონის მკითხველი. ბატონი მერაბ ბერძენიშვილი მთელი თავისი ცხოვრება მარტო „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობს.

ზოგი დღის სინათლეზე კითხულობს. ზოგი — სანთლისა და ელექტრონის შუქზე.

ხომ სამახსოვროა პრუსტის ნააზრევი „კითხვის შესახებ“, მაგრამ გაცილებით დამაფიქრებელია ნეტარი ავგუსტინეს განაზრის მსგავს ვითარებაზე. კამიუ ამბობს, დღის სინათლეზე ფრინველები თითქოს უმიზნოდ დაფრინავენ, საღამოობით კი

დასასრული მე-16 გვერდზე



ამავე დროს კი არის ერთი უტყუარი ტესტი ჭეშმარიტების დასადგენად, რასაც ბიბლიისტიკები ასე ჯიუტად გაურბიან: ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი!

სწორედ ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი მოგვეცემა საშუალებას, გაბედულად გვემტკიცებინა, რომ ეს ქრისტიანული მსოფლმხედველობა, მათ შორის ეზოთერული შეხედულებანი თუ ქრისტიანიზებული სუფიზმი, განსაზღვრავს როგორც ამბის განვითარებას და კონფლიქტის შინაარსს პოემაში, ისე პერსონაჟთა ქცევა-მოქმედებას!

არადა ბიბლიისტიკები სწორედ ამგვარ ანალიზს არიდებენ თავს და ნაცვლად ჟანრულ-ესთეტიკური ძიებისა კვლავაც ვახტანგ მეექვსის დროინდელი ზღაპრებით ერთობიან შესახებ რუსთველის ავთენტურობისა და ქრისტიანული სულისკვეთებისა!

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს თანაბრად ეხება როგორც გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, ისე უამრავ საყველპუროდ ინფორმირებულ მკვლევარს, რომლებიც ასევე უამრავ შეცდომას აირიდებდნენ თავიდან, „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზისას მარტივი ჭეშმარიტებით რომ ეხელმძღვანელათ: ლიტერატურულ თხზულება ჟანრის კანონებს ემორჩილება და შესაბამისად, მას თავისი „პასპორტი“ აქვს, ანუ მასში ნათლად ჩანს, რა თქმა უნდა, უკვე ხსენებული ჟანრულ-ესთეტიკური ანალიზის საფუძველზე, რა ფილოსოფიურ-რელიგიური კონცეფციები უდევს მას სარჩულად და ლიტერატურის განვითარების რომელ ეტაპს ასახავს! შესაბამისად, ამით შესაძლებელია დადგინდეს არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ კუთვნილება ამა თუ იმ ჟანრისადმი (რაც რუსთველოლოგიას დღემდე არ გაუკეთებია და მარტო ეს ეყოფა სირცხვილად!), არამედ თავად პოემის დანერის ზუსტი ისტორიული დროც!

ამ ფონზე კი რუსთველოლოგთა არაკომპეტენტურობა და დილეტანტიზმი მეტისმეტად თვალშისაცემია... ვთქვათ, იმავე ვიქტორ ნოზაძის შემთხვევაში, როცა ის სუფიზმს უარყოფს „ვეფხისტყაოსანში“... ნუთუ პატივცემული მეცნიერი ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ მის მიერ დახასიათებული სუფიზმი ბერულ-ასკეტური მიმდინარეობაა, ოფიციალურ ისლამურ რელიგიაში კი ის სრულებით სხვა შინაარსით არის შესული?

მეორეს მხრივ, სრულებით გაუმართლებელია ხელაღებით იმის მტკიცებაც, თითქოს პოემა სუფიურ კონცეფციას ეფუძნებოდეს, რაკილა აქ ჩვენ ვერ ვხედავთ სუფიური მოძრაობის ძირითად ნიშნებს, თუნდაც ოსტატისას და შეგირდისას, რაც ამ რელიგიური პრაქტიკის მახასიათებელია, რაკილა არც ავთანდილია დერვიში და არც ტარიელი — მისი მიუ-

რიდი... ასევე გაუმართლებელია ვამტიკოტო სუფიური „მეფე მჯაზის“ ანალოგია პოემაში მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ პერსონაჟები შორით ბნდებიან და ველად ეხებებიან...

ამის მსგავს შეცდომას იმეორებს კორნელი კეკელიძეც, როცა ამტკიცებს რუსთველის ვითომდა „პირველად“ ქრისტიანობას მხოლოდდამხოლოდ იმის საფუძველზე, რომ პოეტი ბიბლიურ ციტატებს იშველიებს სახე-სიმბოლოთა შესაქმნელად, „ვეფხისტყაოსანში“ კი რელიგიური აზრის განვითარების მხრივ სულ ცოტა უკვე „მაღალი სქოლასტიკა“ შეინიშნება!..

უფრო კურობულია ქრისტიანულ სათნოებათა რანგში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების აყვანა, მაგალითად, საღვთო სიბრძნედ, „სოფიად“, ნესტანის მოხსენიება — იმ ნესტანისა, ვინც სატრფოს ხვარაზმელი სასიძოს მკვლევლობა დაუკვდა!

აშკარაა, რომ რუსთველოლოგები ვერ ანსხვავებენ მეორეხარისხოვან წერილმანებს ძირითადისაგან... ეს კი, როგორც ითქვას, სწორედ ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზით მოხერხდებოდა, მაგალითად, ამგვარი მარტივი შეპირისპირებით, არის თუ არა „ვეფხისტყაოსანი“ ჰაგიოგრაფიული თხზულება? თუ არის, მაშინ მასში ამბის განვითარებასაც და კონფლიქტის შინაარსსაც ბუნებრივად უნდა განსაზღვრავდეს ან სუფიური რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ან ქრისტიანული მსოფლმხედველობა...

ამის ნაცვლად კი, როგორც უკვე ბევრჯერ ითქვა, ბიბლიისტიკები დღემდე განაგრძობენ თავიანთი ინფანტილური ვარაუდებისა თუ ზღაპრულ-ფანტასტიკური ჰიპოთეზების პროეცირებას „ვეფხისტყაოსანზე“ და გასაოცარი არაკომპეტენტურობისა თუ ელემენტარულ ლოგიკას მოკლებული მცირედმცოდნეობის დემონსტრირებას!

უფრო მეტიც: ამნაირი უფიცობა და დილეტანტიზმი სახელმწიფო რანგშია აყვანილი, რაკილა ყოველწლიურად საკმაოდ სქელტანიანი კრებულები გამოიცემა სახელმწიფო ხარჯით მოყვარული ფილოლოგების უმნიშვარი აზრების გამოსაჩენად! ნუთუ რუსთველს ეს ეკადრება? როდემდე უნდა გრძელდებოდეს არაპროფესიონალიზმი და უფიცობა რუსთველოლოგიაში? ნუთუ აღარ დადგა დრო, რუსთველოლოგია ახლა მაინც იქცეს მეცნიერულ დისციპლინად და ისევ ვახტანგ მეექვსის დროინდელ მეზღაპრობად არ დარჩეს?

თუმცა რუსთველოლოგიის დღევანდელი „გაქანებისა“ და გრაფომანული მისწრაფების შემხედვარემ, ძნელია, ოპტიმიზმი შეინარჩუნო...





ჯარჯი ფხოველი

ას მთები

ეს მთები, როგორც მამაშვილები:
კაცები, თავი ვინც გაიმეტა,
მოვლენ და იმედს მომაშველებენ:
ეს მთები მყვანან ბოლო იმედად!

თქვენ ამარიდეთ სიტყვა უცადი,
თქვენ დამასიზმრეთ გზები, ხიდები...
ფიქრი, გულიდან მწვანე ფურცლამდი
თქვენ მოიტანეთ ხელისკიდებით...

მთებო, გადამხვევთ საესე მთვარის ხელს,
ჩემს გულში თოვლი უნდა გაკვალთ,
მოდით, დათვალეთ, დაახარისხეთ
სტრიქონი, წმინდა და სააკვანო!..

ეს მთები: მთების გულში ეტევი...
ეს მთები: მდგარნი მამშველებით...
ეს მთები: მთები და იმედები...
ეს მთები, როგორც მამაშვილები...

და შავნალველი...

და საუკუნე, ძრწოლით დალილი,
ცეცხლს რომ გიკიდებს, გულის მდალველი...
და შუალამე ერთგულ ძალღვივით
კვალდაკვალ მოგდევს... და შავნალველი:

ესეც ერთგული, გულზე დახლილი,
ესეც მწვერვალი, ზედ რომ ახველი...
და შუალამე ერთგულ ძალღვივით...
და შუალამე... და შავნალველი!

პალი სამოთხის

განაღე გული ვინმე მესხივით,
ცას მისწვდი, სადაც ქარნი ზვივიან...
მოდი, სტრიქონებს ცეცხლი ასესხე:
აღანთე ალხი და ალქიმი!..

ყოფნა-არყოფნა ბედის ბადა:
შენ ეს წყვდიადი თვალს ნამოგთხრის...
საქართველოში რომ დაიბადე:
თან არ წაილო ვალი სამოთხის!

ქალაღის უდაბნო

უდაბნო: ქვიშის და მზის ნამცეცების აღრევი შობილი.
ხოლო მზის ნამცეცი უკვდავი ბალახია, მზის ნამცეცი
უკვდავი ტყეა, მზის ნამცეცები ხომ ჩვენ ვართ: მე და
შენ... მზის ნამცეცებზე სამყარო დგას და ჩვენც
ვდგევართ. მზის ნამცეცებით ცარგვალა მოფენილი.
მზის ნამცეცები ვარსკვლავკრიალა ღამეს აღვიძებენ.
მზის ნამცეცები ჩვენს სიზმრებს ეფინება შემოდგომის

ფოთლებივით... მზის ნამცეცები დედამინის თვალს
ბასრავენ...

ქალაღის უდაბნო სულ სხვა რამ არის: მზის
ნამცეცები, ქალაღის ფერფლი, ნაკუნები, კაბინეტები
და ბიბლიოთეკების მტვერი და თებო... და ფოთლები
სულ სხვა ჯიშის ბაობაბების... ქალაღის უდაბნო:
მატერიკი თვალუნიერი... თეთრი, თეთრი ისე, როგორც
იანვრის თოვლი...

შენ ქალაღის უდაბნო თუ გიგრძენია; იქ ოაზისიც
შეგხვდება და, ალაგ-ალაგ, პირგამშრალი წყაროების
ჩურჩულიც ისმის და ქალაღის უდაბნოში პოეტი დგას
ათასწლოვან ბაობაბივით... აქ ოდესღაც უღრანი ტყე
ხარობდაო, ეგრე ამბობენ... ეხლა ხეთა ნატერფალებზე
თეთრი ფოთლები ყრია უკიდო ველის კიდევან — მზის
ნამცეცებში არეული, კაცთა ყოფნის ნარჩენებში
ალუფხული, შერეული ისტორიის ხავსმოდებულ
ხარახურაში... აქ უცხო მგზავრი გაივლის და – ველზე
რჩება დინოზავრის ნატერფალები... აქ პოეტი დგას
ათასწლოვან ბაობაბივით: თვალს უბნელებს უდაბნოს
ლიბრი და ტოტებზე შერჩენია ენის ხავსი, ენის ფესვთა
ნაგლეჯები, არეული თიხაში და ცელოფანის
ყვავილებში, დროის კვამლში, დროის ნაცარში...

თუ გაგივლია ამ უდაბნოში, თუ გინახია აქ ქალაღის
ციხე-კოშკები: და დღეები და ღამეები და გამქრალი
ეპოქები, აკინძული ხავსგადაკრულ ტომეულებად... და
სწეული დრო, აქ ქალაღის ფურცლებს რომ ყლაპავს
მაცოცხლებელ ტაბლეტებივით... და სიცოცხლის
ხანგრძლივობით უკვდავ ქვიშას რომ ეჯობება!

ჩვენ ავაგეთ აქ ქალაღის ქალაქები, ცადანვდილი
ცათამბჯენები და ისტორია დავამწყვდიეთ
გამოქვაბულში, რომლის კედლებზეც,
მჭვარტლნასვამებზე, დავკიდეთ ცეცხლზე
გამოსაშრობად სტრიქონები: ნავანერეთ აქ პირველი
სიყვარულის გრძელი ამბავი... პირველი ლოცვა და
პირველი სავედრებელი და ვალიარეთ უწინარეს ჩვენი
მშობლები: დედა ენა და მამა ენა

შენ კი რატომ გაგიკვირდა, შენს ოთახში უდაბნომ რომ
შემოაბიჯა: ბიბლიოთეკის დარბაზებში რომ წევს ის და
იმის მტვერში ჩაძირული სახელები რომ ქვითინებენ:
გენიოსები, საკუთარი გულის გვირგვინოვანი
არტერიები ამ უდაბნოს რომ აჩუქეს და მიმოაბნიეს
ბაგებებამშრალ და მოწყენილ ოაზისებში, თეთრი
ქვიშით გადათოვლილ გორაკებზე და ხეობებში...

ირმის ნახტომის რძისფერი თებო ყრია ქალაღის
უდაბნოში და გადმოსმის კოსმიური ქარის ქვითინი:
სწორედ ისეთი სიმღერაა, რომ გესმოდა შენ იმ რძისფერ
გზისნაპირებზე მაშინ, როცა აქ მოდიოდი გზაშემოღილი
და გულღორღიანი და გალაქტიკის მჭრელი ქარი
შუბლს გიგრილებდა.

და ქალაღის უდაბნოში პოეტი დგას ათასწლოვან
ბაობაბივით... იმის ფოთლებზე, ცხელ ქვიშაში

დაფენილებზე, ყოველწამიერ ვილაც ხატავს ცინცხალ
სტრიქონებს... და გადიან საუკუნენი: ქვიშა ქვიშას
ემატება, ფოთოლს ემატება ისე ფოთოლი...

უნდა გითხრათ მე სიმართლე გულშემზარავი: თქვენ
ქალაღის უდაბნოთა მგზავრები ხართ, ჯიგიტებო
მზედაკრულებო; მე ვიცი მწარედ შეათამაშებთ მზის
ისრებით დაჩხვლეტილ ზურგებს... დაჭიმავთ უღლის
კამეჩებივით გადაქლეტილ, დაჭმუჭნილ კისრებს,
რკინის უღელი და ტაბიკები ჯერაც რომ არ
დავინყებიათ... და ხანდახან წინ გაიმეერთ გაძვალულ
ხელებს: ხელისჩამორთმის და მოხვევის სურვილი რომ
დავინყებიათ!.. ირმისნახტომის მათხორეობო,
ვარსკვლავების თეთრ მუხლებთან დაჩოქილებო, აქ,
ქალაღის უდაბნოში ხომ ეძებთ ბედნიერება, იმის
მიბაძვით, ვინც დალახა ძველისძველი უდაბნოები და
ვერაფერი ვერ იპოვა და მისი კვნესა პირგამშრალ ცას
აეტოტა და შეერია მზედალეულ დუინებს და ბაობაბის
დამჭკნარ ფოთლოვანს...

აქ ძველპოეტებს გზა აერიათ: და მრავალი წელიწადია
და მრავალი საუკუნეა გზას მიიკვლევენ უდაბნოთა
ბალახბულახში... აქა ყრია კრატერების დაცლილ
ჯამებში ძველპოეტების დარდის ნაცარი... ისინი დიან
უდაბნოს კარად სისხლისგამღებ დონორებივით... და
ოაზისებს მათი დიდი ცრემლი აცოცხლებს.

ო, მზეო, მზეო, შენ ქალაღის უდაბნოში უფრო მწველი
ხარ! კევრად ტრიალებ ჩვენს დაპობილ და დაჩეხილ
თავისქალებზე... უდაბნოთა დიდო დედავ, შენ
ქალაღის უდაბნოც ხომ მკლავზე არნიე... ო, მზეო,
მზეო, შენ დახატე ეს უდაბნო: ჩვენს გულეში
დაამწყვდიე ქვიშრობის კვნესა!

გამოიღვიძეთ, ჯიგიტებო უდაბნოსანო! თქვენ ვერ
იცხოვრებთ ამ უდაბნოში: სულ სხვა უდაბნო უნდა
ეძებოთ! შორს წასვლა სულაც არ მოგიწევთ, ის ახლოს
არის: ინტერნეტის პირგამშრალი, შავი უდაბნო... აქვე,
ახლო სამეზობლოში... და ჩვენ, ქალაღის უდაბნოს
შვილებს მოსახდენი გვაქვს მოსახდენელი: ამ ქვიშას
უნდა დავუტოვოთ ჩვენი გულის ნაფლეთები და წიგნები
და ფურცლები და ფურცლები აურაცხელი... და, ვინც
ქალაღის ერთგულები ვართ, ვალიაროთ რომ ეს
უდაბნო შავნალველის და მწუხარების შავი გზა არის:
სიკვდილის გზაა გულშემზარავი!

მაკულატურას არ დაგარქმევ: ხელი მომტყდება! შენ
ქალაღის უდაბნო ხარ, კეთილი, წმინდა... წმინდა
უდაბნოს წმინდა ქვეზე ჩვენ ნავანერეთ წმინდა
სახელებს: ისინი, მართლაც, ბევრი არიან. იმათი
ლოცვა გადმოსმის დუინების განდაგან, შორით,
უდაბნოს წმინდა ვარსკვლავებიდან...

ერთი პოეტის სამარეზე ყორანი ზის ამ უდაბნოში...
ხოლო მეორე პოეტის დარდს გააცხადებს დაჭრილი და
გულმოკლული არნივის ლანდი... სხვა პოეტები
ჩაძირულან ენის საღვთო მღუმარებაში... ეს უდაბნო ხომ
ყველას ეკუთვნის...

ინტერნეტის გულდახმული, შავი უდაბნო... და ქალაქის უდაბნოდან იმ უდაბნომდე მხოლოდ ერთი დღის სავალი არის... იმ უდაბნოში კოსმიური ბუქია და ნოუტბუქია!

მე ვარ ქალაქის და სიკვდილის უდაბნოელი: მგზავრი, ვინც გულის ნაფლეთები ამ უდაბნოს დაუტოვა და, ვინც ნიგნები და ფურცლები და სტრიქონები და თვალისჩინი უდაბნოს მზეს აჩუქა და უგულოდ და უსინათლოდ თეთრ ქვიშაზე მიიციტებოდა...

მე ვარ ქალაქის უდაბნოელი: ის გადავლახე და იმისი მზე დავლიე და გული მენვის... და მტკივა, მტკივა მზის ისრებით დაჩხვლელი ხელისგულები... ეს სიკვდილის უდაბნო იყო! გამოვალნივ კიდევ, მაგრამ წინ დამიხვდა სულ სხვა უდაბნო: ინტერნეტის პირშეკრული გამოქვაბული, შავი უდაბნო... ის მთხვავ ყველაფერს, რაც ქალაქის უდაბნოში გამოვატარე: ის სტრიქონები,

ის ნიგნები, ის ძვირფასი სახელები... თუმცა არ ვიცი შავ უდაბნოს ხრიკ ველზე ფესვებს როგორ გაიდგამს და განედღება ჩემი დარდი, სხვა უდაბნოს შხამდალეული...

პოეტის გულის საიდუმლოს მე გავანდობ დაუშურველად და დაფუხავთ თეთრ ქვიშაზე სიყვარულის ცეცხლში ჩამდგარ ადამიანებს, გავანდობ იმ დარდს იქ, სიკვდილის უდაბნოში მე რომ ვატარე.

რალაც დამთავრდა, რასაც გადაწყვეა ჩემი ნაწყენი გულისტკივილი. მშვიდობით, ჩემო თეთრო უდაბნოვ! შენი ქვიშა და სიმხურვალე თვით საჰარის უდაბნოსაც შემურდებოდა! მშვიდობით, დიდო პოეტებო, ნამებულეო, სანახევროდ ღმერთებო და სანახევროდ პოეტებო!.. ამ უდაბნოში თქვენს ღვთაებრივ კვალზე ვიარე...

აქ ჩვენ ვიყავით: პოეტების წყეული კასტა და ჩვენ მუხლამდე დავეფალით თეთრ უდაბნოში... პირველმამებო, ერთი მითხარით და თქვენც, პირველპოეტებო, ერთი მითხარით, რატომ დამტოვეთ ამ უდაბნოში, ამ ცხელი მზის და ამ ხორშაკი ქარის პირისპირ!.. თქვენგან აშლილი ქალაქის მტვერში მე ვეფლობი ეხლა წელამდე!.. ისიც კი არ დაიბარეთ, პირველმამებო, რაც გველოდა ჩვენ, ქალაქის უდაბნოში მიტოვებულებს!.. აბა, რა ვუთხრა ეხლა იმას, ვინც ამ გზაზე მოემართება, რა ნაფუნერო მე უდაბნოს გზისნაპირებზე?!

ვინც ობლად დარჩა თეთრ უდაბნოში, ეს ჩვენ ვიყავით: პოეტების წყეული კასტა... და იმდენი ვითავცემეთ და გულეში ამოვიგლიჯეთ... და იმდენი ვიღვრიეთ, რომ სიზმრები გავუფანტეთ გალაქტიკის მოსახლეობას!

უდაბნოების ღმერთო მაღალო, შენ დაიფარე ის უკვდავი სახელები, ვინც ქალაქის უდაბნოში ფეხი შედგა თავდაპირველად... უდაბნოების ღმერთო მაღალო, აქ ბევრს, მართლაც გზა აერია და ოაზისს ველარ მიაგნო, ვერ იგემა ცივი წყარო, კბილისმტეხავი!

აი, ისიც, დიდი მოხუცი: ჩვენზე მლოცველი, კავკასიის მთების შვილი უპირველესი: ამ ქალაქის და სიკვდილის უდაბნოში ჩვენი დაღლილი სულების მწყემსი... ის ლუხუმივით აიშრთა ლამარის გორზე და მოისმინა ღმერთის სიტყვა, თავდაპირველი... და ჩვენ მივდივართ უდაბნოში მისი მზერის მიმართულებით... იმისმა ლოცვამ გაანდლა ჩვენი კვნესა, შემამძრუნებია...

დიდო ლუხუმო, შენ დალოცე საკვირველი ენა ქართული: ჩვენი სამოთხე, ძველისძველი აღთქმული მიწა!.. დალოცე ის დღე, როცა წმინდა მოსეს აჩრდილი წინ წაგვიძღვება ჩვენ, ქალაქის უდაბნოდან გამოქცეულებს!..

მე ვარ ქალაქის და სიკვდილის უდაბნოელი: ბაობაბის ხმელი ფოთოლი... და უდაბნოს ერთგულებაში მე ვერავინ შემეჯიბრება! მე ვარ ის მგზავრი, ვინც პოეტის დიდი დარდი უდაბნოს მზეს აჩუქა და უგულოდ და უსინათლოდ თეთრ ქვიშაზე მიდის არსაით...

დიდო ლუხუმო, შენ დალოცე ენა ქართული, შენ დალოცე ვინმე მგზავრი, ამ ქალაქის უდაბნოში გზაარეული!



ქეთი გზირიშვილი

უწონოა

რა შეიძლება წერო, როცა ყველაზე უფრო სანერს გულდაგულ მალავ და სიჩუმის გრიფს ადებ? აბრუნებ შიგნით, რეზერვუარში, როგორც წყალს – ბორბალი, რომელსაც ჯამები აქვს მიმაგრებული. თვალი გაგიშტერდა ბორბლის ტრიალზე. ირგვლივ მზეა და სმენის ცას მხოლოდ

ყველაფერი ისეა, როგორც სიზმარში – უწონო ხარ და ემოციით სავსე. სხეული თბილი გაქვს, მიუხედავად შეციებული თითებისა, რასაც მაშინ ამჩნევ, როცა შენზე უფრო თბილსა და სითბოს მომლოდინეს ეხები;

რაც მაშინ ვითბება, როცა შენზე უფრო თბილსა და სითბოს მომლოდინეს ეხები. ყველაფერი ისეა, როგორც საჩუქრის მიღების მომენტში: თვალეები გიბრწყინავს და გიხარია. იცი, რომ დღის მთავარი პერსონა ხარ, რომ ცა შენთვის გაცისფერდა, მზე შენთვის დაეკიდა ცას, ფოთლები შენთვის შრიალებენ, ჩიტიც შენთვის მოდის სამღერად, წყალიც შენთვის ჩუხჩუხებს.

ყველაფერი იმისთვის დალაგდა, რომ შენ ჩაუდგე შუაგულში, ხელები აღმართო და იყვირო. შენ ჩაუდგე შუაგულში, ხელები გაშალო და შემოაკრა. შენ ჩაუდგე შუაგულში, ხელები გაშალო და დაიკრიფო, როგორც ყვავილები.

ნასკლა, თორმეტში

რვაში, როდესაც სადარბაზო მეზობლებისგან დაიცალა, უმეტესობამ მანქანებში ჩაყარა ბარგი, ჩვენ, ფანჯარასთან მდგომი მე და დედა, მათ ვაცილებდით და უმწეობის შეგრძნება გვლრნიდა.

დედამ ჩააწყო ფოტოები: „ეს ერთი ჩანთა“, მე ჩემი კომპის მასალები – ლექსების წიგნი, ფოტოარქივი დისკებზე ვწერე მთელი ღამე (პარალელურად ვეცნობოდი ინფორმაციას –

როგორ დაბომბეს, როგორ მოაწყდა ხალხი თბილისს, კახეთთან – საზღვარს), კიდევ ორ-ორი ხელი რალაც, გამოსაცვლელი და ვერ ავწიეთ. და ვიფიქრეთ – რა გვეშველება. დედამ: „მუხლები წამერთმევა, მე ხომ ვერ ვირბენ“, მეც: „ჰო, მუხლები, თან ეს მძიმე ფოტოარქივი“, მაშინ ვუთხარი, მექნებოდა ჩემი მანქანა. არა საზღვარის გადასაკვეთად, არამედ სადმე, ქალაქგარეთ, სულის, წარსულის შესანახად, თუკი წყალობა...

ახლა მაქვს ავტო; დედა – ნავიდა სამი კვირაა. მუხლი წაერთვა და ისე სწრაფად გადალახა მძიმე სამანი, რომ ვერაფერი მოვახერხე. გამოაცხადეს: უმწეოები ცხინვალს ტოვებენ. ბარგი იგივე მექნება, ალბათ; თუმცა მუხლები, არა მგონია, ავტომდე მიმყვინ.

ზამთარი

ზაფხულს შეუძლია თქვას, რომ ორი დღის სიცოცხლეა დარჩა: ხვალ. ზეგ. დღეს შემეშინდა შინ მოსვლის. ვზივარ ეკლებზე, რომლებიც ამ წელმა გამოისხა და არ ვიყურები იქით,

საიდანაც მოვედი. ტელევიზორში ილაპარაკეს და მაიძულეს, მეფიქრა ომზე, რომელიც რა ხანია, გვინინასწარმეტყველეს. და, აი, გამოჩნდა მისი გაცხადების პირველი ნიშნები. მეშინია, ვიყო მარტო ომში. ეს იგივეა, სულ ვიყო ბნელში, რასაც ყოველდღე გავურბი ოთახებში შუქის ანთებით. მეშინია გაქცევის ან დარჩენის, რადგან ომში ყველა ჩამრთველი მოშლილია და სანთელი – დეფიციტური პროდუქტი. შიშად ვიქეცი. არ არსებობს აბი, მისგან განკურნების. არ არსებობს მედია ან ძმა – სარი, დასაყრდენი. არ არსებობს მონტორი, რომელიც მოაწესრიგებს სადენებს, თუკი მათ ქარიშხალი დაწყვეტს; მესანთლე,

ვინც ჩამოასხამს მზეს დღის დასაგრძელებლად.

წინ ომია. გამინვიეს.

თამაში

მას სჭირდება სათამაშოები. მე მისი აგრესიული თამაშის თოჯინა ვარ. როცა გაბრაზებულია, მირტყამს, მწინკნის, მკბენს, მატეხავს კიდურებს და კედელს მანარცხებს. და მე ვრჩები იქ, სადაც ვეცემი, მომდევნო თამაშამდე.

როცა იძინებს, ან სხვა სათამაშოთი ერთობა – ამბობს თბილ სიტყვებს, გულში იკრავს და ზრდის, ჩემთან მოდიან წვიმები, ქარები და მზე: ცდილობენ, მიპოვონ სიცოცხლის ნიშნები. მათ არ იცინა, რომ ის ყოვლისშემძლეა – მკვდარს სულს მიბერავს, როცა თამაში უნდება.



მწერალი ვანო ჩხიკვაძე

ვანო ჩხიკვაძის შემოქმედებას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. დებიუტი XX საუკუნის 70-იან წლებში შედგა. წიგნის გამოცემაზე კი მისი ლექსები იბეჭდებოდა უნივერსიტეტის გაზეთში, „პირველ სხივში“, „ყურნალ“ „ცისკარში“...

რამდენიმე პოეტური კრებულის გამოცემას მცირე პროზის ნიმუშები მოჰყვა და მის შემოქმედებით ბიოგრაფიას კიდევ ერთი ყანრი შეემატა. ვანო ჩხიკვაძისთვის პოეზიისა და პროზის თანაარსებობა გამოსატყვის ბუნებრივ საშუალებად იქცა. მისი ლექსები ყურადღებას იპყრობს ფაქიზი ლირიზმით, თანაგანცდით და კლასიკური ფორმებისადმი ერთგულებით. ხოლო ნოველები და მინიატურული პროზა კოლორიტული პერსონაჟებით, მათი ცხოვრების ყაიდის აღწერითა და ქართული კილოს შესანიშნავი ფეხებით გამოირჩევა, რაც თავისთავად გულისხმობს ლექსიკურ სიმდიდრესა და ინტონაციურ მრავალფეროვნებას.

ახლანდელ ქართველ მკითხველს ვანო ჩხიკვაძემ რიგით მესამე, მხატვრულ-დოკუმენტური ყანრის რომანის — „შუშების ომი“ — შესთავაზა.

— თქვენთან შეხვედრამ ქვიშხეთის მწერალთა სახლი და ზაფხულობით გატარებული დღეები გამახსენა...

— საოცარია, ასეთი რა ჯადო ჰქონდა, რომ ვერ წარმოგვედგინა უქვიშხეთოდ გატარებული ზაფხული.

არ მახსოვს ქვიშხეთზე განაწყენებული კაცი — ხომ იცით თქმა, ზღვამ დამალა, მთამ მანყინა ანდა წყალტუბო არ მომიხდა... ქვიშხეთზე — არა. ბორჯომისკენ მიმავალ გზიდან, ხაშურიდან მეშვიდე კილომეტრზე, მანქანა ხელმარჯვნივ რომ გადაუხვევდა, რკინიგზის ლინდაგზე გადავიდოდა, აათავებდა ბალებს შორის გაჭიმულ ხეების ხეივანს და სოფლის აღმართზე აბლუვებული ცხვირს მალა ასწევდა, უკვე ნეტარები, გამოდიოდა სხეულიდან დასიცხული თბილისით მოგვრილი დალილობა...

სხვა ყველაფერთან ერთად, დიმიტრი ყიფიანისეულ ეზოში მოქმედი აგარაკი, ყველა რანგის, თანამდებობის, ნიჭიერების, მოწოდების დამსვენებელს ათანასწორებდა. ერთნაირ უფლებებს ანიჭებდა. მოკლედ, „ქვიშხეთურ დემოკრატიას“ საერთო, ქვეყნის საკურორტო სექტორში ანალოგი არ მოეძებნებოდა.

ქვიშხეთმა მთელი თაობები გააკაჟა, გამოზარდა. ასწავლა მეგობრობის, თანადგომის ფასი. აქ დავაჟაკებულ ბიჭებს და დაქალბულ გოგონებს მერე თავისი შვილები ჩამოჰყავდათ...

ჩვენი მწერალთა სახლი არა მარტო უცნობებს აახლოებდა, თბილისში დამდურებულ, დანასისხლად წაკიდებულ თანამოკალმებსაც შეარიგებდა ხოლმე, საერთო მაგიდას მიუსვამდა და ჭიქას აანევივებდა.

აქაურ ცხოვრებას, საინტერესოს, ქვიშხეთის ყველაზე ერთგული, გამორჩეული „კოლორიტები“ ქმნიდნენ — მარტო რეზო კვერენჩილაძის, იგივე „კლოსის“ ამაგის გახსენება რად ღირს, ანდა ნიკა აგიაშვილის „სკივრიდან“ ამოკრეფილი ოცდაათიანი თუ შემდგომი წლების ჩანაწერების მოსმენა, გურამ გეგეჭკორის იუ-მორის საღამოები, გივი შაჰნაზარის დაბადების დღეები, დემნა შენგელაიას უცნაურად, ხელუკულმა აყრილი „დუშაშუე“ დამჯდარი კამათელი და ოთარ მამფორიას ცაცხევექვეშ გამართული სათამადო „ტესტ-გაკვეთილები...“ ახლა ჯვრულ ქარჩხაძის მიერ, წლების განმავლობაში გადაღებული, მაშინდელი იშვიათობის, ფერადი „სლაიდების“ ჩვენება გავისხენოთ — იმ სლაიდებმა მთელი თაობების ბავშვობა შემოინახა და ყოველ ჩასვლაზე ერთი

სული გვექონდა, მამა-შვილი ქარჩხაძეები, აგარაკის კლუბში როდის მიგვიწვევდნენ მათ საყურებლად...

მახსოვს, ვახტანგ ჯავახიძემ ბატონი ოთარი, მამფორია, კეთილშობილური მიზნით (რომ აღარ დაეღია), გამოარიდა დედაქალაქს, ქალიშვილთან ერთად ქვიშხეთში ჩამოიყვანა და ისიც, რამდენიმე დღე, „წესიერად“ იქცეოდა, სასმელის ნაცვლად იუმორით, გახსენებებით იქცეოდა თავს და,



რატომღაც, სადილ-ვახშამს ყველა რომ მოითავებდა, მერე მიდიოდა სასადილოში. ერთხელაც, ნასაუზმევს, მე და მამათქვენი გივი, სასადილოში მზარეულის სანახავად შევბრუნდით და რას ვხედავთ — დარბაზის მოფარებულ კუთხეში, მაგიდასთან მიმჯდარი ბატონი ოთარი მანის ფაფას კოვზს მოწყენილი ურევს.

რომ დაგვიანა, თითქოს დაიმორცხვა, ამოგვხედა „მწუხარე სახის“ რაინდის თვლებით და შემოგვჩივლა, ხედავთ, რა დღეში ვარ, ამ მდგომარეობაში ჩემმა მსემელმა, პურისმჭამელმა ქუთაისელმა ძმაკაცებმა რომ მნახონ, სულერას ვილა გააკარებს, სულ ცოტა ექვსთვიან „ლიშენის“ მაინც მომარტყობენო.

ჩვენი ცოდვა უნდა ვალიარო — ბატონ ოთარს „ლიშენისათვის“ გავიმეტებდით? საჩქაროდ ავაცალეთ „მანი“ პირმოდგმული მათლაფა და მერე რაც მოხდებოდა, კარგად იცი...

კარგი იყო, მაგრამ რად გინდა, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, თავისუფალ საქართველოში“ დასრულდა, ფაქტიურად დაიკეტა ჩვენთვის ქვიშხეთის სამოთხე...

— ნებისმიერ შემოქმედს ჰყავს მისაზადი, რჩევის მიმცემი „მასწავლებელი“, იყო თუ არა თქვენს ცხოვრებაში ასეთი ადამიანი?

— ვიდრე სასკოლო ასაკის გავხდებოდი, სოფელ კირბალში ვცხოვრობდით. არის ასეთი ხალხური ლექსი, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილს კავთისხევი, ექსპედიციის დროს ჩაუწერია:

„საწყალპუროდ კვარხითი სჯობს, საპურღვინოდ კირბალ-ზერტი, ბერშუეთი ყველასა სჯობს, მაგრამ ბატონი ჰყავთ ცეტი.“

აი, ასეთ, პურღვინის, გაჭირვებულ, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის მცოდნე სოფელში და ადამიანთა გარემოცვაში გავიზარდე, სიტყვის, სიმღერის, ცეკვისა და მოლხენის ფასი რომ არ ეშლებოდათ:

„მშვიდ ზერტს რომ გადმოჰყურებ ტურფა კირბალო.“

თავად უფრო გაჭირვებულები, ეხუმრებოდნენ მოჭირნე მეზობლებს, აჩხაკუნებდნენ ჩონგურს და სტუმარი თვალისჩინზე მეტად უყვარდათ.

აქაურობა, ეს გარემო იყო ჩემი პირველი „მასწავლებელი“ — ერთი შეხედვით, ჩვენი სიცოცხლის პირველი ექვსი-შვიდი

თად უნდა იცხოვრო, რომ ბუნებრივად შეერწყან შენს მეტყველებას თუ წერის სტილსა და ხასიათს.

ახლაც, ქართლის სოფლებში, ტყისპირებში შემოფეთებული უცხო ყვავილივით მოგტაცებს თვალს და გაგარინდებს, დაგატყვევებს სალიტერატურო ქართული სათავის აქამდე უცნობი, მხოლოდ ამ კუთხეში შემორჩენილი გამოთქმა, კილოკავი, სინონიმი, სხვა ინტონაციით მოჭრილი სიტყვა.

ნეტავი ექნებოდათ ჩვეული ხილვები, „ორპირის ფშანზე გაზრდილი“, ჭყვიშელ ბიძაშვილებს, ანდა გიორგი ლეონიძეს, ხმაურიანი ქალაქის რომელიმე უსახურ ჩიხში რომ დაბადებულიყვნენ?

რა ვიცი... როდესაც ვაჟა პეტერბურგიდან დაბრუნდა, ძმებმა ყიფიძეებმა ილიას უთხრეს, ფული ვუშოვოთ და ბერლინის უნივერსიტეტში გავაგზავნოთო.

ილიამ იუარა, იქ შეიძლება ვერც ფილოსოფია შეისწავლოს და პოეტიც დაგვარგოთ, დაუნიშნეთ პონორარი, წავიდეს მთაში და თავის კალამს მიხედოსო.

კაცმა, რომელსაც დასტაქარივით საქართველოს არეული პულსაციით ათროლებული მავა ეჭირა ხელში, ყველაზე უკეთესად იცოდა ვაჟას ფასი და, ისიც თუ სად და როგორი წესით უნდა ეცხოვრა, რომ მსოფლიო პოეზიას ეს ტიტანი არ დაეკარგა.

ეს ზოგადად, კონკრეტულად კი — დავდიოდი გორის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურულ წრეში, სადაც ერთ-ერთი პოეზიის საღამოს შემდეგ მიღებული ჩემი პირველი ლიტერატურული ჯილდო, ლადო ასათიანის ლექსების კრებული, თოვლს რომ არ დაეცვლებინა, მკერდში ჩახუტებული შინ წამოვიღე... დღემდე მომყვება ავადმყოფობით აღმოღებული, მამაცი ქართველი პოეტის ანდერძით დატოვილი შემოქმედების სიყვარული.

რაც შეეხება „მასწავლებელს“, ის, ჩვენს ქალაქში, ყველას საერთო გვყავდა, გორში ლიტერატურული წრის სულისჩამდგმელი, ახალგაზრდა შემოქმედების პატრონი და მრჩეველი, ბატონი ოთარ ჩხეიძე...

— როდის დაინერა თქვენი პირველი მხატვრული ტექსტი? ალბათ დაუვინყარია ის ემოცია, პირველი ლექსის გამოქვეყნებას რომ თან ახლავს.

— პირველი ლექსი ჯერ გამოვთქვი (ასაკის გამო წერა-კითხვაზე მწყრალად გახლდით), რომელშიც, როგორც მახსოვს, სოფელში სტუმრად ჩამოსულ თბილისელ გოგოს ვთხოვდი, სხვასთან, ჩემს მეგობარ ბიჭთან არ გაველო და ჩემი სიყვარულისთვის ეთანაგრძნო...

ტექსტი პატარა გარმონზე დავამღერე და, ეს ყველაფერი მეგობართან წაჩხუბებდა, ცხვირის ამონაყვად დამიჯდა, მაგრამ რა ვქნათ, სიყვარული ხომ ყველაზე დიდ მსხვერპლს მოითხოვს...

სკოლას ვამთავრებდი, ჩემი შვიდი ლექსი, ბატონმა ოთარმა, აღმანახ „ლიახში“ რომ შეიტანა.

დაუვინყარია ჩემთვის ის სიხარული, ისევე, როგორც ვერასოდეს ვერ დაუვინყებ ქართული სალიტერატურო პერიოდიკის ღვანლმოსილი რედაქტორების — ჯანსუღ ჩარკვიანის, რევაზ მარგიანის,

„ილიამ იცოდა ვაჟას ფასი“

ვანო ჩხიკვაძის ბიოგრაფიული მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია. მოიცავს მისი მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას.

შუშების ომი რომანი. ვანო ჩხიკვაძის რომანი. შუშების ომი რომანი. ვანო ჩხიკვაძის რომანი.

ვანო ჩხიკვაძის მემორიების შესახებ ინფორმაცია. მოიცავს მისი მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას.

ვანო ჩხიკვაძის ბიოგრაფიული მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია. მოიცავს მისი მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას, მისი ლიტერატურული მემორიების შესახებ აღწერილობას.

გიორგი ნატროშვილის, ვახტანგ ჭელიძის, ჩემთვის და ჩემი თაობისთვის ძალიან ახლობლის — თამაზ ბიბილურის — მზრუნველობას და ამაგს.

— თქვენი შემოქმედება ორჯანოვანია, როგორ ათავსებთ სრულიად განსხვავებულ ენას პროზასა და პოეზიაში?

— თავის დროზე მათი შეთავსება წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, მაგრამ როცა ლექსების პარალელურად პროზაშიც ვცადე ბედი, ვახტანგ ჭელიძემ და თამაზ ბიბილურმა, „ლიტერატურული საქართველოში“, მოკლე ხანში ერთი საყმაწვილო წიგნისთვის სამყოფი მასალა გამომიქვეყნეს და, მორის ფოცხიშვილის თანადგომით, „ორი კაცის“ სახელწოდებით, გამომცემლობა „ნაკადული“ ცალკე კრებული გამოვიშვა.

ამ წიგნს კომპაგშირის პრემია მიენიჭა, ასე, რომ ეს ჯილდო, არცთუ იშვიათად „წმინდა წყლის“ ლიტერატურასაც ენიჭებოდა.

ახლა, მორიგებით, ლექსიც მენერება და პროზაც. ისინი თითქოს ერთმანეთს ავსებენ, რასაც პროზად ვერ ვიტყვი, ლექსად ითხზება და — პირიქით...

— თქვენს ლექსზე „დეკემბერი“ კომპოზიტორმა ზურაბ მჭავიანი შექმნა სიმღერა, რომელსაც დარეჯან გურასაშვილი და მერაბ სეფაშვილი ასრულებენ. ეს სიმღერა პიტად იქცა და დღემდე პოპულარულია.

— „დეკემბერი“, ამ ათწლეულების მანძილზე სხვებმაც შეასრულეს, მაგრამ ჩემთვის გურასაშვილ-სეფაშვილის დუეტი მაინც სხვა იყო, იგი მაშინვე აიტაცა ქართველმა მსმენელმა, პოპულარულ და მართლაც სახალხო სიმღერად იქცა.

სიმღერას და მის შემქმნელებს არაერთი რადიო და ტელეგადაცემა მიეძღვნა, თუმცა, შემდგომ მართალია სიმღერას მოუმრავლდნენ შემსრულებლები, მაგრამ თანდათან დაივიწყეს ლექსის ავტორი...

შეიძლება გაშლილ სუფრას მიუჯდეს და არ იკითხო, ვის ნაშრომს და გაკეთებულს შეექცევი?

ამას წინათ ჩემი კრებულის გარეკანზე მოვათავსე „დეკემბრის“ ხელნაწერი და ბევრმა დამირეკა, ჩვენი საყვარელი სიმღერის ტექსტი რომ თქვენი ყოფილა, ახლა გავიცეთო.

ასე რომ, როგორი საოცრებაც არ უნდა იყოს, ადამიანები, უგზო-უკვლოდ მხოლოდ ომში არ იკარგებიან, ჩვენი ესტრადის ვაი პატრონების, რადიო-ტელევიზიების უპასუხისმგებლობის წყალობით არაერთი ქართული სიმღერების ტექსტის ავტორია მივიწყებული...

— 2006 წელს თქვენს „ზამთრის წიგნს“ მიენიჭა წლის საუკეთესო პროზაული კრებულისათვის დაწესებული პრემია „საბა“. კიდევ თუ გაქვთ სხვა პრემიები და საერთოდ, რას ფიქრობთ ლიტერატურული პრემიის მნიშვნელობაზე?

— ნამდვილად არ დამითვლია, ალბათ ორმოცის ფარგლებში.

დღეს, როცა ჰონორარების გაცემა ასე ეძნელება ბეჭდვით ორგანოებს და გამომცემლობებს (რაც კარგად ჰქონდა მოგვარებული ჩვენგან არაერთხელ ნაგინებ და გათათხულ საბჭოთა საგამომცემლო სისტემას), კიდევ უფრო მეტი ლიტერატურული პრემია უნდა გვქონდეს დაწესებული.

პრემიას ერთადერთი ნაკლი შეიძლება ჰქონდეს — თუ ის ცოტაა!..

რაც შეეხება ჩემს პრემიებს: 2002 წელს, საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“ კონკურსში გამარჯვებული ჩემი პიესა „ორი მდინარის შესართავთან...“ გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში დადგა და მთავარი როლი შეასრულა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, სამხუბაროდ ან გარდაცვლილმა ჯემალ მონიაშვილმა (2003 წლის შემოდგომაზე ამერიკაში მიგვიწვიეს და სპექტაკლი მაყურებელს „ქართული კულტურის დღეზე“ ვუჩვენეთ).

გარდა ამისა, ნოველამ „კობია თამრო“, „პენ-მართონი 2003“-ის პირველი პრემია დაიმსახურა, იმავე წელს მივიღე მესამე პრემია ჟურნალ „ომეგას“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ლუარსაბ თათქარიძე“.

2006 წელს ნოველამ „ახადელების რძალი“, გამარჯვება პორტალ „ლიტერატურა.გე“-ს მიერ ჩატარებულ კონკურსში „ნერო“, ხოლო 2010 წელს მიენიჭა მაცვალა მრეწველობის პრემია.

— როგორც ვიცით, თქვენი ლექსები და მოთხრობები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე.

— დიახ, შესულია მრავალ ალმანახსა თუ ანთოლოგიაში, გამოცემულია წიგნები.

— თქვენ შემოქმედებაში რა სიახლეები შეინიშნება, იმავე სტილისტიკას ინარჩუნებთ თუ არის განსხვავებული მცდელობები?

— მწერალმა, რომელმაც უკანასკნელ ათწლეულებში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, რამოდენიმე ფრაზით ამოსაწერი თემა არ არის.

მწერალი მწყემსის ნაგაზივით ძილფხიზლობს.

გაბრიელ მარკესი, როცა თვითმყოფადი ერების კულტურული ფესვების გაქრობის საშიშროებაზე საუბრობს, მხოლოდ მშობლიური კოლუმბიის, თავისი ხალხის კულტურული მემკვიდრის ხელყოფის, ტრადიციების შესაძლო ამოძრკვის გამო არ წუხს, მთელი ლათინური ამერიკის გულშემატკივარი, შეწუხებული მამა გელაპარაკება.

ცხადია, მისი ტკივილი არც ჩვენთვის არის უცხო.

შენი კარმიდამო რომ გადაარჩინო, სოფელი უნდა დაიცვა, ამ მადაგასნილი, აღრენილი, მსოფლიო ვეშაპების გარემოცვაში მარტო და თითო-თითოდ მებრძოლი ვერავინ გადავრჩებით.

მწერალი თავისი შემოქმედებით ბედისწერით იბადება. საკუთარ თავს ვერ გადაახტები, რაც ხარ, ეგა ხარ. „განსხვავებული მცდელობები“, ალბათ მაქვს, მაგრამ ისიც თუ ჩემი სტილით, ჩემი ხელწერით არ საზრდოობს, ფუჭ მცდელობად დარჩება...

წარმოგიდგენია სხვა სტილით მწერალი რევაზ ინანიშვილი?

ყოველი კარგი ნაწარმოები, თუკი შენი ხელიდან გამოვა, უკვე სიახლეა და სიამოვნებაც მოაქვს შენთვისაც და მკითხველისთვისაც. ჩემთვის მთავარია სათქმელი „ამაღლებული“ უბრალოებით მოიტანო...

ხალხურ პოეზიაში ერთი ძალიან მარ-

ტივი და მართალი ლექსია, „ერეკლეს სტუმარი“ ჰქვია:

„მოდის, მოგალობს,
ლილინებს ნელა,
ფეხებსა ხლართავს,
უყურებს ყველა.
ჰკითხებს: სად იყავ?
— მეფესთანაო,
ისიც კაცია
ჩვენისთანაო.“

როგორ დახატული პორტრეტია? ხედავ კაცს და გრძობ მის ალაღმართალ სიხარულს — ადამიანი ადამიანად უნდა დარჩეს, როგორი რეგალიებიც არ უნდა ამძიმებდეს. ასევეა ახალი ნაწარმოებიც, ის უნდა მოვიდეს როგორც სასურველი სტუმარი და სამუდამოდ შენში ჩასახლდეს...

— თქვენი ბოლო, რიგით მესამე რომანი, „შუშების ომი“ ჟურნალმა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოაქვეყნა...

— დიახ... „შუშების ომი“, რომელიც აგვისტოს მოვლენებს (მსუბუქად თუ ვიტყვით) ეხება. აგვისტო-სექტემბერში, ცხელ კვალზე დაინერა და, ცალკე წიგნად, სულ ახლახანს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოუშვა. რომანი, ასე ვთქვათ, მხატვრულ-დოკუმენტური ამბების ერთგვარი კოლაჟია და (უნდა ნავიტირაბახო) თუკი მკითხველი ხელში აიღებს, არა მგონია, გულგრილი დატოვოს, თავი არ წააკითხოს.

— იმ ხანებში გორში ბრძანდებოდა და მინც, მოკლედ თუ იტყვი, რით დაგამახსოვრდათ აგვისტოს ომი?

— ქალაქში გამეფებული შემზარავი სიჩუმით!.. მაშინ მივხვდი — გააქრე ადამიანი და ყველაფერი არარაობად იქცევა. გადაიხვეწა, მიიძალ-მოიძალა ფრინველიც, კაციც, ძაღლების სანაგვეებთან მოხორხორე ხროვებიც... ანჯამებიდან ამოცვენილი კარფანჯრები, აყრილი სახურავები, აფეთქების ძალით დაფუჭილი შუშების ნამქერი... ერთბაშად ყველაფერმა სახელი დაკარგა: ქუჩამაც, სახლმაც, ქალაქმაც, სამშობლომაც... თუ კაცი არ არის, ვინ იტყვის, ვის ეტყვის, ვინ არის, რა არის, საიდან მოდის და საითკენ მიემგზავრება?

უცებ გაუგებარ „უნონადობაში“ აღმოვჩნდი. თითქოს მხრებზე საჰაერო ბუშტები დაგვამარეს და უსიცოცხლო სივრცის სიღრმეში აგვიშვეს...

ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. ახლა წარმოიდგინეთ, რა იქნება ეს „საქმე“, როდესაც მას „ორუელის ღორები“ „აყომარებენ“ და სამშობლო უსარგებლო ქვა-ღორღი ჰგონიათ. რაფიქრად ერისთავი საფლავში არ გადაბრუნდებოდა, „სალკლდეებს სხვა ქვეყნის სამოთხეზე“ რომ ვერ ცვლის?

როგორ რიყის ქვებივით აგორავებს ადამიანთა და პატარა ქვეყნების ბედს ძლიერთა ნება-სურვილის ნიაღვრები.

თურმე რაც გინდა აკეთე, დემოკრატიის იარაღით!

მოკლედ, ოცი წლის წინ რა მოგვაფიქრებდა თუ ასე გაცრუვდებოდა ჩვენი იმედები.

არა, ბატონო, არც ცხრა აპრილამდე, რომელიც ჩვენს წმინდა ზრახვათა ნიშანს-

ვეტია და არც მას შემდეგ, არ გვიოცნებია ასეთ სამშობლოზე!

ხომ გაგახსენდა გალაკტიონი? — „ეს არ არის საქართველო!“

ომის შემდეგ, ჩემთვის ძალიან მძიმე გასაველია გორი-თბილისის გზა — გორის თავში თუ ტირიფონის ველზე, წეროვანთან წითელი სოკოებივით ამოყრილა ლტოლვილების დასახლებები, „ქვა-ღორღიდან“ რომ აყარეს და ერთფეროვანი, უსახური თანაცხოვრება მიუსაჯეს, მონყვიტეს იმას, რაც ქმნიდა მათ ღირსებას და განუმეორებლობას, ფოლკლორს, ზნეობას, წინაპრების და მომავლის პატივისცემას...

მე ოთხმოცდაათიანი, არანაკლებ მძიმე წლებიდან მახსოვს ეს მართლაც გმირი ხალხი, ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში ქვეყნის ბურჯად დამდგარები, არაკეთილმოსურნეებით, ბანდფორმირებით გარშემორტყმულები ოჯახებს და შვილებს სამშვიდობოს რომ არ ხიზნავდნენ, აქ როცა გვეყოლებიან, უფრო მტკიცედ ვიდგებით და უკან არ დავიხევთო.

ამდენი წლები ამაგრებდნენ ქართულ ფესვსა და ჯილაგს და, უცებ, ერთი ხელის მოსმით...

ქვა-ღორღიო, კაცო!..

ხანდახან ვეჭვობ, ვიცით კი, გავიანხრეთ, ქვეყანაში მომრავლებული ჯანმრთელი ავადმყოფების წყალობით რა უბედურებას ნავეკიდეთ?

მოკლედ უნდა მეთქვა და გამიგრძელდა — ვაჟა-ფშაველა უნდა გაგახსენო:

„წინოლამ ლაფით გაგვთხიფა,
გაგვექცა სირბილიანი!
არ ვარგა მაგათი გვარი,
უჯიშო, სიცლიანი.“

ჩემი რომანის გმირი ერთგან ამბობს, ომი დამთავრდა, მაგრამ ბრძოლა გრძელდებაო...

ასეა, გრძელდება... გრძელდება...

ანდა შეწყვეტილა კი ოდესმე ჩვენი არსებობის მანძილზე?

— კიდევ ხომ არაფრის დამატებას ისურვებდით?

— სულ ორი კვირაა, რაც 2013 წელი დადგა. ვის არ უყვარს ახალი წლის მობრძანება... მერე როგორი ახალი წლები მახსოვს — სვავრიელად რომ ბარდნის, ტოტები, ხარხები, სახურავები ზეცის წყალობით რომ მძიმდება, ხასხასებს ახალი თოვლი და სიჩუმეა (ისეთი არა, „შუშების ომში“ რომ ვახსენე), მოლოდინიანი, გულის ამაძკერებელი სიჩუმე... როგორც კი გირჩამოკიდებული, ძველებური, გუგულიანი კედლის საათის ისარი თორმეტს მიადგება, წელში გასწორდება, სამყარო ერთბაშად ახმაურდება, აგუგუნდება, დაწულ ცას აახმიანებს თოფიდან გამომტყვრალი „დუპლეთი“...

მინდა, ამ წელიწადმა, დიდი ხნის მონატრებული სიხარული მოუტანოს ყველას და შევახსენო მაცხოვარის მოწოდება:

„იარეთ, სანამ სინათლე გაქვთ, რათა სიბნელემ არ მოგიცვათ, სიბნელეში მოსიარულემ არ იცის საით მიდის.“

ქართველი ერის სულში გაჩენილ სინათლეს დაცვა სჭირდება, იმედის მარცვალი სვალინდელმა უნდა გააღვივოს...

და კიდევ:

2006 წლის ოცი მაისის ღამეს, „საბას“ პრემიით დაჯილდოების შემდეგ, „თი-ბი-სი“ ბანკის კიბის თავში ვიდექით, რომ გამარჯვებულ ნომინანტებს საერთო სურათი გადაგველო და ქვემოთ, მაყურებელით სავსე ეზოში ჩამოვსულიყავით.

ირგვლივ, ჩვენს გარდა სხვებიც მრავლად იყვნენ — ჟიურის წევრები, ჟურნალისტები, ბანკის პრეზიდენტი, თანამშრომლები.

მან კი, ხალხში გზა გამოიკვლია, გამოჩრჩეულად ჩემთან მოვიდა და მკითხა:



— ვანო, შეიძლება დაგეყრდნო?

ჩემი იმდღევანდელი სიხარული, ქალბატონი ანას არჩევანმა დაავიწყებინა — პოეზიის დედოფალი და მე ერთად დავუყვევით წითელ ხალიჩიან, საზეიმოდ გაბრწყინებული კიბის საფეხურებს.

ვილაც მადლიანმა ჩვენი მსვლელობა გადაილო...

ანა კალანდაძემ მე ამირჩია-მეთქი!

აბა, ამას რაღა დავამატო?!



არანაირი საქმე არ გამოდის. ვნერ — ეს ერთადერთია, რაც შემოძლია. მაგრამ წერა არ ითვლება, ეგ რა საქმეა?.. სამსახური, ფული და ილბალი არ მაქვს. ცოლი, შეყვარებული, საყვარელი არ მყავს. აქვს აზრი ასეთ ცხოვრებას? არ აქვს!

გავიღვიძე თუ არა, თავის მოკვლა გადაწყვიტე. გამიხარდა, რომ რალაც საქმე, მიზანი გამიჩნდა. კბილების გამოხევა დამეზარა. მტკვარი გამომირეცხავს, — გავიფიქრე. თბილად ჩავიცვი და ხიდისკენ გზას ფეხით გაუყევი. მერე ვიფიქრე, ამის დედაც... რატომ ფეხით? ბოლო დღეა, თავს გავინებებ.

— ტაქსი! — ჩავუსტვინე. მანქანამ ჩემგან ხუთიოდე მეტრის მოშორებით დაამუხრუჭა. ადგილიდან ფეხი არ მოვიცვალე, სანამ უკუსვლით არ წამოვიდა და გომიასავით ფეხებთან არ მომიცუცქდა. გაბლენძილი ჩავჯექი.

— ხიდთან! — ვუბრძანე მძღოლს და სავარძელში გადავნიქე. აი, ასეთ ტიპობაზე ვოცნებობდი ბავშვობაში: შენზე ორი თავით მაღალსა და ორი ტანით განიერს რომ უბრძანებ (სულ ერთია, რას...) და მისავე საკუთრებაზე მოურიდებლად გადაწვები.

მძღოლმა სარკიდან ფინიასავით გამოხედა, სიგარეტი შემომთავაზა. თავი ისე კარგად ვიგრძენი, ლამის თავის მოკვლა გადავიფიქრე.

ჩამოვედი, ქრონიკულად ცარიელი ჯიბეები ორივე ხელით დიდხანს ვიქექე და ჩემი ცხოვრების ბოლო ტყუილი ამოვთქვი:

— ბიძაჩემო, ფული სახლში დამრჩენია. საღამოს 6-ზე აქ ვარ, ბარემ უკანა გზაზეც შენ წამომიყვან. სამი ლარისთვის ქალაქიდან ხომ არ ავორთქლდები, არა?!.

ამ თამაშმა გამახალისა, მაგრამ ფინიას თვალებიდან უცებ აფთარმა გამოიხედა. ახლა ტაქსიდან რომ გადმოვიდეს, მგზავრობით მიღებულ მთელ სიამოვნებას ხომ წყალში გადამიყრის?

მადლობა ღმერთს, არ გადამიყარა.

მოაჯირთან ქალი იდგა, ხიდიდან წყალს ჩასცქეროდა. საერთოდ, ლამაზი ქალები შველს, ჯიშთან ცხენს, ან „კარალევსკი დოგს“ მახსენებენ. შესაბამისად, მათი დანახვისას მორიდებული, მაგრამ მაინც ყმული აღმომხდებდა ხოლმე. ეს სხვა შემთხვევა იყო — ცხენს კი არა, მობუზულ მტრედს თუ ბელურას ჰგავდა. შესაბამისად, აყმუვლებული კი არა, ფრთაშესხმული გავემართე მისკენ. თან ვფიქრობ:

„მივალ, ჩავახველებ. ის ათრთოლებული ხმით მეტყვის, რომ თავის მოკვლას აპირებს. მე დავამშვიდებ, გადავაფიქრებ ნებ და ბარემ ცოლადაც მოვიყვან.“ — ასეთი სიუჟეტების მეტი რა წამიკითხავს და დამინერია?!

ჩემამდე ქალს შლაპიანი მამაკაცი მიუახლოვდა. სულ ასე შემართება, ერთი ნაბიჯით ვაგვიანებ... შლაპიანმა გასაღები გადასცა და მექანიკურად ჩემკენ გამოიხედა. ქალი კაცს უღიმოდა.

ეჰ, არ ჩანს ეგ თავის მომკვლელი, — გავიფიქრე, თან „რალაც დიდი სინანული ვიგრძენ.“

— ე, თაზო! — შეჰყვირა შლაპიანმა და მკლავები ისე ფართოდ გაშალა, ეჭვგარეშე იყო, გულში ჩაკვრასა და მხრებზე ხელის დატყაპუნებას მიპირებდა. ძლივს ვიცანი, ჩემი კლასელი იყო, იმედა.

— ე, იმედა! — შეყვირე მეც და თავი მის გაშლილ მკლავებს შორის, ჩაპუტკუნებულ გულ-მკერდზე, გამეტებით ვდურთე.

ჩვენ კი გადავხვიეთ ერთმანეთს, მაგრამ ქალი არც განძრეულა. იმედას ცოლი ყოფილა, რატომ გადამეხვეოდა? ოდნავ შესამჩნევად გამიღიმა და წავიდა. ზურგიდანაც ლამაზი იყო. გული დამწყდა. ხელი მაინც ჩამოერთმია, დალოცვილს...

— ბიჭო, წერ ისევ შენ? აუ, გახსოვს, სკოლაში თაა-ზო-ო თაარ-სო-ო, ასე რომ გეძახდით? მუშაობ სადმე? — საუბრისას ლაბაბი ისე უთანალებდა, როგორც ფუმფულა ქალს მკერდი სიცილისას.

— წერით ვწერ, მაგრამ სამსახურს გუშინ დავანებე თავი.

რა არის, არა, ცხოვრება? — სულ გგონია, რომ ეს შენი უკანასკნელი ტყუილია...

— ბედზე შემხვდი, ძმაო. — გულის ჯიბიდან სათუთად ამოიღო გახამებულ-გატკიცინებული ცხვირსახოცი, ფრთხილად

გაშალა და მითხრა, — ჩემი ბიზნესისთვის სანდო კანდიდატურას ვეძებ, თან შენი სფეროა.

— გამომცემელი ხარ? რედაქტორი? — გავიხარე.

— უკეთესი, კაფის მეპატრონე. ოღონდ ისეთის კი არა, სუფებს რომ ხარშავენ... ნაღდის, ლიტერატურული! წამო, გზაში აგისხნი. — უცებ ცხვირსახოცი მოჭმუჭნა და ცხვირი მთელი ძალით ჩაბერა.

ხიდს გავხედე. ხიდი სად წავა, დამიცდის. კაცმა რომ თქვას, გულის სიღრმეში მეზარებოდა კიდევ ამისმალე მოაჯირზე აბობლება.

ჩემი „მტკიცე“ გადაწყვეტილებისა და მტკვრის დინების სანინალმდეგო მიმართულებით წავედი.

— პირველ რიგში, სახელია შესაცვლელი. — საქმიანად ჩაახველა იმედა.

— კაფის?

— არა, შენი. ჩვენში დარჩეს და, თაზო რა სახელია? რაიმე ლიტერატურული გეჭირდება. აი, მე, მაგალითად, იქ ყველა რომანის ან რომანს მეძახის. იმედა არ წამოგცდეს, ბიჭო, არ დამლუპო!

— აჰ, ეგ როგორ წამომცდება, რას ამბობ! ასე მიცნობ?! — ვიწყინე.

— ჯიგარი ხარ. რომანი მაინც ისეთია,



ხომ ხვდები... სქელტანიანი რომანი, რომან-ტიკა, რომან-ოგების სასახლე... არა, ეგ ბოლო არ გინდა... შენთვისაც რაიმე პოეტური უნდა მოვიფიქროთ. მაგალითად... მაგალითად ლექსო! კარგია! ლექსი-ლექსო... ლექსო არ დაიკარგები... ხომ ხვდები, რალაც ისეთია...

— კაფეს რა ჰქვია, „მოთხრობა“ თუ „სონეტი“? — ვიხუმრესავით.

— ტურა. — სერიოზული სახით მიპასუხა.

— რა-ა?!

— ტურა! ოღონდ ის კი არა, ტყეში რომ ყმუის, არამედ ლიტერა-ტურა, მინია-ტურა, მაკულა-ტურა... არა, ეგ ბოლო არ გინდა. ხომ ხვდები. რალაც ისეთია...

— ხალ-ტურა... — ისევ ვცაადე გახუმრება.

— აჰა-ჰა-ჰა! — შუბლი შეიკრა იმედა.

— მაგაზე არც იფიქრო.

— გასაგებია. — გავუღიმე, — საინტერესო სახელი მოგიფიქრებია, მეგობარო, ორიგინალური. „ლიტკაფე ტურა.“ მაგარია. — თავის შეცნობა დაუსრულებული პროცესი ყოფილა. აქამდე არასდროს დამიჭერია თავი აფერისტობაში...

— ...და არანაირი ბრჭყალებში ჩასმა! — შლაპა თავმომწონედ შეისწორა, — ტურა და მორჩა! ბრჭყალები და ჩლიქები რომ მდომებოდა, რამე ცხოველურ სახელს დავარქმევდი.

ერთხანს უხმოდ ვიარეთ. მერე ისევ ცხვირსახოცი ამოიღო და მივხვდი, რალაცის თქმას აპირებდა.

— ეს საქმე მოსაგვარებელი მაქვს. — გაჩერდა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია. — ამ კვირაში უკვე მეორედ გადმომიტრიალდა.

— რა გადმოგიტრიალდა? — გულწრფელად შევფოთდი. ამას რომ რამე მოუ-

ვიდეს, ვინაა გამაჩერებს სამსახურში?..

— რა და, „ტ“!

— ააა... — შვებით ამოვისუნთქე. — ეგ არაფერი. კარგი კვება და ეგაა, მოველე-ბა.

— რა კვება, კაცო?! მუშა მჭირდება, რომ დაამაგროს.

დავიბენი. თვალის მის მზერას ავაყოლე. „ურა“ — დიდი ასოები მიემაგრებინათ კედელზე. პირველი ასო, „ტ“ თავდაყირა ჩამოკინიალებულიყო... იმედამ წელანდელზე ხმაურიანად მოიხოცა ცხვირი და კარი გამოალო.

„გრიბი აქვს, ამ ჩემისას.“ — გავიფიქრე. ჯერ იმედამ შეაბიჯა თავმომწონედ, მერე მე შევფრატუნდი მორიდებულად.

— დაათვალიერე, მოშინაურდი. — მხარზე ხელი დამიტყაპუნა.

თეთრ მაგიდებზე პატარა, ოქროსფერ „ქუდიანი“ ღამის ნათურები იდო. კედლებზე ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული მსოფლიო კლასიკოსი მწერალ-პოეტების ფოტოები ეკიდა, ქვემოთ მინერითა მოკლე ბიოგრაფიებით. ფარდებიც თეთრსა და ოქროსფერში იყო გადაწყვეტილი. მოკლედ, ირგვლივ ყველაფერი ბრდღვიალებდა.

— აი, აქაა სალარო, აქ დევს მენიუ, აქ

ჭურჭელია... — ამიხსნა იმედა-რომანმა. — თანდათან აუღებ ალღოს. აბა, შენ იცი, ლექსო, არ დამაღალატო.

ლექსო ისე ბუნებრივად დამიძახა, როგორც სკოლაში მეძახდა თარსოს.

პირველ კლიენტს დაძახული ველოდი. კარის პატარა ზანზალაკმა რომ დაინკარუნა, პულის ისე ამიჩქარდა, თითქოს განგაშის ზარს ჩამოჰკრესო. მოხუცი კაცი შემოვიდა. გამხდარი, გალუელი, ხერხე-მალმორკალური. უკბილო პირით ფართოდ გამიღიმა.

— გამარჯობა, ყმანვილო. რაიმე ჰაგიოგრაფიული, თუ შეიძლება... ბულონთან ერთად, შიგ რომ ჩავფურჩხნო. მოგეხსენებათ, მშრალად მეტად ხმელია ჰაგიოგრაფია ჩემი კბილებისთვის.

„რომელი კბილებისათვის?“ — გავიფიქრე. ხმამალა კი ეს ვთქვი: — ახლავე მოგართმევთ.

შეკვეთა მივუტანე და სანამ მოხუცის თევში ჰაგიოგრაფიის ბოლო ლუქმაც ბულონის ცხიმოანი წვენით არ გაიჟღინთა, ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. ვიდექი და სიყვარულით შევცქეროდი ჩემს პირველ კლიენტს. სამსახური მქონდა, კლიენტი მყავდა, ცხოვრება ახლა იწყებოდა...

— იფ, იფ! — ჩაი(ჩ)იფ(ჩ)იფა მოხუცმა. — ახალგაზრდები კი უკადრისობენ ამ უგემრიელეს ტრაპეზს. ეჰ... — თქვა და ცხელ ბულონს სული შეუბერა.

„წკრრ...“ — ისევ დაინკრილა ზარმა. — ლექსო, კლიენტები მოვიდნენ. — გამომძახა იმედა-რომანამ.

თინეიჯერი ქალ-ვაჟი იყო. ისეთი ტასაცემელი ეცვათ, მოხუცების თვალში ღატაკების შთაბეჭდილებას რომ ტოვებენ, თინეიჯერებისაში კი — მოდურებისას. ანუ — ადგილ-ადგილ გამოხეული ჯინსები.

კუთხის მაგიდასთან ჩამოჯდნენ, ერთ სკამზე. თავიდან გამიკვირდა, ბიჭი რომ გოგოს ჩაუჯდა კალთაში (ჩემ დროს პირიქით ხდებოდა), მაგრამ რომ დავაკვირდი, გრძელთმიანი და მოტყეცილშარვლიანი — ბიჭი აღმოჩნდა, ფართოტოტე-ბიანი და თავგადახოტრილი — გოგო.

ვაჰ, კიდევ კარგი, თორემ ვიფიქრე გადაგვარებულა ეს თაობა და ეგაა-მეთქი...

მენიუ მივიტანე, გრძელთმიანს მივანოდე. ბიჭმა მენიუს ფურცელზე წიხლი არა, მაგრამ ხელი კი მიკრა.

— აუ, რამე ისეთი, რა... ცოტა მყავე და აღმგზნები. — პირიდან კევი გამოიღო და საფერფლის ამოტყეხილი კიდე ამოავსო.

— გასაგებია. ესე იგი თანამედროვე ნოველები გნებავთ... ორი ულუფა?

— ერთი იყოს, ჩემი და ამისი რამ გაყო. — ისე ზანტად, განელილად თქვა, თითქოს ჩასანერად მკარნახობდა.

კარგა ხანს ვინრდილვო სამზარეულოში. იმდენი თანამედროვე მყავე და აღმგზნები ნოველა გვქონდა, არ ვიცოდი, რომელი ამერჩია. იმედამ ერთხანს შორიდან მიყურა, მერე ჩემს შორიასხლოს დადგა და სასხვათაშორისოდ თქვა:

— ძალიან ნელი ხარ, ძმაო. ცოტა ტემპს უნდა მოუმატო. კარგი, ამათ მე მივხედავ, შენ მიდი, „აა“-ს ოთახში მოემსახურე კლიენტს.

ვიგრძენი, ნერვებთან ერთად, გულ-მკერდზე ბალანიც ამეშალა.

— აას ოთახში... ანუ... საჭირო ოთახში? — სკოლის ტერმინოლოგია მოვიშველიე.

— ჰო, „აა“-ში უფრო საჭირო ხარ. მიდი, მიდი!

ჯერ გავფითრდი და პირი გამიშრა. მერე გავნითლდი და დორბლები ვყარე.

— თავი დაიცავი, საცოდავო სამოსანო! — კი არ ვთქვი, წინა ორ კბილს შორის ღარიდან გადმოვყარე სიტყვები.

— დამშვიდდი, ბიჭო. — სახიდან ფერი დაეკარგა. სამზარეულოს მჭრელი დანა ყოველი შემთხვევისთვის უჯრაში შეაგდო. — „აა“ ფეკალები და კურკლები კი არაა, ძმაო, არამედ, — „ანდაზები, აფორიზმები“.

ვაჰ!.. ჩამოვიკაპინე ისევ სახელოები. ბოღის ნიშნად მკლავზე გაუბედავად მოვუთათუნე ხელი. არაფერი უთქვამს. ხმა არა, მაგრამ ის დანა ამოიღო, წელან უჯრაში რომ შეინახა. თითქოს კადრი უკან გადაახვიესო, — დანა მაგიდას დაუბრუნდა, ფერი — მის სახეს.

მეორე ოთახი ლურჯ-ნაცრისფერ ტონალობებში იყო გადაწყვეტილი. მიმტან (სავარაუდოდ — ნაცრისფერი ცხოვრებით მცხოვრებ) გოგოსაც კი თმა ლურჯად ჰქონდა შეღებილი. იმედა, იმედაც „ლურჯწვერა“ არაა. დამენანებოდა ის ლამაზუკანალიანი ქალი...

— ახალი თანამშრომელი ვარ. — შევცინე მიმტანს. — ცოტა არ იყოს, ველავ. — სიმპათიური ხარ. — ცისფრად შეღებილი თვალი ჩამიკრა. — ნუ ლელავ, აჰა, პირი გააღე, დაგამშვიდებს. — რომელილაც კლიენტის ნასუფრალიდან „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობას“ ლუქმა აიღო, ლურჯმანიკურიანი თითებით მომანოდა. უფრო სწორად, თავის ხელით ჩამიღო პირში, თან მეორე, პირველივით ცისფრად შეღებილი თვალი ჩამიკრა. უარესად ავღელდი და გავბრუნდი. ამასობაში ვილაცამ იმდენ-ჯერ ჩახხველა მორიდებულად, სანამ ჩემი გაბრუნებული გონების ეკრანზე არ აციმაცემციმდა: „კლიენტი, კლიენტი!“

— თუ შეიძლება, ხახვი დამაჭერით ყურებზე. — შემიკვეთა უხორცო არსება. ჩონჩხზე ეგრევე კანი ჰქონდა გადაკრული. „მცოვანი, კაფანდარა მამაკაცი.“ — ასე აღწერენ ხოლმე ასეთებს რომანებში.

ცალი ხელი ჯიბეში ჩაიყო, მეორეთი ქუდი მოიხადა. ჯიბიდან ხურდები ამოყარა, ქუდიდან ყურები გადმოყარა და ყურებამდე გამიღიმა.

რა ეხახვევა ამ უბედურს... შემიკვეთე, რაა, დალოცვილო „მუცელს ალორებ — ღორია!“

— ხახვი? სიამოვნებით. რამდენ-რამდენი გნებავთ? — შევღიმე.

— თითოზე თითო. მარჯვენაზე მომცრო, მარცხენაზე უფრო მოზრდილი თავი. მარცხენა ყური დიდი მაქვს შედარებით, გულის მხარეა მაინც და იზრდება...

— დამნაშავესავით განითქვდა.

— ყველა მაგ დღეში არ ვართ?! — გავამხევე. — აი, ტერფებიც ასეა: ერთი რამხელა ცეცხლს, მარცხენა ყოველთვის იმაზე ცოტათი დიდაა... — კლიენტის დამშვიდებულმა არაფერს მიხდინა, მაგრამ არ დაამშვიდებ და ხვალ სხვა კაფეში წავა. რომანმა დამოძღვრა ასე.

— ნითელი ხახვი გნებავთ თუ თეთრი?

— მარჯვენაზე თეთრი, მაგრამ მარცხენაზე ნითელი მირჩევნია... გულის მხარეა მაინც... — ისევ უხერხულად შეიმუშნა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. აი ფეხებიც ასე არაა?... ჰმ... დაბრძანდით, დაბრძანდით, ახლავე მოგართმევთ.

ვიდრე ხახვს ვიპოვიდი, იმ წყვილმა მიპოვა, უპოვრებით რომ ეცვათ.

— ვა, აქაც შენ ხარ, ტო?! — გაკვირვებულმა ბიჭმა კევისგან იმხელა ბუშტი გაბერა, აქეთ დაკრჩი გაკვირვებული... დაძაბულობა არ შევიმჩნიე, სტვენაც კი დავინყე „უდარდელად“, თან ბიჭს ხელის ასაკრავად მენიუ გაუწონოდე.

— აუ, ხომ იცი, ეს ნაკითხვები არ მევალება, რაა. შენ შეგვირჩიე რამე ისეთი... წყვილის პონტი.

წავიდნენ და ისევ ერთ სკამზე შემოლაგდნენ, იგივე წყობით. მე ისევ დავიბენი. „დეჟავუა, ჩემი?!“ — სიმწრით ჩამეცინა.

რომანი და ლურჯთმიანი მომიახლოვდნენ. დავიზაფრე. სამოსანი შეფისგან ერთ დღეში მიღებული ორი შენიშვნა უმუშევრობისკენ მიმავალი პირდაპირი გზაა.

— მაგათ არასდროს იციან რა უნდათ, ნუ დაიბნევი. აი, ეს კოქტეილი მიუტანე — „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა.“ — ჩამჩურჩულა ლურჯთმიანმა. მადლიერებით სავსე თვალებით გადახედე. „ჩემი ლურჯა“ — მოგნათლე გონებაში. ამ ადამიანებით გადაძევილ პლანეტაზე არავინ მყავდა მასზე ახლობელი.

კოქტეილი მაგიდასთან მივიტანე. ბიჭმა კევი საფერფლეს მიანება და ჟესტი მიანიშნა, — ჯიგარი ხარო. მისმა ხოტორა გოგომ გამიღიმა, პირიდან კევი გამოიღო და ისე, რომ ჩემთვის თვალს არ მოუცილებია, ბიჭის კევის საგულდაგულოდ დააჭყლიტა. იყო რაღაც ძალიან გამაღიზიანებელი ამ უწყინარ მოქმედებაში. უკმაყოფილო სახით შემოვტრიალდი.

— საფერფლე გაიყოლე, ძმა. — მომადახა გრძელთმიანმა...

ბართან დაბრუნებულს რომანმა შემეგება. საფერფლე გამომართვა.

— ლილიანა ოქროსფერ ოთახში გავუშვი, შენ აქ იმუშავებ.

— ვა, სახელიც ლილისფერ ტონალობაში აქვს შერჩეული? — გამეცინა.

— აქ ყოველ დეტალში პოეზიაა ძმაო. — გაიბღინდა რომანი. — აბა, მაგდა რა სახელია?

„ამალამ თმას ოქროსფრად შეიღებავს“ — გავიფიქრე და სიყვარულით დავამატე, — „მაგდა — ჩემი ლურჯა...“

— ძია... — შემომესმა. არადა, ახლომახლო არავინაა.

— ძია... — კაფეს გადავხედე.

— ძია... — ძირს დავიხედე. ტურტლიანი ბიჭუნას სევდიანი სახიდან, დიდმა, კრიალა თვალებმა მომანათეს.

— გამოცხვავ? — სახელოთი პანუა, ნვლინტიანი ცხვირი შეიმშრალა.

— რა? — სულელური აზრი მომდის, ხელი ჩავკიდო და ხიდთან მივიყვანო, ერთმანეთს ზურგიდან ხელი ერთდროულად ვკრათ და ფრრრ...

— მჭადი, ჩემი მჭადი... — სახელო შარვალს შეახოცა.

მხრები ავიჩეჩე, რომანს გავუღიმიე. რამდენოსანიც არ უნდა იყოს, შეფი შეფია.

— ნოველა, გამოცხვავ კვირი? — სამზარეულოში თავი შეყო რომანმა.

ნოველა (ქალიშვილობის სახელი — ცისმარი) ერთი ქალობაგაუხარელი მზარეულია.

ცისმარი ყოველ ცისმარე დღეს რომანთან რომანზე ოცნებობს.

ბავშვობიდან ვიცნობ და ვიცი, — იმედასთან საყვარლობის გაბმაზე ფიქრი უიმედო საქმეა...

— ხომ გაიგონე, ბიჭო, მზარეულმა — ჯერ არ გამომცხვარაო. ცოტა ხანში შემოიარე.

პატარამ ამოიოხრა. მუჭი გამოიმინდა, გაშალა. გამურულ ხელისგულზე ვერცხლისფრად ქათქათებდნენ ხუთთეთრიანები.

— მეხარჯება, ძია. — ისე თბილად მითხრა, ისევ მომინდა მასთან ერთად „ნიდიდან ფენა.“ — აი, ნახევარი ჭადისლა დამრჩა. აიღე, ესეც არ დამეხარჯოს. სანამ გამოცხვება, მეორე ნახევრისასაც მოვაგროვებ.

უარის ნიშნად ხელები გავასავსავე, მაგრამ სანამ ხმის ამოდებას მოვახერხებდი, რომანმა თვალები დამიბრიალა. რა უნდა მექნა, ხურდები გამოვართვი და სალაროში ჩავყარე.

ჩემიდან კარამდე შმორის სუნის გამჭვირვალე ბილიკი გაკვალა ბიჭმა.

— მეხუთე დღეა მოდის. — თქვა რომანმა და პირზე ხელის აუფარებლად დაამთქნარა.

— კი მაგრამ, რა მჭადია ამისთანა, ხუთ დღეში რომ ვერ გამოცხვავ?

— ეგ ეძახის ჭადს, თორემ კვირია. ობლის კვერი კიდევ, ხომ იცი, გვიან ცხვე...

ფრაზა დასრულებული არ ჰქონდა, ვილაცამ „აქა მშვიდობა!“ — ისეთი ტონით შესძახა, თითქოს, კი არ მოგვესალმა — დაგვემუქრა. ანონილი, ჭადარა კაცი იყო.

ხელში საქალღდით, ცხვირზე — სათვალთა და ყურში — თმებით. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თავს ვალდებულად გაგრძობინებდა, პატივი გეცა მისი პერსონისათვის. რომანს თავი დაუკრა და მე მომიბრუნდა:

— პროფესორი დავითი გახლავართ. ახალი ხართ, როგორც ვხედავ... ლილიანამ იცოდა და მინდა, თქვენც იცოდეთ: მე აქ სხვებით მხოლოდ შიშხილის (თუნდაც სულიერის) დასაკმაყოფილებლად არ დავიარები. გურმანი ვახლავართ. თანაც — ალერგიული გურმანი. ალერგია მაქვს გაქუცულ ლიტერატურაზე, აქერცლილ რითმებზე, ქეციან სიუჟეტებზე... ტანზე მაყრის ხოლმე, ზოგჯერ კი, თავად განსაჯეთ, ბოყინსაც მანყებინებს. ასეთი რამ მხოლოდ არისტოკრატებს სჩვევიათ, ყმანვილო... ამ და სხვა მიზეზთა გამო ინგრედიენტებს თავად ვირჩევ და სახელობით კერძებს ვქმნი. როგორც არსებობენ ჩვეულებრივი და გემოვნებიანი მკითხველები, ასევე არსებობენ ჩვეულებრივი და გემოვნებიანი თავი ხომ არ შეგანყინეთ? ახალგაზრდებს არასდროს გყოფნით ნები-სყოფა ბრძენთა მოსასმენად. რა გავწყობა... მომანოდეთ სუნელების ტოპრაკი, გეთაყვა. ასე... შეგიძლიათ ამითქვიფოთ რითმების ასორტი, ორი ნაჭერი სონეტი, ერთი კოვზი მონოლოგი და ერთი მნიკვი მინიატურა? ახლა ეგ ექსპერიმენტული კერძი ამ სუნელების ტოპრაკთნ და რაიმე სასმელთან ერთად ჩემს მაგიდასთან მომიტანეთ. — მაგიდისკენ მხრებში გამართული გაემართა. „ძველი მოცეკვავეა.“

— გავიფიქრე.

— სასმელი როგორი გნებავთ? — მივაძახე. — ალკოჰოლურ-კლასიცი-სტური, გაზიან-სიმბოლისტური, მინერალურ-ფუტურისტული...

გაჩერდა. არ შემოტრიალებულა, მხოლოდ თავი მოაბრუნა ოდნავ და თქვა:

— საქმეც მაგაშია, ახალგაზრდავ, რომ სულერთია. მიყვარს ექსპერიმენტები. თვალში დახუჭეთ და რომელი ბოთლიც ხელში მოგხვდებათ...

იყო რაღაც არტისტული ბატონ პროფესორში.

„შეფი ნახე, კაფე ნახე, კლიენტი ისე გამონახე. დარტყმულია.“ — თქვი გულში და თვალები დავხუჭე. ხელის ცეცება აღარ დამჭირდა, რომანმა ყველაზე ძვირადღირებული სასმელი შემაჩერა და თვალი მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა.

ამასობაში კაფეში მკერდ-ნელ-თემო გაერთიანებული ქალი შემოთანთალდა.

„პარამეტრები: 300/300/300“ ჩავიბუტბუტე ჩემთვის და გული დამწყდა, რომ ჩემი ხუმრობა ვერავინ გაიგონა. ქალი თავიდან ფეხებამდე ცხვრის ქურქში იყო გახვეული. მისი ნითლად შედებილი ტურჩები და მწვანედ შემოხაზული ყავისფერი თვალები სულ არ ჯდებოდა კაფის ტონალობებში.

— ძალიან პრეტენზიული კლიენტია. —



ჩამჩურჩულა რომანმა. — აბა, შენ იცი... — ერთი ულუფა „ნემსის ქურდი“ — ნერვიულობაც ვერ მოვასწარი, ისე უცებ მიბრძანა და ჩამოჯდა. ბარის მრგვალი სკამის ნაპირებზე სანთელივით „გადმოილვენთა“ ცელულიტოვანი გავა.

— იცით, ცალკე ნემსისა არ გვაქვს, თუ ინებებთ, „აქლემის ქურდთან“ ერთად შეზავებულს მოგართმევთ. — ისე გავიკრიჭე, თითქოს თვით ლიტკაფის მეპატრონის კლასელი კი არა, ყველის ვაჭარი ვყოფილიყავი.

— რას კადრულობთ, სად ნემსი, სად აქლემი? ჩემზე გინდათ გაასალოთ?! — ხალაღცივით აიიმთიმდა. ცხვრის ტყავის ქურთუკი გადაიხსნა და მგლის ბენვის ჟილეტი გამოაჩინა. ფერებით არა, მაგრამ ჩაცმის სტილით აშკარად შეესაბამებოდა ამ კაფეს. ნამდვილი ცხვრის ტყავში გახვეული „დედალი“ მგელი ვახლდათ.

— დამიჯერეთ, აბსოლუტურად ერთნაირი არომატი აქვთ. — დავუყვავე. კლიენტის დამშვიდებულმა არაფერს მიხდინა, მაგრამ არ დაამშვიდებ და ხვალ სხვა კაფეში წავა. — აი, მენიუს ჩახედეთ, მაგ დესერტს ასე ჰქვია: „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო.“

— ესე იგი, შენ მე პირის გემოს მასწავლი?! ვიგინდარა! — დამკვივლა და კარისკენ გაიქცა.

— კლიენტს მიფრთხობ, ძმაო. — ჩაის ტილოთი ყავის ისედაც მშრალი ჭიჭის გამმშრალეა დაინყო რომანმა. მე ყელი გამიშრა. ასე ვიცი ნერვიულობისას.

— მეტი მოხერხებულობაა საჭირო. აგელო და შუაზე გაგეყო ეგ ულუფა. რა დიდი მიხვედრილობა ამას უნდა?.. ჩამოაჭრიდი „ნემსის ქურდს“ და მიაშავებდი, აქლემისა შეგეძლო მერე თვითონ გეჭამა, არ ვარ მე ლუკმაზე გამოქვიდელები კაცი... გაპრიალებული ჭიჭა ანგარიშმიუცემლად გასარეცხი ჭურჭლით სავეს ნიჟარაში ჩააგდო და მოსანევედ გავარდა. როცა დავრწმუნდი, ჩემს ხმას ვერ გაიგებდა, ჩაის ტილო იატაკისას დავანარცხე და ვთქვი:

— შენი სამსახურის დედაც ... — ბოლო სიტყვის თქმა და მაგიდაზე მუშტის დარტყმა ველარ მოვასწარი, სამზარეულოდან ნოველამ გამოყო თავი. თავს, ვინრო კარიდან, ძვალმსხვილი ტანი გამოჰყვა, ტანს — განვდილი ხელი და ხელს — თეფში. თეფშზე ჭადის ფორმის ნახშირი იდო. როგორც კი ნახშირი სანაგვეში გადაუძახა, შეღებილი ნაშენებითა და ვერშენილებული ნაოჭებით შემოჯარული თვალები „ზეცად აღაპყრო.“ მე, საკუთარ თავს და ჭერს ერთდროულად გვიოხრა:

— განა ჩვენი არსებობაც ობლის ამ კვერის იდენტური არაა? მთელი ცხოვრება ცხვები... ცხვები... ცხვები... და ბოლოს ისე ნახშირდები, ვისთვისაც ცხვებოდი, ის გემოს ვერ გისინჯავს...

სამზარეულოს ვინრო კარში ჯერ თავი შეყო. თავმა მძიმე ტანი, მძიმე ტანმა განვდილი ხელი, განვდილი ხელმა კი ცარიელი თეფში შეიტანა.

ცხვრის ტყავში გახვეული ქალი კართან შევლივით გოგონას დაეჯახა. გოგო მოულოდნელობისგან შეხტა, მერე გაიღიმა და ჩემკენ წამოვიდა.

— რა შეგიკვეთათ? — მკითხა ლილილით და მე მივხვდი, რომ მოვიხიბლე.

— „ნემსის ქურდი.“ — ვუპასუხე და ვიგრძენი, ის უკვე ჩემი შეყვარებული იყო.

— მე თუ მკითხავთ, სამაგისო ესაა: „გიჟი თავისუფალია.“

ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ... „სამსახური მაქვს, ფული მექნება, შეყვარებული მყავს.“ — ჩამოვარაკრაკე გონებაში.

— ჰო, „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ვენებასა.“ — ბოლო სიტყვა საგანგებოდ დავმარცვლე, თან ხელი ხელზე შევახე.

— ეს ერთი მინუსი მაქვს: ვერასდროს ვიმახსოვრებ კერძების ზუსტ სახელწოდებას. — ჩაიჟღერტულა და სახე მომიახლოვა.

რალა დღეს არ გამოვიხეხე კბილები, მე იდიოტმა!..

— უკაცრავად, ჩემი შეკვეთა რატომ იგვიანებს? — მორიდებით შემახსენა მაგიდაზე ყურებდალაგებულმა კლიენტმა. — თქვენც მესმის, მაგრამ იქნებ მარცხენაზე მაინც დამაჭრათ, ორივეზე თუ არ ხერხდება. ხომ იცით, გულის მხარეა, მაინც...

რომანს მუდარის თვალთი გავხედე. თავი კი გაიქნია უკმაყოფილოდ, მაგრამ ორ თავ ხახვს მაინც დაავლო ხელი და ცხვირჩამოშვებული ნავიდა მაგიდაზე ყურებდაყრილი კლიენტისკენ. გოგო წამით გადაამაჯინყდა. კლიენტის ყურებს ვუყურებდი და რომანის ბუტბუტს ვაყურადებდი. „ყურუსალი“ — ეს ერთი სიტყვა მოსწვდა ჩემს ყურთასმენას. არ ღირდა ამაზე ყურადღების გამახვილება, ნაუფურე.

— სად შევჩერდით? — მკითხა ჩემმა შეყვარებულმა და ცხვირი ცხვირზე მომიხახუნა. ის იყო ჩემთვის ტანში ჟრუნტელს უნდა დაველო, რომ კაფეს კარი ვილაცამ ნიხლით შემოაღო. გავხედე. შეწყვეტილმა ჟრუნტელმა ორმაგი სიმძლავრით დამიარა სხეულში. ოღონდ, ამჯერად, უსიამოვნოდ.

ცოცხალი ბანდიტი პირველად ვნახე. შავი სათვალე ეკეთა, შავი ქუდი ეფარა, შარვალი და ფეხსაცმელი ჩვენი შავი გვეცვა და მას, მით უმეტეს. ჯიბიდან იარაღი ამოიღო, რატომღაც ვერცხლისფერი, და ამოისისინა:

— ოცდაათივე კბილს დაგაპლომბინებთ, მე თქვენი...

ვა, ამას კბილებიც შავი ჰქონია... მუხლებში ამაკანკალა.

ჩემი შეყვარებული შეშინებული მომეხუტა, მაგრამ მე ვიყოჩაღე, ხელები გავამწვინე, ნიკაპი ჩემი ჯემრის საყლოდან ამოვაცოფინე და სხარტად შევატრიალე სახით ახალმოსულისკენ. შეყვარებულის ზურგს ამოფარებულმა თავი გაცილებით უსაფრთხოდ ვიგრძენი.

— აქ რალაც შეცდომია, ბატონო. —

ქეთი ჯიშიაშვილი

ყველა გზა მადრიდში მიდის

ამ წელსაც, როგორც ყოველთვის, საშობაო და საახალწლო დღესასწაულები ნელ-ნელა ჩვეულებრივ ყოფას უთმობს ადგილს. მადრიდი, ესპანეთის დედაქალაქი, თავის ყოველდღიურ რიტმს უბრუნდება. მოჯადოება დამთავრდა. წინ ბევრი საქმეა, კრიზისი, უმუშევრობა, ახლის მოლოდინი... შობას, როგორც წესი, ოჯახში უნდა შეხვდეთ. ქალაქიდან ბევრი გადის, აქ ხომ უმრავლესობას ოჯახი ესპანეთის სხვადასხვა პროვინციაში ჰყავს, თვითონ კარგა ხნის წინ ჩამოვიდნენ და შემორჩნენ სასწავლებლად, სამუშაოდ, ბედის საძიებლად.

ახალი წელი ყურძნის მტევნების ჭამით იწყება: 31 ღამით, სადაც არ უნდა იყო – სახლში, ბარში თუ ქუჩაში – სანამ სოლზე, მადრიდის ყველაზე ცნობილ მოედანზე, საათი 12-ს ჩამოკრავს, 12 ყურძნის 12 მარცვლის ჭამა უნდა მოასწრო, თუ არა – იღბალი მთელი წლით დაგტოვებს. ქუჩები ხალხითაა სავსე. ამ დღეს ისინიც კი თვრებიან, ვინც მთელი წელი არ სვამს. დისკოტეკები და ბარები გადაჭედლია, ყველა ქუჩაზე შეხვდები პოლიციის მანქანებს, ტაქსები დღეს ორმაგს იღებენ – ასე გადანყვითა სახელმწიფომ და ახალ წელს ტაქსის მოვინის მრავალწლიანი პრობლემაც მარტივად მოგვარდა.

ცოტას ამოიხუნთქავ და 5 იანვარს კიდევ ერთი, „ჯადოქარ ხელმწიფეთა“ დღესასწაული იმართება. ესპანეთში საჩუქრები ბავშვებისთვის თოვლის ბაბუის ნაცვლად სამ მოგვს –მელქიორს, გასპარსა და ბალთაზარს მოაქვს. მათ ჯერ პატარა იესოს მიართვს ძღვენი, ახლა კი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით ესპანეთის ყველა ქალაქის ქუჩებში ჩაივლიან. შებინდებისას მადრიდის მთავარი მაგისტრალი და მოედნები ხალხით იჭედება. წესრიგს პოლიცია იცავს და ხალხის ნაკადს იკავებს. მარშრუტი წინასწარაა ცნობილი და მრავალწლიან ტრადიციას იმეორებს. საბოლოო წარმოდგენა სიბელესის მოედანზე, მერიის შენობის წინ გაიმართება.

ყველა ჯადოსნური პროცესიის მოლოდინშია, ყველა ცდილობს ახლოს მივიდეს, ხელი დაუქნიოს და მოგვების მიერ გულუხვად გადმოყრილი კანფეტები დაიჭიროს... საოცარი სანახაობაა: ათასობით ფერადი ნიღბის ნათურით განათებული უზარმაზარი მარხილები, გიგანტური ზღაპრის გმირები, ფილმებისა და მულტფილმების პერსონაჟები, აკრობატები, ცხოველები,

ფერიები და ელფები მოგვებთან ერთად დადიან ქუჩებში, ცეკვავენ, თამაშობენ, ჰაერში დაფრინავენ... ისმის მუსიკა... მატარებელი უშვებს ორთქლს... ცვივა წვიმები და კანფეტები... მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი ათასობით ბავშვის მომლოდინე თვალია, ზოგი მშობლებს რომ უჭირავს ხელში, ზოგი კისერზე წამოსკუპულა, უფრო ყოჩაღები კი ლამპიონებზე ამძვრალან, რომ უკეთ ადევნონ თვალი ჯადოქარ მეფეებს. ვინც ახლოს მისვლა ვერ მოასწრო, შორიდან უქნევს ხელს და მთელი ხმით გაჰყვირის: „ბალთაზარ, ბალთაზარ, მე აქ ვარ!“ – „წელს კარგად იქცეოდი?“ – სერიოზული სახით კითხულობენ მშობლები. მათ დიდი ხნით ადრე იზრუნეს იმაზე, რომ მოგვების საჩუქრები პატარებს სახლში დახვდეთ.

ლამპიონების შუქზე უამრავი ვერცხლისფერი ფანტელი ფარფატებს. ხელოვნურია, მაგრამ საოცარი სიმსუბუქით ლივლივებენ და ბრწყინავენ ჰაერში. ძირს იმდენი კანფეტი ყრია, რომ ფეხსაცმლის ძირებზე გეკრობა...

7 იანვრიდან „სილენი“ იწყება. ყველა მაღაზია ერთმანეთს ემსგავსება, ყველა ვიტრინაზე ერთნაირი წარწერებია – 70% ან 50%. დღესასწაულებისა არ იყოს, ამ ციფრებსაც მაგიური ძალა აქვთ. ესეც მოგვების პროცესია ქუჩებში, ოღონდ უფროსებისთვის, და ამიტომაც, გარკვეული კონკურენციის ელემენტი ახლავს თან: თუ მისაწრებ, ფაქტიურად გაჩუქებენ იმას, რაზედაც ცოტა ხნის წინ ოცნებობდი. რიცხვების მაგიურ ძალას მაშინ იჯერებ, როცა ხედავ, როგორი სისწრაფით იღებენ ადამიანები გადანყვითილებას, როგორ მოქნილად მოძრაობენ. რიგები დგას გასახდლებთან, გამყიდველებს ქანცი წყდებათ, თუმცა კორპორატიული ეთიკა და ესპანური ესთეტიკა მოითხოვს, რომ დაღლილი თვალები უნაკლოდ იყოს შედებილი. როცა მუქ, ერთიან კონტურში ჩასმულ თვალებსა და ხშირ შავ წამწამებს უყურებ, ხვდები, რომ აზია აქედან არც ისე შორსაა. რასაც მყიდველები რევენ, გულდასმით ლაგდებ... რასაც ალაგებენ, ხელახლა ირევა... და ასე დაუსრულებლად, სანამ ყველაფერი არ ამოიწურება და ტანსაცმლის უსასრულო წარმოება ხელახალი შემართებით არ ამუშავდება.

ცენტრი ტურისტებს ვერ აუდის.. ამ დროს განსაკუთრებით სარფანია ესპანეთში საყიდლებზე ჩამოსვლა. ამბობენ, კრიზისის გამო ჯადოსნური რიცხვები მა-

ლაზიებში 80-ით შეიცვლებაო, ამბობენ, კრიზისის გამო შეიძლება ...

კრიზისი ჯადოსნური არ არის, კრიზისი ჯადოა, ჩაკეტილი წრეა. ფანტომია, რომელიც ყველა სახლის კედელში აღწევს, ყველა ბარში – ყავაში ჩასხმულ რძეს მომწარო გემოს აძლევს. ესპანეთში უმუშევრობის სტატისტიკური მონაცემი სულ უფრო იზრდება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ოპტიმისტები 15% ამბობენ, პესიმისტებისთვის 45% აღწევს, რა თქმა უნდა, არსებობს ოფიციალური სტისტიკაც, მაგრამ ...

...ყველა მაინც მადრიდში ჩამოდის. ეს შესაძლებლობების ქალაქია, ქვეყნის კომერციული და ბიზნეს ცენტრი, ეს არის ქალაქი, რომელსაც არავინ აძინებს.. არ აძინებენ მეზობელი ქალაქებიდან – ვალიადოლიდიდან, სეგოვიიდან, სალამანკიდან ჩამოსული კასტილიელები, ავტობუსით ორ-სამ საათში რომ შეუძლიათ საკუთარ სახლებში დაბრუნება.

არ აძინებენ ასტურიელები და არაგონელები ყოველ საღამოს, ქალაქის პარკებში სირბილისას მაღალი მთები, მშობლიური მწვანე მინდვრები და ტყეში ჩაკარგული ბილიკები რომ ახსენდებათ და სპორტული ტენიზით დაღლილებს, სუფთა, გაყინული ჰაერი ენატრებათ, ისეთივე გამჭვირვალე, როგორც ჩრდილოური ხასიათია, უბრალო და პირდაპირი, როგორც კლდოვანი სანაპირო და თოვლიანი მთებია, საფოსტო ბარათებზე რომ გამოსახავენ ხოლმე „მწვანე ესპანეთის“ სიმბოლოდ.

არ აძინებენ ანდალუზიელები, სამხრეთული შუადღეების მხურვალეობა რომ მოაქვთ გულით, ამ შუალამით დედაქალაქის ქუჩები რომ უნდა დაანთონ ჟესტებით, თვალებით, უცნაური აქცენტით, ხშირად მადრიდლებიც რომ ვერ გებულობენ. შობას ისინიც ოჯახში შეხვდნენ. ჩამოსასვლელად დაახლოებით 4 საათია საჭირო ჩვეულებრივი მატარებლით, ან ამის ნახევარი – ჩქარი მატარებლით, ოღონდ ორმაგ ფასად. აქ ზაფხულის ლანდები ზამთარშიც აღვიძებენ ოცნებებს. როცა დაცხება, ქალაქის ცენტრში სახლებს შორის უზარმაზარ ზოლებიან ტილოს გადაჭიმავენ, ქოლგასავით რომ დაუჩრდილოს ვინრო ქუჩებს სამხრეთული მზის მცხუნვარება. შეთეთრებულ კედლებზე ყვავილებიან ქოთნებს დაკიდებენ, ფასადებზე ფერად კერამიკულ თეფშებს მიაბნევენ ჭრელი ლილებივით. შეისრულ თალებს შორის დანახულ ლაფვარდასა და ოხრისფერ ჰაერს პოეზია, სიჩუმე და ნიავეთ ტკბობა უხდება.

...ტელევიზორის ეკრანი შფოთს ასხივებს, ყოველ წუთს აცხადებენ, რომ ამ წელს გაზის, დენის, წყლის გადასახადები

გაიზრდება. ევროკავშირი ესპანეთს აფრთხილებს, რომ დროულად გადალახოს კრიზისი, რადგან იგი საფრთხეს უქმნის კავშირის დანარჩენ ქვეყნებს. შეცვლის კი არჩევნები რამეს? როგორ ფიქრობთ, მართლა გაჩნდება სამუშაო ადგილები, როგორც პოლიტიკოსები გვპირდებიან? ვის სჯერა მათი?


სამაგიეროდ, ნავარაში წმინდა ფერმინის დღესასწაულისა სჯერათ. სავარაუდოდ, ამ რწმენას იზიარებს მილიონამდე ადამიანი, რომელიც ამ დღეებში ხარების სრობის საყურებლად პამპლონაში ჩაიღის.

კატალონიაში საკუთარი საფეხბურთო კლუბისა სწამთ და იმისაც, რომ ბარსელონა ევროპის ყველაზე თანამედროვე ქალაქი, ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ცენტრი გახდება.

თუმცა, ბარსელონა მადრიდიდან შორია... და რადგან მადრიდი პირენეის ნახევარკუნძულის შუაგულშია, მის ზემოთ კი ჯერ ცენტრალური პლატოა, შემდეგ კი – იბერიის მთები, კატალონია შორიდან მოჩანს და ალბათ იქიდანაც ასეა.. მაშინ გამოდის, რომ ბარსელონა ბასკეთი შედარებით უკეთ უნდა ჩანდეს, თანაც საერთო ოცნება, წესით, უნდა აახლოვებდეს ადამიანებს, ტერიტორიებს, ქვეყნებს. ესპანეთში, გარდა კასტილიურისა, კიდევ ოთხი სახელმწიფო ენაა, მათ შორისაა ეუსკერა, ანუ ბასკური, რომელიც არც ერთ დანარჩენ ენას არ ჰგავს და კატალონური, რომელსაც განსაკუთრებით უფროსი ილდებიან: ფრანკოს რეჟიმის დროს ამ ენებზე საუბარი იკრძალებოდა, თანდათან იკარგებოდა სიტყვები, ზოგი უბრალოდ გაქრა და მათ დასაბრუნებლად მოგვიანებით სახელმწიფოს საგანგებო მხარდაჭერა გახდა საჭირო.

ასეც რომ არ იყოს, ბასკეთში, ისევე როგორც კატალონიაში, პორიზონტი ფართოა - თვითმფრინავები შუა ზღვიდან შემოდიან, ჰაერში წრეს არტყამენ და გაუდის, პიკასოს, დალის ქალაქში ათასობით ტურისტი მოჰყავთ. მოჰყავთ ქერათმიანი ჩრდილოელები, ესპანეთის ნახვას მონყურებული ამერიკელები, მოჰყავთ აფრიკელები და ბრაზილიელები, რომლებიც, ალბათ, კარგა ხნით დარჩებიან საცხოვრებლად. აქ თუ არ გაუმართლებთ, მადრიდში წავლენ, სადაც ლეგალურად და არალეგალურად ისედაც ცხოვრობს და მუშაობს უთვალავი ლათინოამერიკელი...

მადრიდში წვიმს. წვიმს წვრილად, ყველა მიმართულებით. ამ დილითაც, როგორც ყოველთვის, ბართან მაღალ სკამზე მიმჯდარი ესპანელი თავის პირველ ყავას და ფორთოხლის წვენს მიირთმევს. ვინც ადგილის დაკავება ვერ მოასწრო,



ფეხზე დამდგარი საუზმობს. არც ეს არის პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, ბარში ხომ მარტო ამისთვის არ შემოდიხარ. ეს რაღაც შუალედური სივრცეა სახლსა და ქუჩას შორის, შუალედური ურთიერთობები — მეგობრობასა და მარტობას შორის. ეს არც შენი სახლია, სადაც თვითონ ხარ მეფე და არც ქუჩა, სადაც არავინ არ ხარ, ან თუნდაც მდიდრული რესტორანი, განსაკუთრებული თავდაჯერებულობით რომ უნდა შეაბიჯო. ბარები ხშირად ვინროა, არც თუ ისე კარგად მოწყობილი. სამაგიეროდ, აქ ლამის ყველას ცნობ სახეზე, ზოგი შენი მეზობელია, ზოგიც ამ უბანში მუშაობს. შეგიძლია უცებ შეირბინო, გვერდზე მჯდომს გადაულაპარაკო, ნაგებულ ფეხბურთის მატჩზე ინტენსიური, პოლიტიკოსები გალანძლო ან, უბრალოდ, ჭიქა ღვინოს გაზეთი მიაცოლო.

ბარში შესვლა პაუზაა, სულის მოთქმა. ბარების კულტურა ესპანური ხასიათის განსახიერებაა, ეს არის გზა კიდევ უკეთ შეიგრძნო ყოველდღიურობა, კი არ გააქცე, პირისპირ შეხვდე, გააძლიერო, მასშივე დაიხარჯო.

გარეთ ისევ წვიმს, ბარის ვიტრინის მიღმა ქოლგის ხალხი მიდი-მოდის. საერთოდ, ამ ქალაქში, ჯობს, დიდი ქოლგა გქონდეს. ასეთ ამინდში ყველაზე უკეთ თავს, ალბათ, ისევ გალისიელი გრძობს — წვიმის ფარდა მშობლიურ მხარეს აგონებს, მთელ ესპანეთში განთქმულს წლიური ნალექების რაოდენობითა და მელანქოლიით. წვიმის წვეთებს შორის დანახულ სამყაროსაც აქვს თავისი ხიბლი, მითუმეტეს, როცა შენი კუთხიდან შორს ხარ, თანაც გალისია განსაკუთრებული მიწა — აქ წმინდა იაკობის საფლავია. იმ წელს, როდესაც მოციქულის დაბადების დღე კვირადღეს ემთხვევა, სანტიაგო დე კომპოსტელაში თავგანწირული მომლოცველები და ცნობისმოყვარე ტურისტები ჩადიან. ათასი წელია საკუთარი ფეხებით ტკეპნიან ისტორიულ გზებს, ხელის შეხებით აგლუვებენ ტაძრის კუთხეებს...

...ვალენსიური ჯიშის ტკბილი ფორთოხლები რიგრიგობით ცვივა ბარის სანურში. ნარინჯისფერი მზეების წვენი... და სადღაც იქ, ვალენსიაში, ასეთი ბურთებიანი ხეების მინდვრებია. დაინახავ, და უცაბედი სიხარულის ტალღები გეხლება გულზე. გარდა ზღვისა, ვალენსიაში არის ვალენსიური ენა და ხელოვნების და მეცნიერების ქალაქი: კალატრავას მიერ შექმნილი არქიტექტურული საოცრება — ნყლის ზედაპირზე მოტივტივე უზარმაზარი თვალი, რომელიც არასდროს იხურება.

და ამ ფონზე ვის ახსოვს მეფე? ამიტომ მეფე თვითონ ახსენებს თავს საკუთარ ხალხს — სიტყვით გამოდის სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე, მიმართავს მათ სახალხო ზეიმებისა და მნიშვნელოვანი თარიღების დროს. კარგა ხანია აღარ სწყინს, როცა ამბობენ, რომ მეფე ესპანეთისთვის ლამაზი რელიქვიაა და სხვა არაფერი. არ სწყინს იმიტომაც, რომ მის ქალაქში — მადრიდში ყველგან იგრძნობა მეფური სული. მეფური ღირსებით დგანან შენობები, რომლებიც სულ სხვა რიტმისთვის, სხვა ცხოვრებისთვის შეიქმნენ, ახლა კი ისლა დარჩენიათ, საკუთარი კედლებით დაიფარონ უამრავი მოციმციმე ეკრანი და კაბელებს შორის მოფუსფუსე ადამიანები. მათ ქვეშ, მინის სიღრმეში მატარებლები დაქრიან სამი წუთის ინტერვალით და მართი კუთხით კვეთენ მეტროს ფერად ხაზებს. ადამიანები ყოველდღიურად გადადიან ხაზიდან ხაზზე საგანგებოდ დახაზულ უჯრეტში, გეგონება, კლასობანას თამაშობენო. ეს როული თამაშია, განსაკუთრებით, თუკი ხელში წიგნი, (ნამდვილი ან ელექტრონული) საბავშვო ეტილი ან პროდუქტებით სავსე ჩანთა გიჭირავს.

მინის ზემოთ კი შუქნიშნები, აგერ, უკვე მერამდენედ იცვლიან ფერს... დღე იწურება და, როცა მდიდარი დეკორით მორთულ უზარმაზარ ფანჯარებს დარბაზებს აფარებენ, ქუჩიდან მინც აღწევს განათების ანარეკლები და მთელი ღამით გასართობად გამოსული ხალხის ხმაური. მადრიდს არ სძინავს... ვერ იძინებს... აქ ქარებს ქვეყნის ყველა მხრიდან მოაქვთ ბუნდოვანი ფიქრები, უჩვეულო ჰანგები ერთმანეთს ერევა, ეხეთქება... და როცა დილით მზე ამოდის, მადრიდი ოდნავ დაღლილია, ოდნავ გაბზურებული, მაგრამ არ იმჩნევს... ბოლოს და ბოლოს, ესეც ღისების საკითხია.

დასასრული

დათაფლული ხმით წარმოთქვა გამწარებული რომანმა. აშკარად გადაამლაშა, — მის ტკბილ „ბატონოს“ საერთო არაფერი ჰქონდა ბანდიტის მყავე გამომეტყველებასთან.

— დიახ, დიახ, პირში კბილთა რაოდენობა, მით უფრო თქვენს ასაკში, ოცდართომეტი უნდა იყოს. — ბრძანა პროფესორმა დავითმა და კერძს დაყნოსა.

— მოკეტეთ, მე თქვენი! — ჭერში გაისროლა ბანდიტმა.

გავშვდით. მე, ჰლუს, ყელიც გამიშრა. უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, თინეიჯერმა ბიჭმა წარმოუდგენელი სიმამაცე გამოიჩინა — მორიდებულად, მაგრამ მაინც ჩაახველა. ეს კიდევ არაფერი, გოგო გვერდით სკამზე გადასვა და ზანტად წამოგდა. არადა, ერთი შეხედვით არ ტოვებდა გვირის შთაბეჭდილებას... მისი ვარიანსავით ნორჩი გოგო სიამაყემ ინდურივით გაფხორა. გულის სიღრმეში ჩემი შეყვარებული კი შემეცოდა, მაგრამ ამ ამბავს არაფერი ეშველებოდა — მისი გაფხორვა უპერსპექტივო საქმე იყო.

წამომდგარი ბიჭი, ყველასათვის მოულოდნელად, უცებ წელში მოიკაკკვა და ბანდიტს შეეხვნა:

ნათია როსტიაშვილი

თარსი



— ძმაო ბოდიში რა... თხუთმეტ წუთში თავანი თუ არ ჩავაბარე, იმენა, ტრუპი ვარ. იზინი, რა... — ხელები უკანკალედა. თვალების უბეები საჩვენებელი თითებით ამოიშრალა. ცრემლით არა, შიშით ჰქონდა სავსე. ახლა უკვე მისი შეყვარებული შემეცოდა...

ბანდიტმა თვალით ანიშნა, — შეგიძლია გახედო. თინეიჯერი ჩინელი მსახურივით უკან-უკან წავიდა ნელმოკაკუული. მხოლოდ კართან მისული გასწორდა, შებრუნდა და გიჟივით გავარდა.

— რა გაკავშირებთ იოსებ შავაძესთან მეთქი! — ხრინწიანი ხმით დაიძახა ბანდიტმა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა. ჩემს შეყვარებულსაც უნდოდა, ჩემთვის გადმოეხედა და მხრები აეჩერა, მაგრამ შემოტრიალების საშუალება არ მიეცეოდა, ჩემი სანგარის მოშლა არ დავანებე. ბოლობოლო, საკუთარ თავს გადაფურჩი და ვიღაც კბილუკარიისიანს რატომ უნდა მოველაპოვებინო?!

— კლიენტთა სიაში ვნახავ, ახლავე. — არ დაიბნა რომანი. თფუო, — თითის დასველება სცადა, მაგრამ შიში ოხერი რამეა, ნერწყვს აშრობს. დავთრის გაქონილი ფურცლები ერთმანეთს

— მიდი, კარგად დაძებნე! რა ჯადო გაუკეთეთ ასეთი, მე თქვენი!.. აქეთ ვჭრი ხალხს, ტო, აზრზე მოდი! ოცდაათივე პლომბისას გადაგახდევინებთ, მე თქვენი!..

გადამახდევინებს არა ბროშკა. ლარიც არ მიგდია ჯიბეში. ამაზეა, რაა, ის სადღეგრძელო, უიმედო კაცის მოიმედეს გაუმარჯოსო.

— კბილები განუხებთ? — შეჰბედა რომანმა. — კი. — თვალზე ცრემლი მოადგა ბანდიტს. ადამიანია, ეგეც. — აი, თითქოს მკვახე ალუჩა გეჭამოთ ბევრი, ხომ? — ჩაეძია რომანი. — ჰო. — აზლუქუნდა ბანდიტი. —

— მოურიე და ჭამე! — უბრძანა ბანდიტმა და კიდევ ერთი „ბაახს“ ჰკერში.

მოურია და ჭამა პროფესორმა. პირველივე ლუკმაზე დააბოყინა.

მეორეზე დააცემინა და ჯიბიდან სანერი კალამი ამოიღო.

მესამე ლუკმაზე ხველება აუტყდა. მაგიდაზე დაყრილი ხელსახოცები აღერგია დაყრილი ხელით აიღო და რაღაცის წერა დაიწყო.

მეოთხე ლუკმაზე პირიდან ქაფი გამოვიდა და თავი ხელსახოცზე ჩამოლო. მეხუთე ლუკმა შეჭმას გადაურჩა.

კარმა გაიწკარუნა.

— მე ვარ, ძმა. — თავი შემოყო თინეიჯერმა. — სორი, რომ შემოგეჭერი. ჩემი გოგო და მობილური დამრჩა. — ძლივს გასაგონად წაილულულა.

— ნაიღე. — იარაღი დაუშვა ბანდიტმა.

თინეიჯერის გოგო წამოხტა და კარისკენ გაიქცა. ზღურბლთან გაჩერდა, პირიდან კევი ამოიღო და ბიჭს თმაში ჩაანება თუ არა, მუხლიც ამოარტყა, სადაც ჯერ არს... ბიჭი ჩაიკეცა, ტკივილისგან მოჭმუჭული სახე თავის აკანკალებულ მუხლებს შორის ჩატენა. გოგომ გადააბიჯა და გარეთ გავარდა.

ყინულია მაგისტვის კარგი... კევის მო-

ოცდაათივე.

ყველამ პროფესორს გავხედეთ. დუმდა.

— გასაგებია. — საზეიმოდ განაცხადა რომანმა. — თქვენი ბაბუა (ეს დასავლურად, თორემ აღმოსავლურად პაპაა), „ხანგრძლივმოქმედი მენიუს“ თავყვანისმცემელი იყო. ჰოდა, აირჩია ტყემლის სახეობა, რომლის ლათინურიდან თარგმანი გვაძლევს შემდეგ ფრაზას... ა, ბატონო, ნაგიკითხავთ: „პაპის (ეს აღმოსავლურად, თორემ დასავლურად ბაბუაა)... ჰო... პაპის ნა-ჭამ-მა ტყე-მალ-მა... შვი-ლიშ-ვილს მოს-ჭრა კბი-ლი-ო.“

როცა ბანდიტი დუმს, დიდია შანსი, იარაღი გაახმაუროს. დავიზაფრეთ.

— გამიჩალიჩა, ტო?! — ჩვენდა გასაკვირად, შავებში ჩაცმული შავაძეს სახე რომანის ცვირსახოცივით გადაუთეთრდა და მოეჭმუჭნა. ცვირის წვერზე თითი ისე გაისვა, ეტყობა, გულაჩუყებული ცრემლის ნაცვლად ცინგლის დენა იცოდა.

ჩემი შეყვარებული გონიერი გოგოა, მიხვდა, რომ საშიშროებამ ჩაიარა, ჩემკენ გაბედულად შემოტრიალდა:

— მშიშარა! კაცი ხარ ახლა შენ? — ტკაც! — მარჯვენა ლოყაში სილა გამანნა.

კაფეში მუშაობისა არ იყოს, არც სილის გარტყმის გამოცდილება მქონდა. არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, ან მეთქვა საპასუხოდ. იმდენად დავიბენი, რომ მარცხენა ლოყა მივუშვირე. ყურებზე ხახვდაჭრილი ადგილიდან წამოხტა.

— მაგას ნუ მიუშვერთ, გულის მხარეა, მაინც...

— ტკუც! — ეგეც მარცხენას. შეტრიალდა, თეძოების რხევით ბანდიტს მიუახლოვდა.

— ესე იგი, იაშა პაპამ გაგიჩალიჩა? — თვალი თვალში გაუყარა, გაუღიმა.

— იოსება ბაბუამ. — შეუსწორა ბანდიტმა.

— ეგ ერთი ნაკლი მაქვს, ბაბუების ზუსტ სახელებს ვერ ვიმახსოვრებ... — ისევ გაუღიმა და ცხვირი ცხვირზე მიუხახუნა. ვაააჰ!..

რომანი პროფესორთან მივიდა. ხელსახოცზე დანერილს დახედა: „შესანიშნავი გემო აქვს. თუ არა ჩემი ალერგიულობა, ბოლომდე გეხლებოდი. გთხოვთ, ამ კერძს ჩემი სახელის უკვდავსაყოფად დაარქვათ „რაც მოვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.“

გახვეებული ვიდექი. ერთ დღეში იმდენი რამ გადამხდა, თავი სიზმარში მეგონა. რომანი მომიახლოვდა, გამოსაფხიზლებად ვიღაცის ნაპირალი ბოკალიდან „არა შეუჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“ შემასხა და ყურში ჩამყვირა:

— დაახვიე აქედან, თარსო!!!

უსიტყვოდ წავედი გასასვლელისკენ. გასვლამდე, ზღურბლზე ტკივილისგან მოკუნტული გრძელთმიანის თავისკენ დავიხარე და მზრუნველად ვუთხარი:

— ყინულია, ძმაო, მაგისტვის კარგი. დაადებ და არც დაგენიწკნება, ისე მოგძვრება.

— ნაღი, შენი!.. — თავისებურად გადამიხადა მადლობა.

გამოვედი. უბედურად ციოდა. აბრას ავხედე. ეჰ... როგორ დავიჯერე, რომ ჩემი ცხოვრებაც ამ „ტ“-სავით 180 გრადუსით შემოტრიალდა და წინ მხოლოდ „ურა“ და ვაშა მელიდებოდა?!

რამდენიმე ნაბიჯი გადავედი, უკან მივიხედე. პატარა, ობოლი ბიჭი ხურდებს ითვლიდა, თან კაფეს კარს სუსტი მხრებით აწეებოდა...

არანაირი საქმე არ გამომდის...

ხიდისკენ წავედი. გული მწყდებოდა, რომ სიცოცხლის ბოლო დღეს, ბოლო სიტყვად („მადლობას“ თუ არ ჩავთვლით) „თარსო“ შემრჩა. აქვეა ხიდი. გავხედე და გავხედე. ის ტაქსი იდგა, მე რომ ფულის გადახდას შევპირდი. ამ მძღოლის თვალწინ როგორ გადავხტე, ვათქმევინო, სამ ლარს გადავყვო?!

თავის მოკვლის საქმეშიც არ მომემართა ხელი, თარსი ვარ, მა რა ჩემი ფეხები ვარ...

ისლა დამრჩენია, უკან დავიხიო და შემოვლითი გზით სახლისკენ დავახვიო. არადა, აქვე ვიყავი... ხვალ ახლიდან რა გამოივლის ამხელა მანძილს თავის მოსაკლავად...

ბიბლიური აკლამატიონი...

ორი სონეტი ჯემალ აჯიაშვილს

რუმი ჩვენი, ჯალალ-ედ-დინ, ჩვენი სიმონი! —
ეჰა, ღმერთმა თუ უწყის ერთმა, გზად ვის რა ელის!..
თუმც ივერიით ყურს გიხედნის ბრავისიმონი,
მაინც ნატრული პილიგრიმი ხარ ისრაელის.

ჩვენ ყინჩად არც როს გვივლია და ვაგლახ სიმონის
არცა რა გვცხია, დროს ოთხივეს ვსდევდით რაველით...
არც სიდუჭირის ვეძიებდით მინყივ სინონიმით,
უფლით არსობის ჩვენც გვრგებია ზოგჯერ თაველი.

ქვესკნელს და ზესკნელს რად ვეფარვით,
რად ვიფანტებით,
ზამთრის მცხრალ მზეში რატომ გვათოვს
შავი ფანტელი, —
ჩვენ გაზაფხული აკი კვლავაც გვეიმედება!

როცა ტყემალი მწვანე ზღვაში თეთრად აფრას შლის,
რატომ მღერინან ასე ერთად თეთრი გედები,
ვის უღვეს ბრალი ჩვენი სულის გადახაფრამი?!

18 იანვარი, 2012 წელი

რამ შეგვიცვალა სასოება ავი ტაროსით! —
ქართული სიტყვით აწყობილი ქნარი დავითის
შენს უკვდავების ქორონიკონს მაინც აითვლის...
რა დაგხვდა ტანჯულს მანდ საესავ-სანეტაროსი?!

ბუს, თვალს არ გჭრიდა ხიბლი მზეთა ცისკრით
ამოსვლის,
ტოროლის ჰიმნებს ესწრებოდი მზით და აისით,
შენი მზიური სტრიქონები ახლაც გაისმის,
ქმნილი ცის ნამით და ცისარტყლის შვიდფერ სამოსით...

ეს სიმფონია, რაც დიდი ხნით ადრე გამენდო,
გრძობდა ყოველთვის შენს სასურველ სიტყვის
კამერტონს, —
ეჰ, ვინ რა იცის, გული რას გრძობს, თვალი რას ხედავს!..


დიდი ტკივილის დუმილია აქ და მეფეთა,
სიტყვის მეფეთა პანთეონში უკვე აჟღერდა
ხმა შემფოთების ბიბლიური აკლამატიონი...

14 იანვარი, 2013 წელი

ღვთის ნინაშე, ახლა ძალიან მიჭირს ჯემალზე რამის
თქმა... ცხადია, არა სათქმელის სიმნიშვნელობა გამო, არამედ
პირიქით... ეს არის მთელი ეპოპეა, რომელზეც ფიქრს სულ
სხვაგვარი დაუფლება უნდა... მისი ღირსების გამოხატვე-
ლი მოკლე სიტყვა 9 იანვარს უკვე ვთქვი მწერალთა სახ-
ლი გამართულ სამელოვიარო მიტინგზე; ჯემალ აჯიაშ-
ვილი აქ, საქართველოში რომ გარდაცვლილიყო, ქართვე-
ლი ხალხი მას მთანმინდაზე აიყვანდა, რაც ქართულ-
ებრაული ძირძველი ურთიერთობის სიმბოლოდაც დარ-
ჩებოდა-მეთქი... ვინც ჭეშმარიტი პოეზიის მადლსაა ნა-
ზიარები, დარწმუნებული ვარ, ამას გადაჭარბებულად
არაფერს ჩამოთვლის, ის კი არა და, იმასაც დაეძენ, რომ
კარგი იქნება, თუკი მას, სიკვდილის შემდეგ, რუსთავე-
ლის პრემიაც მიენიჭება. მცდარზე მცდარი იქნება მავან-
თა აზრი, კარგი მთარგმნელისათვის ვისაც ეს ეროვნული
პრემია დაენახება. მთარგმნელი მხოლოდ მთარგმნელი
როდია... ჩამოთვლა რომ არ დაეინყო, უპრემიოდ ამას
წინათ გარდაცვლილი თამაზ ჩხეკელი მაგალითიც იკ-
მარებდა! არადა, რამდენი გვყავს, ღირსეული სამყაროს
კულტურულ ღირებულებათა „კიდობანს რომ გვივსებენ...“
რაც შეეხება ჯემალ აჯიაშვილს, ქართული სიტყვის
ამ ჭეშმარიტ დიდოსტატს, ჟანრობრივ სიმრავლეში „გზა
არასოდეს შეშლია...“ ჩვენმა კრიტიკამ მისი ორიგინალური
პოეზიის ღირსებაზეც უნდა ამოიღოს ხმა! როგორც შემო-
ქმედმა, რა განძიც დადო, მკითხველმა კარგად იცის. რაც
შეეხება ჯემალსა და ქართულ თეატრს, ეს უკვე ცალკე
თემაა...

ამის უთქმელობა არ შემეძლო, რადგან სწორედ დღეს
არის 14 იანვარი, ქართული თეატრის დღე და, ეს მოკლე
სიტყვაც დღეს იწერება.

აქ წარმოდგენილი ორი სონეტის ზოგიერთი სტრიქო-
ნის მცირე „განმარტება“, ვფიქრობ, არც მკითხველი-
სათვის იქნება ურიგო. მსოფლიო პოეზიის შედევრების
ქართულ შედევრებად მქცეველ ჯემალს დიდი სპარსელი
პოეტის, ჯალალ-ედ-დინ რუმის ლექსებიცაა აქვს თარგ-
მნილი (იგი განათლებით ხომ სპარსული განხრით აღმო-
სავლეთმცოდნე ფილოლოგი იყო).



იმის გამო, რომ ლაპარაკისას თუ კამათისას ჯემალს
ბოლომდე „გახსნა“ არ უყვარდა, ერთხელ გიგლა ხუბაშ-
ვილმა, რა თქმა უნდა, სიყვარულითა და ხუმრობით
„ბნელად“ მოიხსენია... მერე აქა-იქ „ბნელო“ სხვებისგან-
ნაც რომ მომეყურა, „სიბნელისათვის“ ვერ გავიმეტე ჯე-
მალ და ჯალალ-ედ-დინ რუმის მთარგმნელი „ჯემალ
ადინ მრუმედ“ მოვხატე... არ სწყინდა, მეუბნებოდა, შენ
მაინცდამაინც ეს „ადინ“-ი მოგწონს და ამიტომ-ო...

ორივე სონეტისათვის დაწერის თარიღი შემთხვევით
არ მიმიწერია.

1912 წლის 18 იანვარი ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრება-
ში იქნებ მართლაც გამორჩეული დღეა.

იმ საღამოს, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრ-
ში, ჯემალის თანამოკალმეებისა და მადლიერი მკითხ-
ველების ტევა არ იყო.

ქების სიტყვითა და უჩვეულო გულგამლილობით როცა
ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ გამომსვლელები, დარ-
ბაზის კარი ფართოდ გაიღო და მისი უწმინდესობა და
უნეტარესობა, ილია II შემობრძანდა და ეს საღამო
დღესასწაულად გვიქცია.

ჯემალი, როგორც საყოველთაოდ ცნობილი „დამგვი-
ანებელი“, მისთვის გამართულ ამ შეხვედრაზეც ავგინებ-
და. მანქანით უნდა ამოველო ბარნოვიდან, სულ რაღაც
ორიოდ ნაბიჯზე, გოგებაშვილზე და მეუღლესთან და უმ-
ცროს ვაჟთან, ლევანთან ერთად უნდა ნავსულიყავით.
ვფიქრობდი, ახლა მაინც მოისურვებდა დროზე ცოტა
ადრე ადგილზე მისვლას, რომ დარბაზსა და საკუთარი
ფორიაქს შეჩვეოდა, მაგრამ ჯემალს „გერმანულმა პუნქ-
ტუალობამ“ ამჯერადაც უმტყუნა. სამაგიეროდ, ყოვლად
დამშვიდებულ ერთსაათიან „ცდაში“, ჩემთვის მოძღვნი-
ლი სონეტების პასუხად, ექსპრომტად ეს სონეტიც დაიწ-
ერა, ტკივილიანი სონეტი...

ჯემალი არა მხოლოდ ჩემი თანამოკალმე, არა მხ-
ოლოდ ერთიდაიგივე დაწესებულების (მხატვრული თარგ-
მანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი
სარედაქციო კოლეგია) თანამშრომელი, არა მხოლოდ
უბნისა თუ კარის მეზობელი, იგი ჩვენი ოჯახის უახლოე-
სი ადამიანი იყო.

ბოლო რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე მისი ყოვე-
ლი სიტყვა, სტრიქონი თუ წინადადება ჩვენთან „იჩხრიკე-
ბოდა“...

პირველი მკითხველი შინ ჰყავდა, მისი შემოქმედებისა
და ცხოვრების ერთგული თანამდგომი, მისი სიცოცხლი-
სათვის თავგანწირვით მებრძოლი, ქალბატონი მანანა
აჯიაშვილი, ვისაც გაბედულად სამძიმარსაც კი ვერ ვეუბ-
ნებით... არც მათი შვილებისათვის, დიმიტრი და ლე-
ვანისთვის იქნება იოლი ჯემალ აჯიაშვილის შვილობა...

მგონია, სიტყვა გამექცა, მაგრამ ერთი რამ მაინც
აუცილებლად უნდა ვთქვა.

ჯემალ აჯიაშვილს ხშირად სოლომონის ტაძრის ნგრე-
ვის მხილველ ებრაელად წარმოვიდგენდი ხოლმე, ყოველ
შემთხვევაში, ჩემთვის იგი ამ დიდი ტკივილის ცოცხლად
განმცდელი ყოველთვის იყო...

მივი შპსნაზარი

მურმან ჯგუბურია ცოტა რამ „26 ივნისის საიდუმლოზე“

დასასრული

გარკვეული მიზანი უჩნდებათო. ამგვარია სინათლე-სიბ-
ნელის გაგვინა ფრინველებზე, და რა თქმა უნდა, ადამი-
ანებზე.

ივანე მაჩაბლის ტრაგედია ღამე მოხდა. „ეჰა, ღამე...“
ამ ღამის ტრაგედიის ამოხსნას ცდილობს ჩვენი სახ-
ელოვანი ერისკაცების მემკვიდრე.

2.
„მე რა შუაში ვარო, აკაკიმ, ჩემზე ხომ არ ეჭვიანო-
ბო?“

„არაო“, ილიამ.
„მამ რა გალაპარაკებსო“, აკაკიმ.
„ხომ გაგიფიქრიაო“, ილიამ.
ილია ერთია „ჭმუნვასა და სიხარულში“.
აკაკი „ხან მინისაა, ხან — ცისა“.
აკაკი პოეტი.

ილია მოძღვარი. განდი-მაჰათმა. რაც იგივე მოძღვარს
ნიშნავს. ილია ბრძენია და ერის წინამძღოლი. უვიგროვი-
ნო მეფე. მეფეებიც წერდნენ ლექსებს, ცხადია. დიდებულ
ლექსებსაც, მაგრამ ცოტას წერდნენ. ილიაც ცოტას წერს
(ლექსებს). ჩვენმა სათაყვანო პოეტმა მთელი 5 წელიწადი
ერთი ლექსიც კი ვერ დაგვიწერაო, იონა მეუნარეამ. გუ-
ლი ეთანაღრებოდა, საყვარელი პოეტი რომ დროს ჰკარ-
გავდა. ჰკარგავდა კი? არა, ცხადია. ათასი საქმე უნდა
მოეგვარებინა: ჟურნალი, ბანკი, სოფლის მეურნეობა, წე-
რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. პროზა.
პოეზია. თარგმანი. პუბლიცისტიკა. პოლემიკა. და კიდევ
— სასამართლო. მოსამართლე იყო, მაგრამ — მომრიგე-
ბელი მოსამართლე.

როსტომ ჩხეიძე ჩემზე უკეთა ჩახედული დიდთა წინა-
პართა ასავალ-დასავალში, ბიოგრაფიაში, ყოფა-ცხოვ-
რებაში, სიტყვასა და საქმეში.

როსტომ ჩხეიძის მიერ გამოსახული ილია ძველ ჩინელ
ბრძენკაცს, კონფუციუსს მოგვაგონებს, ყველა კითხვაზე
რომ ძალუმს პასუხის გაცემა.

„ხომ გაგიფიქრიაო“, ილიამ.
აკაკი განაფიქრებ პასუხს არ აგებს.
ჭაბუა ამირეჯიბი წერს: კაცი ხოლმე იმგვარ რაღაცას
გაიფიქრებს, საკუთარ თავსაც კი ვერ გაუშხელსო. ესე იგი,
გააიდუმალებს.

აკაკისთვის 26 ივნისის საიდუმლო საიდუმლო არ არის,
მაგრამ უნდა, რომ საიდუმლოდ დარჩეს. გამოთდეს. გა-
ლეგენდდეს. არც როსტომ ჩხეიძე ხსნის ბოლომდე კვან-
ძს, ზოგი რამ მკითხველმა რომ გაიაზროს.

3.
ივანე მაჩაბალი გაქრა.

ნოე ჟორდანიამ ამბობს:
„ინგლისელები ამბობენ, მკვლელის მიგნება თუ გინ-
და, იქიდან დაიწყე საქმის გახსნა, ვის ძალევიდა ხელს ყვე-
ლაზე მეტად ამ ადამიანის ჩამოცილებაო“.

და, რა თქმა უნდა, ილიას გულისხმობს.
ილიასა და მაჩაბელს შორის გამართულ კამათსა და
დავიდარაბას.

ნოე ჟორდანიამ, დარწმუნებულიც რომ იყოს მაჩაბლის
გაქრობაში აკაკის მიუძღოდეს ლომის წილი, სიმძიმის
ცენტრს მაინც ილიაზე გადაიტანს. რადგანაც ილიაა ერის
წინამძღოლი და მისი უვიგროვინო მეფე. მენშევიკ-ბოლშე-
ვიკები კი მეფეს ებრძვიან. სულერთია ის მეფე რუსი იქნე-
ბა თუ ქართველი, როგორც სულერთია ერთი გამჭირაბი
გონების მქონე გურული კაცისთვის — მენშევიკ-ბოლშე-
ვიკი. ანუ, სხვაობა მათ შორის. ბოლო-ბოლო, მტერი ხომ
არ მოდისო, ბოლშევიკები მოდიანო და მენშევიკმა ჟორ-
დანიამ სამშობლოს საზღვარი უკან მოიტოვა.

ეს მერე მოხდება.

მანამდე კი მაჩაბლის გაქრობის მიზეზია გამოსა-
რკვევი. ანუ ნასაკითხია „26 ივნისის საიდუმლო“.

მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, მე ახლა რასაც
გეტყვი, ნება შენია, გინდ გაიზიარე, გინდ — არა, — „26
ივნისის საიდუმლო“, ჩემი გაგებით, არანაკლებ სხვა საი-
დუმლოსაც მოიცავს, — საუბარია ივანე მაჩაბლის ტრა-
გედიაზე და იკითხება ილია მართლის ტრაგედიაზე, რაც
არაა ჯერეთ მომხდარი, მაგრამ აუცილებლად მოხდება.
მოხდება წინამური, სადაც დამთავრდა ეპოქა დიდი, მა-
გრამ არ დამთავრდა, როგორც უთხრა ცხოვრებულმა ნიკო
კეცხოველმა ილიას ობელისკთან თავდადრეკილ სტუდენ-
ტებს: „დაიმახსოვრეთ, წინამური ის ადგილია, სადაც ვერ
მოჰკვლეს დიდი ილია“.

როსტომ ჩხეიძემ შექმნა ერთი ნაწარმოები და გვერ-
დით ამოუყენა მეორე (პიესა — პიესაში), რაც არანაკლე-
ბი მასშტაბით განგვაცდევინებს მოსალოდნელ ტრაგედი-
ას...

P.S. „კარში რომ შედიხარ, სიტყვები ზღურბლზე და-
ტოვებ“.

საოცრად მომწონს ეს გამონათქვამი, მაგრამ, გულზე
რომ ხელი დავიდო, არ ვიცი, რატომ. თუმცა გუნება-ხას-
იათზე მაინც მოქმედებს.

ეს ორი დღეა, რატომღაც, ვარ ხასიათზე ისეთზე,
ისე, რომ მკითხო მიზეზი, ვერაფერს მოვიმიზეზებ...
მუხრან მაჭავარიანი

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com